

D7081



ქართული
ბიბლიოთეკა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

სოფიო ტყეშელაშვილი

თანხმოვანთკომპლექსები
ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში


10.02.01 — ქართული ენა

დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე

თბილისი — 2006

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



შინაარსი

წინასიტყვაობა -----	9
შესავალი -----	14
თავი I.	
ჩქამიერ თანხმოვანთა ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები -----	22
1.1. I რიგისმიერი+II რიგისმიერი -----	22
1.1.1. I რიგისმიერი ხშული+II რიგისმიერი ხშული -----	22
1.1.1.1. ბაგისმიერი ხშული+უკანაენისმიერი ხშული -----	22
1.1.1.2. კბილისმიერი ხშული+უკანარნისმიერი ხშული -----	22
1.1.1.3. წინანუნისმიერი ხშული+უკანაენისმიერი ხშული -----	23
1.1.1.4. უკანანუნისმიერი ხშული+უკანაენისმიერი ხშული -----	23
1.1.2. I რიგისმიერი ხშული+II რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	24
1.1.2.1. ბაგისმიერი ხშული+უკანაენისმიერი ნაპრალოვანი -----	24
1.1.2.2. კბილისმიერი ხშული+უკანაენისმიერი ნაპრალოვანი -----	25
1.1.2.3. წინანუნისმიერი ხშული+უკანაენისმიერი ნაპრალოვანი -----	26
1.1.2.4. უკანანუნისმიერი ხშული+უკანაენისმიერი ნაპრალოვანი -----	27
1.1.3. I რიგისმიერი ნაპრალოვანი+II რიგისმიერი ხშული -----	28
1.1.3.1. კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი+უკანაენისმიერი ხშული -----	28
1.1.3.2. წინანუნისმიერი ნაპრალოვანი+უკანაენისმიერი ხშული -----	28
1.1.3.3. უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი+უკანაენისმიერი ხშული -----	29
1.1.4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი+II რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	29
1.1.4.1. კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი+უკანაენისმიერი ნაპრალოვანი -----	29
1.1.4.2. წინანუნისმიერი ნაპრალოვანი+უკანაენისმიერი ნაპრალოვანი -----	30
1.1.4.3. უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი+უკანაენისმიერი ნაპრალოვანი -----	30

1.2. II რიგისმიერი+I რიგისმიერი -----	31
1.2.1. II რიგისმიერი ხშული+I რიგისმიერი ხშული -----	31
1.2.1.1. უკანაენისმიერი ხშული+ბაგისმიერი ხშული -----	31
1.2.1.2. უკანაენისმიერი ხშული+კბილისმიერი ხშული -----	32
1.2.1.3. უკანაენისმიერი ხშული+წინანუნისმიერი ხშული -----	32
1.2.1.4. უკანაენისმიერი ხშული+უკანანუნისმიერი ხშული -----	33
1.2.2. II რიგისმიერი ხშული+I რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	33
1.2.2.1. უკანაენისმიერი ხშული+კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი -----	33
1.2.2.2. უკანაენისმიერი ხშული+წინაენისმიერი ნაპრალოვანი -----	33
1.2.2.3. უკანაენისმიერი ხშული+უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი -----	34
1.2.3. II რიგისმიერი ნაპრალოვანი+I რიგისმიერი ხშული -----	34
1.2.3.1. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი+ბაგისმიერი ხშული -----	34
1.2.3.2. უკანაენისმიერი+კბილისმიერი ხშული -----	35
1.2.3.3. უკანაენისმიერი+წინანუნისმიერი ხშული -----	36
1.2.3.4. უკანაენისმიერი+უკანანუნისმიერი ხშული -----	36
1.2.4. II რიგისმიერი ნაპრალოვანი+I რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	37
1.2.4.1. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი+კბილისმიერი ნაპრალოვანი -----	37
1.2.4.2. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი+წინანუნისმიერი ნაპრალოვანი -----	37
1.2.4.3. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი+უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი -----	38
1.3. I რიგისმიერი+I რიგისმიერი -----	38
1.3.1. I რიგისმიერი ხშული+I რიგისმიერი ხშული -----	38
1.3.1.1. ბაგისმიერი ხშული+სხვა I რიგისმიერი ხშულები -----	38

ა)ბაგისმიერი ხშული+ბაგისმიერი ხშული -----	38
ბ)ბაგისმიერი ხშული+კბილისმიერი ხშული -----	40
გ)ბაგისმიერი ხშული+წინანუნისმიერი ხშული -----	40
დ)ბაგისმიერი ხშული+უკანანუნისმიერი ხშული -----	41
1.3.1.2. კბილისმიერი ხშული+სხვა I რიგისმიერი ხშულები -----	41
ა)კბილისმიერი ხშული+ბაგისმიერი ხშული -----	41
ბ)კბილისმიერი ხშული+კბილისმიერი ხშული -----	42
გ)კბილისმიერი ხშული+წინანუნისმიერი ხშული -----	42
დ)კბილისმიერი ხშული+უკანანუნისმიერი ხშული -----	43
1.3.1.3.წინანუნისმიერი ხშული+სხვაI რიგისმიერი ხშულები -----	43
ა)წინანუნისმიერი ხშული+ბაგისმიერი ხშული -----	43
ბ)წინანუნისმიერი ხშული+კბილისმიერი ხშული -----	43
გ)წინანუნისმიერი ხშული+წინანუნისმიერი ხშული -----	44
დ)წინანუნისმიერი ხშული+უკანანუნისმიერი ხშული -----	44
1.3.1.4.უკანანუნისმიერი ხშული+სხვა I რიგისმიერი ხშულები -----	44
ა)უკანანუნისმიერი ხშული+ბაგისმიერ ხშული -----	44
ბ)უკანანუნისმიერი ხშული+კბილისმიერი ხშული -----	44
გ)უკანანუნისმიერი ხშული+წინანუნისმიერი ხშული -----	45
დ)უკანანუნისმიერი ხშული+უკანანუნისმიერი ხშული -----	45
1.3.2. I რიგისმიერი ხშული+I რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	45
1.3.2.1. ბაგისმიერი ხშული+I რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	45
1.3.2.2. კბილისმიერი ხშული+I რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	46
1.3.2.3. წინანუნისმიერი ხშული+I რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	47
1.3.2.4. უკანანუნისმიერი ხშული+I რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	47

1.3.3. I რიგისმიერი ნაპრალოვანი+I რიგისმიერი ხშული -----	47
1.3.3.1. I რიგისმიერი ნაპრალოვანი+ბაგისმიერი ხშული -----	47
1.3.3.2. I რიგისმიერი ნაპრალოვანი+კბილისმიერი ხშული -----	48
1.3.3.3 I რიგისმიერი ნაპრალოვანი+წინანუნისმიერი ხშული -----	50
1.3.3.4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი+უკანანუნისმიერი ხშული -----	51
1.3.4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი+I რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	52
1.3.4.1. კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი+I რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	52
1.3.4.2. წინანუნისმიერი ნაპრალოვანი+ წინანუნისმიერი ნაპრალოვანი ----	52
1.3.4.3. წინანუნისმიერი ნაპრალოვანი+ უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი ---	52
1.3.4.4. უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი+წინანუნისმიერი ნაპრალოვანი ----	53
1.3.4.5. უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი+ უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი -	53
1.4. II რიგისმიერი+II რიგისმიერი -----	53
1.5. I თვეში წარმოდგენილი მასალის ანალიზი -----	54
1.5.1. ბუნებრივი, დასაშვები და აკრძალული თანხმოვანთკომპლექსები ----	54
1.5.2. თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე -----	56
1.5.2.1. თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე თითოეული მიმ- დევრობის შიგნით -----	56
1.5.2.2. თანხმოვანთკომპლექსთა სიხშირე ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით -----	58
1.6. ფერეიდნული დიალექტის ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა რეალი- ზაციის შემაჯამებელი სქემები -----	60
თავი II	
სონორის შემცველი ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები -----	66
2.1. სონორი+I რიგისმიერი -----	66

2.1.1. სონორი+I რიგისმიერი ხშული -----	66
2.1.1.1. სონორი+ბაგისმიერი ხშული -----	66
2.1.1.2. სონორი+კბილისმიერი ხშული -----	67
2.1.1.3. სონორი+წინანუნისმიერი ხშული -----	70
2.1.1.4. სონორი+უკანანუნისმიერი ხშული -----	71
2.1.2. სონორი+I რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	72
2.1.2.1. სონორი+კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი -----	72
2.1.2.2. სონორი+წინანუნისმიერი ნაპრალოვანი -----	73
2.1.2.3. სონორი+უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი -----	74
2.1.3. I რიგისმიერი ხშული+სონორი -----	75
2.1.3.1. ბაგისმიერი ხშული+სონორი -----	75
2.1.3.2. კბილისმიერი ხშული+სონორი -----	76
2.1.3.3. წინანუნისმიერი ხშული+სონორი -----	77
2.1.3.4. უკანანუნისმიერი ხშული+სონორი -----	78
2.1.4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი+სონორი -----	79
2.1.4.1 კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი+სონორი -----	79
2.1.4.2. წინანუნისმიერი ნაპრალოვანი+სონორი -----	79
2.1.4.3. უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი+სონორი -----	81
2.2. სონორი+II რიგისმიერი -----	82
2.2.1. სონორი+II რიგისმიერი ხშული -----	82
2.2.1.1. სონორი+უკანანუნისმიერი ხშული -----	82
2.2.2. სონორი+II რიგისმიერი ნაპრალოვანი -----	84

2.2.2.1. სონორი+უკანაენისმიერი ნაპრალოვანი -----	84
2.2.3. II რიგისმიერი ხშული+სონორი -----	86
2.2.3.1. უკანაენისმიერი ხშული+სონორი -----	86
2.2.4. II რიგისმიერი ნაპრალოვანი+სონორ -----	88
2.2.4.1. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი+სონორი -----	88
2.3. სონორი+სონორი -----	91
2.4. II თავში წარმოდგენილი მასალის ანალიზი -----	94
2.4.1. ბუნებრივი, დასაშვები და აკრძალული კომპლექსები -----	94
2.4.2. სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე -	95
2.4.2.1. თანხმოვანთკომპლექსთა სიხშირე თითოეული მიმდევრობის შიგნით	95
2.4.2.2. თანხმოვანთკომპლექსთა სიხშირე სონორის შემცველ თანხ- მოვანთკომპლექსთა რაოდენობასთან შეფარდებით -----	97
2.4.3. ცალკეულ სონორთა სინტაგმატური მახასიათებლები -----	99
2.4.3.1. ვ სონორი -----	99
2.4.3.2. მ სონორი -----	100
2.4.3.3. ლ სონორი -----	101
2.4.3.4. .რ სონორი -----	102
2.4.3.5. ნ სონორი -----	104
2.5. სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსთა შემაჯამებელი სქემები -	105
თავი III	
სამწვერა და ოთხწვერა თანხმოვანთკომპლექსები -----	110
3.1. სამწვერა თანხმოვანთკომპლექსები -----	110
3.1.1. ჩქამიერ თანხმოვანთა შემცველი სამწვერა თანხმოვანთკომპლექსები-	110
3.1.1.1. I რიგისმიერი+II რიგისმიერი+I რიგისმიერი -----	110

3.1.1.2. I რიგისმიერი+I რიგისმიერი+II რიგისმიერი -----	112
3.1.2. სონორის შემცველი სამწვერა თანხმოვანთკომპლექსები -----	112
3.1.2.1. ერთი სონორის შემცველი სამწვერა თანხმოვანთკომპლექსები -----	112
3.1.2.2. ორი სონორის შემცველი სამწვერა თანხმოვანთკომპლექსები -----	116
3.1.2.3. სამი სონორის შემცველი სამწვერა თანხმოვანთკომპლექსები -----	119
3.2. ოთხწვერა თანხმოვანთკომპლექსები -----	119
3.3. III-თავში წარმოდგენილი მასალის ანალიზი -----	121
ძირითადი დასკვნები -----	123

წინასიტყვაობა

ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის თანხმოვანთკომპლექსთა კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართველური ენა-კილოების ბუნების შესწავლის თვალსაზრისით, რამდენადაც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ფერეიდნულ დიალექტში, ერთი მხრივ, კარგადაა შემონახული კახურ-ინგილოურისათვის მე-17 საუკუნეში დამახასიათებელი თავისებურებები, მეორე მხრივ, განვითარებულია ქართველური ენობრივი სამყაროსათვის ბუნებრივი მოვლენები, მესამე მხრივ კი, ქართული ენის ამ კილოს ფონეტიკაშიც, მორფოლოგიაშიც, სინტაქსშიც და ლექსიკაშიც ასახულია სპარსული ენის გავლენა.

საუკუნეების მანძილზე უცხოენოვან გარემოში მოქცეულ და სხვა ქართულ კილოებთან ურთიერთობას მოკლებული ფერეიდნული დიალექტის ფონემატური სტრუქტურის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ, თუ რა სახის იმანენტურ თუ გავლენისმიერ ცვლილებებს განიცდის ქართული სამწიგნობრო ენისა და მონათესავე კილოებისაგან იზოლირებული, ამავე დროს, სპარსული ენის გავლენის ველში არსებული ქართული ზეპირი მეტყველება.

მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, დღემდე ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის კვლევას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა: ლ. აღნიაშვილი — “სპარსეთი და იქაური ქართველები” (1896); არნ. ჩიქობავა — “ვინის რეფლექსები ფერეიდნულში” (1923); არნ. ჩიქობავა — “ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით” (1923-1924); არნ. ჩიქობავა — “ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი” (1927); ი. მარი — “Два образчика народной словесности из грузинского фереидана” და “Из беседы с фереиданским грузином” (1936); გ. ჭიბაშვილი — “ფერეიდნელი გურჯები” (1963); ზ. შარაშენიძე — “ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების

შესახებ.“ (1969); მ. თოდუა — “ქართულ-სპარსული ეტიუდები“ (1975); ნ. ბართაია — “ერთი ქართული სიტყვის შესახებ“ (1971); თ. ჭავჭავაძე — “ქართული ენის ფერეიდნული დიალექტიკის შესწავლის ისტორიიდან“ (1977); თ. ჩხეიძე — “Элементы персидского языка в говоре ферейданских грузин“ (1978); ზ. შარაშენიძე — “ფერეიდნელი გურჯები“ (1979); თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი — “ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის“ (1979); თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი — “დიალექტის ცვლილებისათვის ისტორიულ ასპექტში“ (1981); თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი — “არქაული მოვლენებისათვის ფერეიდნულში“ (1984); მ. მაჭავარიანი — “ფერეიდნულის ზოგი თავისებურება“ (1985); თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი — “სიტყვათა სემანტიკური ცვლილება ფერეიდნულში სპარსული ენის გავლენით“ (1989); დ. ჩხუბიანიშვილი — “ფერეიდნულის ზოგი თავისებურებისათვის“ (1995); გ. გოგოლაშვილი — “ზმოვანკომპლექსთა ცვლილებების თავისებურებანი ფერეიდნულში და მისი ახსნის ცდა“ (1996); ტ. ფუტყარაძე — “სუპერსტრატისა და ენობრივი თვითიმუნიზაციის საკითხისათვის (უმლაუტიანი ზმოვნები ქართულში)“ (1996); დ. ჩხუბიანიშვილი — “ყვე თანდებული ფერეიდნულში“ (1997); დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი — “ირანიზმების ზოგი საკითხისათვის ფერეიდნულში“ (1997); დ. ჩხუბიანიშვილი — “ფერეიდნულის შესწავლის ზოგი ასპექტი“ (1998); დ. ჩხუბიანიშვილი — “ენობრივი ადაპტაციის ზოგი საკითხი რეპატრირებულ ფერეიდნელთა მეტყველების მასალაზე“ (1998); დ. ჩხუბიანიშვილი — “ფერეიდნული ლექსიკის ზოგი საკითხი“ (2000); დ. ჩხუბიანიშვილი — “ ზემო მარტყოფის (ჭერედლუნშაჰრის) მიკროტობონიმიის შესწავლისათვის“ (2001); ნ. ბართაია — “ირანული ჩანახატები“ (2001); ი. მიმინოშვილი — “ახლოა ფერეიდნამდე“ (2001); დ. ჩხუბიანიშვილი — “ქვემო ფერეიდნულის ზოგი თავისებურება (სოფ. დაშქესანას მონაცემების მიხედვით)“ (2002); დ. ჩხუბიანიშვილი — “ზოგი სტილისტური თავისებურების შესახებ“ (2003); დ. ჩხუბიანიშ-

ვილი — “და კავშირი ფერეიდანულში“ (2003); დ. ჩხუბიანიშვილი — “ნაცვალსახელთა ზოგი სახეობისათვის ქვემო ფერეიდანულში“ (2004); ვ. ონიკაშვილი — “ფერეიდანი“ (2004); ა. სონღულაშვილი — “ირანში ქართველთა ნაკვალევზე“ (2005).

ფერეიდანული დიალექტის თანხმომავანთკომპლექსთა შესახებ არაერთ გამოკვლევაშია საინტერესო მსჯელობა; მაგ., თ. ჭავჭავაძე მიუთითებს: “ფიქსირებული მასალა საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ სიტყვათა გასრულბმონების პროცესის განვითარებას ფერეიდანულში. ირკვევა სიტყვის თავში თანხმომავანთა თავმოყრის არიდება, რაც ასე დამახასიათებელი მოვლენაა ირანული ენებისათვის...” (თ. ჭავჭავაძე, 1977. გვ. 156); შდრ., აგრეთვე (მ. მაჭავარიანი, 1985, გვ. 150): “ფერეიდანული ერიდება თანხმომავანთა თავმოყრას სიტყვის თავში, განსაკუთრებით დამავალი ნაპრალოვნობის მქონე კომპლექსებში...”.

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში თანხმომავანთკომპლექსთა დაძლევის სხვადასხვა ხერხს წარმოადგენს დ. ჩხუბიანიშვილი ნაშრომში: “ნაცვალსახელთა ზოგი სახეობისათვის ქვემო ფერეიდანულში“ (დ. ჩხუბიანიშვილი, 2004, გვ. 83). მკვლევარი ასევე საუბრობს გემინირებულ თანხმომავანებზე, რომლებიც შემოჰყვა ნასესხებ სიტყვებს და, შესაბამისად, ქართულ თანხმომავანთა წარმოთქმაშიც გამოვლინდა (დ. ჩხუბიანიშვილი, 2002, გვ. 84).

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ინტენსიურად მიმდინარეობს ფერეიდანულის კვლევა, რჩება რიგი საკითხებისა, რომელიც სათანადო შესწავლას საჭიროებს. ჩვენ მიზნად დავისახეთ თანხმომავანთკომპლექსთა გამოვლენის პოზიციებისა და სიხშირის დადგენა; ჰარმონიული, ბუნებრივი, აქტიურად რეალიზებადი, დასაშვები თუ აკრძალული კომპლექსების წარმოჩენა; ზოგ შემთხვევაში, კომპლექსთა ტრანსფორმაციის ისტორიის გარკვევა.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გავაანალიზეთ დღემდე გამოქვეყნებული ყველა ფერეიდანული ტექსტი, კერძოდ: არნ. ჩიქობავა, ტფილისის უნი-

ვერსიტეტის მოამბე, XII (1927); ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I (1961); გ. ჭიბაშვილი “ფერეიდნელი ქართველები“ (1963); ზ. შარაშენიძე, “ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ“ (1969); მ. თოდუა, “ქართულ-სპარსული ეტიუდები“ (1975); ზ. შარაშენიძე, “ფერეიდნელი გურჯები“ (1979); იკე, XXI (1979); იკე, XXIII (1985); იკე, XXXIV (2000).

კვლევისთვის ვიყენებთ ჩვენ მიერ მოპოვებულ აუდიომასალასაც; გარდა ამისა, ამობარათებული 12 000 საანალიზო ერთეული გადავამოწმეთ ფერეიდნელებთან (თამარ იოსელიანი, 20 წლის, მცხოვრები ფერეიდანში, სოფელ მარტყოფში; აჰმად მულიანი, 27 წლის, მცხოვრები ფერეიდუნშაჰრში; ალი ასლანიშვილი, 48 წლის, ფერეიდნის სოფელ ჩუღრუთიდან).

ნაშრომში დასმული პრობლემების კვლევის დროს გამოყენებულია აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

სადისერტაციო ნაშრომში განვიხილავთ ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში თანხმოვანთა სინტაგმატურ მიმართებებს როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზეც; გამოვყოფთ თანხმოვანთა ჯგუფებს (ჯგუფი აერთიანებს ფონემებს, რომლებიც ფუნქციით/ქცევით ერთმანეთს ჰგავს).

ნაშრომში პირველადაა წარმოდგენილი ფერეიდნული დიალექტის თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სრული სურათი; კერძოდ, დაწვრილებით განვიხილეთ ყველა სახის კომპლექსი, როგორც ჩქამიერი, ასევე სონორი ბგერების შემცველი და მოვახდინეთ საანალიზო მასალის მეტნაკლებად განსხვავებული კლასიფიკაცია.

შემაჯამებელ დებულებებში წარმოდგენილია ის საერთო და განსხვავებული ტენდენციები, რომლებიც ფერეიდნულ დიალექტს ახასიათებს ქართულ სამწიგნობრო ენასთან და სხვა ქართულ ქვესისტემებთან მიმართებით.

სათანადო მასალის შესწავლის შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ რამდენადმე თავისებურია ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის თანხმოვანთკომპლექსები. გამოვლინდა ამ დიალექტისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი კომპლექსები: ესენია ჰარმონიული კომპლექსები მიმდევრობით: **ბაგისმიერი/წინაენისმიერი ხშული + უკანაენისმიერი ნაპრალოვანი** და სპარსული ენისათვის დამახასიათებელი კომბინაციები: **ბაგისმიერი/წინაენისმიერი ნაპრალოვანი + ბაგისმიერი/წინაენისმიერი ხშული, ბაგისმიერი/წინაენისმიერი ხშული + ბაგისმიერი/წინაენისმიერი ხშული.** ჰარმონიული კომპლექსების გამოვლენის მხრივ ფერეიდნულ დიალექტსა და სამწიგნობრო ქართულში ძირითადად ერთნაირი ვითარებაა. სამწიგნობრო ქართულისაგან განსხვავებით ფერეიდნულში აქტიურია **ბაგისმიერი/წინაენისმიერი ნაპრალოვანი + ბაგისმიერი/ წინაენისმიერი ხშული.** და **ბაგისმიერი/წინაენისმიერი ხშული + ბაგისმიერი/წინაენისმიერი ხშული** კომბინაცია.

შესავალი

§ 1. ფონემატური სტრუქტურის პარადიგმატული და სინტაგ- მატური ანალიზის ზოგადი საკითხები

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული/ქართველური ფონემატური სტრუქტურის ანალიზი წარმოდგენილია ნ. მარის, ს. ხუნდაძის, ა. შანიძის, არნ. ჩიქო-ბავას, გ. ახვლედიანის, ჰ. ფოგტის, რ. რობინსის, ნ. ვატერსონის, ს. ჟღენტის, შ. გაფრინდაშვილის, თ. უთურგაიძის, გ. მაჭავარიანის, თ. გამყრელიძის, ზ. ჯაფარიძის, ბ. ჯორბენაძის, ნ. ქუთელიას, ნ. კიზირიას და სხვათა გამოკვლევებში. საკითხის ისტორია ვრცლად არის წარმოდგენილი თ. უთურგაიძის ნაშრომში (თ. უთურგაიძე, 1976).

ქართული ენის სამეტყველო ბგერათა პარადიგმატული ანალიზი რამდენიმე სახის ცხრილითაა შეჯამებული; კერძოდ, ცნობილია: გ. ახვლედიანის, ა. შანიძის, ჰ. ფოგტის, ნ. ვატერსონისა და რ. რობინსის, თ. უთურგაიძის და სხვათა სქემები. სადავო საკითხები ვრცლადაა განხილული თ. უთურგაიძის მიერ. ჩვენთვის ძირითადად მისაღებია თ. უთურგაიძის პარადიგმატული ანალიზის შედეგები (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 41-76); სამაგალითოდ შევვებებით მხოლოდ **ძ**, **ც**, **წ**, **ზ**, **ს**, **ყ** და **ვ** ბგერების დახასიათებას.

ძ ც წ მხოლოდ გ. ახვლედიანს შეაქვს **ღ თ ტ**-ს ჯგუფში (გ. ახვლედიანი, 1999, გვ. 91); ა. შანიძე კი **ზ ს** ბგერებთან ერთად მას ნუნისმიერებში აერთიანებს (ა. შანიძე, 1953, გვ. 13-16). წინა ნუნისმიერად მიიჩნევს **ძ ც წ ზ ს** თანხმონებს თ. უთურგაიძე (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 74).

ერთსა და იმავე საწარმოთქმო ადგილზე **ძ ც წ** აფრიკატთა და **ზ ს** ნაპრალოვანთა წარმოება საექვოდ მიიჩნია შ. გაფრინდაშვილმა. მისი ვარაუდით,

ზ ს უფრო უკანა წარმოებისა, ვიდრე ძ ც წ (შ. გაფრინდაშვილი, 1961, გვ. 77).

ჩვენი აზრით, შესაძლებელია ძ ც წ ზ ს განვიხილოთ ერთ ლოკალურ რიგში, რამდენადაც ამგვარი დახასიათება პრობლემას ვერ შექმნის პარადიგმატული თვალსაზრისით და სინტაგმატური ანალიზიც მხარს უჭერს ამგვარ კვალიფიკაციას.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოა ვ-ს დახასიათება: ზოგიერთი მკვლევარი მას კბილისმიერად თვლის (გ. ახვლედიანი, ა შანიძე, ბ. ჯორბენაძე), ზოგი - წყვილბაგისმიერად (ჰ. ფოგტი, რ. რობინსი, ნ. ვატერსონი, ტ. ფუტყარაძე), ზოგიც - ბაგისმიერად (თ. უთურგაიძე).

ფერეიდნულ დიალექტში ვ ბგერის სამი ალოფონია მოსალოდნელი: კბილბაგისმიერი ვ, მისი ყრუ ალოფონი [ფ] და წყვილბაგისმიერი სონორი [ვ]. გამოქვეყნებულ ტექსტებში [ფ] და, ვფიქრობთ, კბილბაგისმიერი ვ ძირითადად დასტურდება მორფემათა ზღვარზე იმ შემთხვევაში, როცა პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ გვაქვს ჩქამიერ ყრუ თანხმოვანთა წინ, ხოლო ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში გვაქვს წყვილბაგისმიერი სონორი [ვ].

თ. უთურგაიძის (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 43, 67), თ. გამყრელიძის (თ. გამყრელიძე, 2000, გვ. 249-256; აქვეა სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვაც) და სხვათა აზრით, ყ ნაპრალოვანია; ტ. ფუტყარაძის აზრით, რამდენადაც ყელზეშული ყ-ს წარმოთქმის ეფექტს ქმნის ყელში დარჩენილი მცირე მოცულობის ჰაერის მკვეთრი (მოწყვეტით) გამოდევნა, შესაბამისად, უფრო ლოგიკური ჩანს გ. ახვლედიანის თვალსაზრისი ყ-ს მკვეთრი ხშულობის შესახებ; გარდა ამისა, ყ-ს ქცევა დიდად არ განსხვავდება კ მკვეთრი ხშულის ქცევისგან: ქართულ სამწიგნობრო ენაშიც და კილოებშიც თანაბარი პროცენტით ვლინდება წკ, ტკ და წყ, ტყ კომპლექსები; შესაბამისად, წკ, ტკ მკვეთრთა კომბინაციები არაძირითად მოდელებად ვერ მიიჩნევა (ტ. ფუტყარაძე, 2006, შდრ., თ. უთურგაიძე, 1976, გვ.

105). ჩვენი დაკვირვებით, გამოვლენის სიხშირის მიხედვით თითქმის ანალოგიურია ფერეიდნულის ჩვენებაც: **წკ:** წკებლა, მიწკაპწკაპება... **წყ:** წყალი, წყარო, აწყა, მოწყობა... **ტკ:** ტკაცა-ტკაუცი, ტკაველი, ტკბილი... **ტყ:** ტყემალი, ტყუილი, ტყივა, სიტყვა, შეტყობა... რაც შეეხება **ყ**-ს ნაპრალოვნობა-ხშულობის საკითხს: ვფიქრობთ, საკითხი შემდეგ კვლევას ითხოვს, თუმცა, თ. უთურგაიძის მსჯელობისა და ანალიზის ანალოგიით, კვლევის ამ ეტაპზე, **ყ**-ს ნაპრალოვანთა რიგში წარმოვადგენთ. შესაბამისად, ჩვენი მსჯელობისას გამოყენებული იქნება შემდეგი სახის სქემა:

რაგვარობა ლოკალური რიგი	ჩქამიერი					სონორი	
	ხშული			ნაპრალოვანი		ორალური	ნაზალური
	მჟღერი	ფშვინვ.	მკვეთრი	მჟღერი	ყრუ		
ბაგისმიერი	ბ	ფ	პ			ვ	მ
კბილბაგისმიერი				ვ	ძ		
კბილისმიერი	დ	თ	ტ			ლ	ნ
წინანუნისმიერი	ძ	ც	წ	ჭ	ს	ლ	ნ
შუანუნისმიერი						რ	
უკანანუნისმიერი	ჭ	ჩ	ჭ	ჟ	შ		
უკანანუნისმიერი	ბ	ქ	კ	ღ	ხ		
ხახისმიერი		ვ			ყ		
ხორხისმიერი					ჰ		

სინტაგმატური ანალიზის დროს თ. უთურგაიძე თანხმობენებს ყოფს ხშულთა და ნაპრალოვანთა კლასად. ხშულთა კლასი აღნიშნულია C სიმბოლოთი და ის აერთიანებს 16 ფონემას — **ბფპ დთტ ძცწ ჯჩჭ გქკ ვ**. ნაპრალოვანთა კლასი კი C₀ სიმბოლოთი, ეს კლასი აერთიანებს სულ 12 ფონემას — **ზს ჟშ ლხე ვმნრლ**.

მკვლევარი ამ ორი კლასის სინტაგმატურ მიმართებებს განიხილავს ოთხი ფორმულის მიხედვით: (1)CC₀; (2) C₀C; (3) CC; (4) C₀C₀.

- (1) CC_0 ფორმულა გამოხატავს აღმავლი ანუ მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსთა მოდელს;
- (2) C_0C ფორმულა გამოხატავს დამავალი ნაპრალოვნობის კომპლექსთა მოდელს;
- (3) CC ფორმულით გამოხატულია ხშულთა (ნულოვანი ნაპრალოვნობის) კომპლექსთა მოდელი;
- (4) C_0C_0 ფორმულის კომპლექსები ნაწილდება მზარდი და დამავალი ნაპრალოვნობის მოდელებს შორის იმის მიხედვით, კომპლექსი აღმავალი ნაპრალოვნობისაა თუ დამავალი ნაპრალოვნობის (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 90-91).

გ. ნებიერიძე თანხმობენს სამ კლასად წარმოადგენს: პირველ კლასში აერთიანებს ხშულ თანხმობებს (C კლასი); მეორეში — ფრიკატივებს (F კლასი); მესამეში — სონორებს (S კლასი). კალსიფიკაცია ხდება სონორობის ხარისხის მიხედვით.

კლასის ფარგლებში ფონემები დალაგებულია სონორობის მატებით; მომდევნო ფონემა წინას აღმატება სონორობის ხარისხით.

C (ხშულთა კლასი): პ < ფ < ბ < ტ < თ < დ...

F (ფრიკატივთა კლასი): ხ < ზ < შ < ყ...

S (სონოროთა კლასი): ვ < მ < ნ < ლ < რ (გ. ნებიერიძე, 1974, გვ. 10).


თანხმობებს ვყოფთ ორ ძირითად კლასად: სონოროებად (S) [მ ნ რ ლ ვ] და ჩქამიერებად (C, C_0); თავის მხრივ, საწარმოთქმო ადგილის მიხედვით, ჩქამიერებს წარმოვადგენთ ორ ჯგუფად: I რიგისმიერებად და II რიგისმიერებად:

I რიგისმიერებია: ბ ფ პ ვ ჟ; დ თ ტ; ძ ც წ ზ ს; ჯ ჩ ჭ ყ შ;

II რიგისმიერებია: გ ქ კ ღ ხ ყ ვ ჰ.

შენიშვნა: ტერმინი I რიგისმიერი გულისხმობს წინაენისმიერ და ბაგისმიერ ბგერებს; შდრ.: ტერმინი წინაენისმიერი ბაგისმიერს ვერ მოიცავს.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნაშრომი შედგება სამი თავისაგან. პირველ თავში გადმოცემულია ჩქამიერ თანხმოვანთა ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები. მასში ჩქამიერ თანხმოვანთა სინტაგმატურ მიმართებებს განვიხილავთ შემდეგი ფორმულების მიხედვით: I რიგისმიერი + II რიგისმიერი; II რიგისმიერი + I რიგისმიერი; I რიგისმიერი + I რიგისმიერი; II რიგისმიერი + II რიგისმიერი.

მეორე თავში წარმოვადგენთ სონორთა შემცველ ორწევრა თანხმოვანთკომპლექსებს, რომლებსაც განვიხილავთ შემდეგი ფორმულების მიხედვით: სონორი + I რიგისმიერი; I რიგისმიერი + სონორი; სონორი + II რიგისმიერი; II რიგისმიერი + სონორი; სონორი + სონორი.

მესამე თავში დეტალურად არის გადმოცემული ჩქამიერი და სონორი ბგერების შემცველი სამწევრა და ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები.

§ 2. ჰარმონიულ კომპლექსთა საკითხისათვის

ქართული ენის ჰარმონიულ კომპლექსთა შესწავლას თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს; განსხვავებული კრიტერიუმების მიხედვით ხდებოდა ჰარმონიულ კომპლექსთა დახასიათება, შესაბამისად, სხვადასხვა რაოდენობის ჯგუფები გამოიყო.

ს. ხუნდაძემ ჰარმონიულ კომპლექსთა ოთხი ჯგუფი გამოყო:

A	B	C	D
ბგ ფქ პკ	ფხ —	სხ ზღ	ფს —
დგ თქ ტკ	თხ —	შხ ჟღ	ფშ —
ძგ ცქ წკ	ცხ —	სყ	
ჯგ ჩქ ჰკ	ჩხ —	შყ	

ნ. მარი სამ ჰარმონიულ ჯგუფს გამოყოფს, რომელშიც ვერ მოხვდა ბაგისმიერთა კომბინაციები უკანაენისმიერებთან:

A	B	C

— . — — — —	— — — — —	— — — — —
დგ თქ ტკ	დღ თხ ტყ	სყ —
ძგ ცქ წკ	ძღ ცხ წყ	სხ ზღ
— — —	ულ ჩხ ჭყ	— —

გ. ახვლედიანმა შეავსო და წარმოგვიდგინა სრულად ჰარმონიულ კომპლექსთა A და B სისტემა ბგერათშეერთების III წესის საფუძველზე (გ. ახვლედიანი, 1999, გვ. 112).

A	B
ბგ ფქ პკ	ბღ ფხ პყ
დგ თქ ტკ	დღ თხ ტყ
ძგ ცქ წკ	ძღ ცხ წყ
ჭგ ჩქ ჭკ	ჭღ ჩხ ჭყ

გ. ახვლედიანის მიხედვით ჰარმონიულ კომპლექსებში შემავალი თანხმონები არიან ჰომოგენური და ჰეტერორგანულნი. ჰეტერორგანულობა განსაზღვრულია დეცესიურობით.

ჰარმონიულ კომპლექსთა მკვლევართაგან საყურადღებოა გ. მაჭავარიანის კლასიფიკაცია, რომელმაც საერთო ქართველურ დონეზე გარდა A B C D ჯგუფებისა გამოყო E F ჯგუფებიც. E ჯგუფში შეტანილია სკ; ს₁კ კომპლექსები. F ჯგუფში. სთ ს₁თ; სტ, სწ.

თ. უთურგაიძის აზრით ჰარმონიულ კომპლექსების გამოყოფის პრინციპები გ. მაჭავარიანის მიერ საკამათოა, ვინაიდან F ჯგუფში სწ კომპლექსის შეტანით მან დაარღვია ჰეტერორგანულობის პრინციპი. (თ. უთურგაიძე, 1987, გვ. 126).

დასახელებულ ავტორებთან ჰარმონიულ კომპლექსებისათვის საერთოა კომპლექსში კომპონენტთა ჰეტერორგანულობისა და ჰომოგენურობის პრინციპი.

სხვაობას ქმნის სხვა პრინციპები, რომლებიც ავტორებს შემოაქვთ კომპლექსთა რაგვარობის განსაზღვრისას.

გ. ახვლედიანის განმარტებით ჰარმონიულ კომპლექსებისათვის დამახასიათებელია ერთჯამიერობა, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპლექსში შემავალი ბგერების შემართვა ხდება ერთსა და იმავე დროს. ეს განმარტება არ არის ზუსტი ხშულთა შემთხვევაში, ვინაიდან თუ პირველი ხშულის განხშვა არ მოხდა, მეორეს შემართვა არ დაიწყება. სწორედ ამის გამო საექვოდ ჩანს ორი ხშულის მიერ წარმოქმნილი ჰარმონიული კომპლექსი.

ა. შანიძემ ჰარმონიულად ჩათვალა ისეთი კომპლექსები, რომელთა მეორე წევრი ნაპრალოვანია. აქ წარმოდგენილი ვითარების მიხედვით ერთადერთი ჯგუფი, კერძოდ B ჯგუფი, არ იწვევს მკვლევართა დაექვებას, იგი ყველამ მიიღო და შეაქვთ ჰარმონიულ კომპლექსებში.

თ. უთურგაიძის აზრით ჰარმონიულ კომპლექსებში შემავალ ბგერათაგან აუცილებელია მეორე კომპონენტი იყოს ნაპრალოვანი, წინა კი შეიძლება ხშულიც და ნაპრალოვანიც; კომპლექსები შეიძლება იყოს აქცესიურიც. ამის საუძველზე მკვლევარმა ჰარმონიულ კომპლექსთა სამი ჯგუფი ჩამოაყალიბა:

I	II	III
ფს ფშ ბზ ბჟ	ბღ ფზ პყ	სს ზღ შს უღ
ქს ქშ გზ გჟ	დღ თზ ტყ	
ვს ვშ — —	ძღ ცზ წყ	
	ჯღ ჩზ ჭყ	

ჩვენ ვიზიარებთ თ. უთურგაიძის აზრს და ჰარმონიულად მივიჩნევთ ისეთ კომპლექსებს, რომელთა მეორე წევრი ნაპრალოვანი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ამყარებს ჩვენ მიერ გაანალიზებულ მასალაში ამგვარი კომპლექსების ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი; გამოვლენის მაღალი სიხშირის მიხედვით გარკვეულ გამონაკლისად ჩანს ხშულ მკვეთრ თანხმოვანთა (ტკ, წკ) კომბინაციები.

წარმოდგენილ ნაშრომში მათი ჰარმონიულობის საკითხს ღიად ვტოვებთ (პრობლემა შემდგომ კვლევას საჭიროებს); თუმცა აღვნიშნავთ, რომ კომპლექსთა საერთო რაოდენობაში თითოეული თანხმოვანთიმდევრობის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი კარგი საფუძველია ბუნებრივი კომპლექსების ჰარმონიულ კომპლექსებად მიჩნევისათვის (ამ შემთხვევაშიც საკამათო რჩება ერთყამიერობის საკითხი).

ქართული ენის ფონოლოგიის დეტალური კვლევა კონკრეტულად არაა შესაძლებელი ამ დოკუმენტში. თუმცა, აღვნიშნავთ, რომ ქართული ენის ფონოლოგიაში არსებული მრავალფეროვნება და მრავალფეროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ჰარმონიულობის უზრუნველყოფაში. ქართული ენის ფონოლოგიაში არსებული მრავალფეროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ჰარმონიულობის უზრუნველყოფაში. ქართული ენის ფონოლოგიაში არსებული მრავალფეროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ჰარმონიულობის უზრუნველყოფაში.

1.1.2. კბილისმიერა ხშულა + უკანაენასმიერა ხშულა
ქართული ენის ფონოლოგიაში კბილისმიერა ხშულა და უკანაენასმიერა ხშულა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ჰარმონიულობის უზრუნველყოფაში. ქართული ენის ფონოლოგიაში არსებული მრავალფეროვნება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ჰარმონიულობის უზრუნველყოფაში.

თავი I

ჩქამიერ თანხმოვანთა ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები

1.1. I რიგისმიერი + II რიგისმიერი

1.1.1. I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული

1.1.1.1. ბაგისმიერი ხშული + უკანაენისმიერი ხშული

ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში როგორც ერთი მორფემის ფარგლებში, ასევე მორფემათა ზღვარზე **ხშული + ხშული** მიმდევრობის კომპლექსები შეზღუდული რაოდენობით ვლინდება.

კომბინაციიდან **ბაგისმიერი ხშული /ბფზ/ + უკანაენისმიერი /გქკვ/** ჩვენ მიერ განხილულ მასალაში თავკიდურ პოზიციაში გამოვლინდა მხოლოდ **ფქ** კომპლექსი სიტყვაში **ფქილი**, სადაც **ფქ** თანხმოვანთკომპლექსი მეორეული წარმოშობისაა, მიიღება სამკომპონენტიანი კომპლექსიდან /ვ/-ს ამოვარდნით (<**ფქვილი**)||ქბილი||ქვილი; ამ პოზიციაში დაგვიდასტურდა **ბკ** კომპლექსიც: **ბკე...**

ინტერვოკალურ პოზიციაში გვხვდება შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები:

ფქ: ი**ფქ**ის, და**ფქ**ო, და**ფქ**ავს... (ზმნურ ფორმებში);

ბგ: ა**ბგ**ა;

ბკ: ა**ბკ**ი...

1.1.1.2. კბილისმიერი ხშული + უკანაენისმიერი ხშული

ფერეიდნულ დიალექტში კომბინაცია **კბილისმიერი ხშული /დთტ/ + უკანაენისმიერი ხშული /გქკვ/** შედარებით აქტიური აღმოჩნდა. ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსებიდან მასალაში დაგვიდასტურდა:

ა) **ღგ** თანხმოვანთკომპლექსი — ზმნის ფორმებში **ღგა**, **ღგომოლა**, **ღგანან**. როგორც სამწიგნობრო ქართულში, ასევე ფერეიდნულ დიალექტშიც **ღგ** მიმ-

დევრობა მეორეული წარმოშობისაა. ამ კომპლექსის ამოსავალია /დეგ/; მაგ.: დავდეგ; რაც მასალაში არაერთხელ დადასტურდა.

ბ) თქ კომპლექსი — თქმა ზმნის ფორმებში; მაგ.: სიტყვის თავში: თქის, თქეს, სიტყვის შუა პოზიციაში კი ითქეს, ეთქა (< ეთქვა) ფორმებში.

გ) ტკ, რომელიც დადასტურდა სიტყვებში ტკაცა-ტკუცი, ტკაველი (< მტკაველი), ასევე ვლინდება სამკომპონენტო სიტყვაში ტკბილი.

1.1.1.3. წინანუნისმიერი ხშული + უკანანუნისმიერი ხშული

მიმდევრობა წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/ + უკანანუნისმიერი ხშული /გქკვ/ სამწიგნობრო ქართულში გვაძლევს ძგ, ცქ, წკ კომპლექსებს ანუ გ. ახვლედიანისეულ ჰარმონიული კომპლექსების A სისტემის მესამე რიგს. ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსებიდან დადასტურდა მხოლოდ წკ თანხმოვანთკომპლექსი, რომელიც გამოვლინდა სიტყვის თავიკიდურად ერთადერთ სიტყვაში წკებლა და ინტერვოკალურ პოზიციაში სიტყვაში მიწკაპწკაპება.

ჩვენს ხელთ არსებულ ფერეიდნულ მასალაში არ შეგვხვდა მოსალოდნელი ძგ, ცქ კომპლექსები.

1.1.1.4. უკანანუნისმიერი ხშული + უკანანუნისმიერი ხშული

წინანუნისმიერი ხშული + უკანანუნისმიერი ხშულის მსგავსად იშვიათია კომბინაცია უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჭ/ + უკანანუნისმიერი ხშული /გქკ/ს კომბინაციაც. მოსალოდნელი ჯგ, ჩქ, ჭკ თანხმოვანთკომპლექსებიდან გამოვლინდა მხოლოდ ჭკ კომპლექსი სიტყვებში ჭკუა, ჭკიანი (< ჭკვიანი), სხვა პოზიციაში ჭკ მიმდევრობა არ დაგვიდასტურდა.

1.1.2. I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი

1.1.2.1. ბაგისმიერი ხშული + უკანაენისმიერი ნაპრალოვანი

/3/-ს გარდა ყველა უკანაენისმიერი ნაპრალოვანი კომბინაციას ქმნის ბაგისმიერ ხშულებთან; ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც /3/-ს დისტრიბუცია საერთოდ მთელს ქართველურ ქვესისტემებში შეზღუდულია: ერთი მორფემის ფარგლებში /3/ რომელიმე ხშულთან ან ნაპრალოვანთან წყვილში არ გვხვდება. /3/ ბგერა ფერეიდნულ დიალექტში ძირითადად ქართული ფონოტაქტიკის წესების მიხედვით იქცევა; კერძოდ, სიტყვის თავკიდურ პოზიციაში დასტურდება მხოლოდ ხმოვნებთან მეზობლობაში (ზოგჯერ ამ პოზიციაშიც იკარგება). /3/ ბგერა გვხვდება აგრეთვე სიტყვის შუაში სპარსულ სიტყვებში სონორთა წინ. სხვა პოზიციაში იგი არ გამოვლინდა (იხ. ქვემოთ).

განალიზებულ ტექსტებში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში კომბინაციიდან **ბაგისმიერი ხშული /ბვბ/ + უკანაენისმიერი ნაპრალოვანი /ლხყ/** ფერეიდნულ დიალექტში გვხვდება **ბღ: ბღარი, ბღარტი...**

სიტყვის შუა პოზიციაში **ფხ** კომპლექსი გვხვდება სიტყვებში: **გაზაფხული, ზაფხული, ნიფხავი...**

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით /3/ ფონემა ფერეიდნულ დიალექტში ვერ ქმნის თანხმოვანთკომპლექსს ვერც ერთი მორფემის შიგნით და ვერც მორფემათა ზღვარზე. გამოირჩევა შეზღუდული დისტრიბუციით და კომპლექსს ქმნის მხოლოდ /რ/ სონორთან ერთადერთ სიტყვაში და იშვიათად /ხ/ ნაპრალოვანის მომდევნოდ, მაგალითად, **ხპო||ხფო||ხბო** (იხ. ქვემოთ).

1.1.2.2. კბილისმიერი ხშული + უკანაენისმიერი ნაპრალოვანი

ფერეიდნულ დიალექტში კომბინაცია **კბილისმიერი ხშული /დთტ/ + უკანაენისმიერი ნაპრალოვანი /ღხყ/** ანუ ჰარმონიულ კომპლექსთა B სისტემის მეორე რიგი **ღღ, თხ, ტყ** თანხმოვანთკომპლექსები სრულად არის წარმოდგენილი.

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში **ღღ** მიმდევრობა გვაქვს სიტყვებში **ღღვება, ღღე (ღღიური, ღღევანდელი)**.

სიტყვის შუაში **ღღ** თანხმოვანთკომპლექსი არ გვხვდება, ხოლო ჩანს მორფემათა ზღვარზე, როცა სიტყვას დაერთვის **/-ღა/** ნაწილაკი, რომელსაც ძალიან ხშირი გამოყენება აქვს ფერეიდნულში; მაგ.: **საღღა, რაღღა, ბააღღა...**

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში **თხ** ჰარმონიული კომპლექსი გვაქვს სიტყვებში **თხელი, თხა, (თხები)** და **თხარა** ზმნისგან ნაწარმოებ ფორმებში.

სიტყვის შუაში **თხ** კომპლექსი შეგვხვდა სიტყვაში **ნათხონი** და **კითხვა**, **წაკითხვა** და **შეკითხვა** ზმნათა ფორმებში

სიტყვის ბოლოკიდურად **თხ** თანხმოვანთკომპლექსი ერთი მორფემის ფარგლებში ჩანს სიტყვაში **ოთხი**.

ტყ კომპლექსი გვაქვს სიტყვის თავკიდურ პოზიციაში: **ტყემალი, ტყუილი**. აქ ის წარმოდგენილია როგორც პირველადი თანხმოვანთკომპლექსი, ხოლო სიტყვაში **ტყივა** და **ტყელი ტყ** მეორეულია, ვინაიდან მიღებულია სამ და **ოთხ**-წევრიანი თანხმოვანთკომპლექსთა გამარტივებით.

ტყ მიმდევრობა ბუნებრივია ინტერვოკალურ პოზიციაში: **სიტყვა, შეტყობა** და **შეტყობინება** ზმნათა ფორმებში.

ტყ წარმოდგენილია სიტყვის ბოლოში მორფემათა ზღვარზე იმ შემთხვევაში, როცა სიტყვას დაერთვის **/-ყე/** ნაწილაკი. **/-ღა/** ნაწილაკის მსგავსად **/-ყე/-საც** აქტიურად იყენებენ ფერეიდნელები თავიანთ მეტყველებაში, ამიტომ ის

ბევრ თანხმოდანთან შედის კომბინაციაში მორფემათა ზღვარზე და ქმნის თანხმოდანთკომპლექსს.

ტყ კომპლექსი ჩანს სიტყვებში: გვევბარე**ტყე**, ვიტყი**ტყე**... აქ ის არის მეორეული /ყ/-ს გავლენით მოხდა /თ/ ბგერის გამკვეთრება, ამიტომ გვაქვს პარალელური ფორმები **ტყისყ**.

როგორც ვნახეთ ფერეიდნულ დიალექტში სრულად არის წარმოდგენილი B სისტემის მეორე რიგი — **დღ, თხ, ტყ** ჰარმონიული კომპლექსები, ხოლო მორფემათა ზღვარზე გამოვლინდა მხოლოდ **თყ** კომპლექსი.

1.1.2.3. წინანუნისმიერი ხშული + უკანანისმიერი ნაპრალოვანი

წინანუნისმიერი /ძცწ/ ხშულების კომბინაცია უკანანისმიერ ნაპრალოვნებთან ვაძღვეს **ძღ, ცხ, წყ** თანხმოდანთკომპლექსებს ანუ ჰარმონიულ კომპლექსთა B სისტემის მესამე რიგს.

ფერეიდნულ დიალექტში **ძღ, ცხ, წყ** ჰარმონიული კომპლექსები სრულად არის წარმოდგენილი ერთი მორფემის ფარგლებში.

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში **ძღ** როგორც მეორეული კომპლექსი დადასტურდა სიტყვაში **ძღენი**. ფერეიდნულში **ძღ** როგორც პირველადი კომპლექსი არ გამოვლინდა, ასევე არ გამოვლინდა ის ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვის შუა და ბოლო პოზიციაში.

მორფემათა ზღვარზე **ძღ** მიმდევრობა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა, /ძ/ თანხმოდანზე დაბოლოებულ სიტყვას დაერთვის /-ლა/ ნაწილაკი; მაგ.: რა**ძღა**, მინა**ძღა**; ყონალი**ძღა**... ამ პოზიციაში **ძღ** კომპლექსის ნაცვლად მოსალოდნელი იყო **ცღ** თანხმოდანთკომპლექსი — რა**ცღა** (< რა**ც-ღა**), მინა**ცღა** (< ვინ**ც-ღა**), ყონალი**ცღა** (< ყონალი**ც-ღა**), მაგრამ არ გამოვლინდა.

ფერეიდნულ დიალექტში **ცხ** ჰარმონიული კომპლექსი სიტყვის თავკიდურად საკმაოდ ბევრ სიტყვებში ჩანს; მაგ.: **ცხავი, ცხენი, ცხელი, ცხორი**, ასევე **ცხო** და **ცხონება** ზმნათა ფორმებში.

ცხ კომპლექსი გამოვლინდა ასევე სიტყვის შუა პოზიციაშიც; მაგ.: **ცოცხალი** და **რეცხვა** ზმნის ფორმებში — **რეცხე, რეცხო, რეცხავს, დადრეცხა...**

წყ თანხმოვანთკომპლექსი სიტყვის თავკიდურ პოზიციაში დადასტურდა სიტყვებში **წყარო, წყალი**, ასევე სიტყვის შუაში — **საწყალი, აწყა** და **მოწყობა** ზმნის ფორმებში. სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში **წყ** კომპლექსი არ ჩანს.

1.1.2.4. უკანანუნისმიერი ხშული + უკანაენისმიერი ნაპრალოვანი

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში ერთი მორფემის ფარგლებში მოსალოდნელი **ჯღ, ჩხ, ჭყ** თანხმოვანთკომპლექსებიდან დაგვიდასტურდა **ჩხ** ჰარმონიული კომპლექსი: სიტყვის თავკიდურ პოზიციაში **ჩხირი**; ინტერვოკალურ პოზიციაში **აჩხა** (ქართველთა სოფლის სახელია ფერეიდანში), **ფიჩხი** და **გაფიჩხება** ზმნის ფორმებში.

გაანალიზებულ ტექსტებში არ დადასტურდა **ჯღ, ჭყ** კომპლექსები. ჩვენ ეს თანხმოვანთკომპლექსები გადავამოწმეთ ზეპირ მეტყველებაში; კერძოდ, ფერეიდუნშაჰრში მცხოვრებ აჰმად მულიანთან; გამოვლინდა შემდეგ სიტყვებში:

ჯღ: **ჯღავანა, ჯღაბნა;**

ჭყ: **ჭყავი, ჭყინტი...**

1.1.3. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული

1.1.3.1. კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი + უკანაენისმიერი ხშული

კბილბაგისმიერი ყრუ ნაპრალოვანი /**ქ**/ უკანაენისმიერებიდან როგორც მოსალოდნელი იყო გამოვლინდა მორფემათა ზღვარზე /**კ**/ ყრუ ხშულთან მეზობლობაში, ნაცვლად **ვკ** მიმდევრობისა წარმოდგენილია **ძკ**, ზმნაში გადმოძვეცოთ.

1.1.3.2. წინანუნისმიერი ნაპრალოვანი + უკანაენისმიერი ხშული

ფერეიდნულ დიალექტში ჩვენს ხელთ არსებულ მასალის მიხედვით სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ამ მიმდევრობიდან დაგვიდასტურდა **სქ** თანხმოვანთკომპლექსი ერთადერთ სიტყვაში **სქელი**.

უკანაენისმიერ ხშულთაგან **ჩხ**/ წინანუნისმიერი ნაპრალოვანი სიტყვის ვერც ერთ პოზიციაში ვერ ქმნის თანხმოვანთკომპლექსს.

სიტყვის შუაში **სქ** მიმდევრობა გამოვლინდა სიტყვაში მეწისქილე, რომელიც არის მეორეული და მიღებულია სამკომპონენტიანი კომპლექსის გამარტივებით.

სკ მიმდევრობა გვაქვს სიტყვებში ნისკარტი, დასკა, ესკოლა.

ჩვენ მიერ განხილულ ტექსტებში კომბინაციიდან **წინანუნისმიერი ნაპრალოვანი + უკანაენისმიერი ხშული** დადასტურდა მხოლოდ **სქ** და **სკ** კომპლექსები.

1.1.3.3. უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი + უკანაენისმიერი ხშული

/ყ/ ნაპრალოვანს თანხმოვანთკომპლექსის შექმნა უჭირს. უკანაენისმიერ ხშულთაგან ის არც ერთთან არ შედის კომბინაციაში.

უკანანუნისმიერი ყრუ ნაპრალოვანი /შ/ უკანაენისმიერ ხშულთაგან ერთი მორფემის ფარგლებში გვხვდება /კ ქ/-თან მეზობლობაში, ხოლო მორფემათა ზღვარზე /გ/-ს მეზობლობაშიც დადასტურდა.

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში შკ როგორც მეორეული თანხმოვანთკომპლექსი შეგვხვდა სიტყვაში შკოლა; სიტყვის შუაში კი შკ მიმდევრობაა სიტყვაში დაშკესანა. ამ პოზიციაში შკ დაფიქსირდა მორფემათა ზღვარზეც სპარსული სიტყვის კომპოზიტში, მაგალითად, არაიეშკაჩი. გვხვდება ასევე შკ კომპლექსის პარალელური ფორმა შგ-ც არაიეშკა||არაიეშგა (< არაიეშგაჰ, დანეშგაჰ).

შქ თანხმოვანთკომპლექსი ერთი მორფემის ფარგლებში წარმოდგენილია სიტყვაში ლაშქარი.

1.1.4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი

1.1.4.1. კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი + უკანაენისმიერი ნაპრალოვანი

კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი /ქ/ მორფემის ფარგლებში უკანაენისმიერ ნაპრალოვანებიდან თანხმოვანთკომპლექსს ქმნის მხოლოდ /ყ/-თან. ძყ კომპლექსი წარმოდგენილია სპარსულ ნასესხობაში, მაგალითად, აძყანი (აძყანები). /ქ/ მორფემათა ზღვარზე შეგვხვდა /ხ ყ/ მეზობლობაში; მაგ.:

ძხ: დაძხარჯოთ...

ძყ: ჩაძყრით, დაძყონალოთ, გაძყოთ...

1.1.4.2. წინანუნისმიერი ნაპრალოვანი + უკანანისმიერი ნაპრალოვანი

ფერეიდნულ დიალექტში ერთი მორფემის ფარგლებში პასიურია მიმდევრობა წინანუნისმიერი ნაპრალოვანი /ზს/ + უკანანისმიერ ნაპრალოვან /ღხყ/.

ამ კომბინაციის შედეგად მიღებული თანხმოვანთკომპლექსებიდან სიტყვის თავკიდურ პოზიციაში გამოვლინდა:

ზღ: ზღაპარი, ზღვა;

სხ: სხო, სხოვან, სხილი...

სამივე შემთხვევაში **სხ** მიღებულია **სხვა** მიმდევრობის გამარტივებით.

სიტყვის შუაში **სხ** თანხმოვანთკომპლექსი გვხვდება ჩასხმა ზმნის ფორმებში — ჩადსხა, ასხამს...

ფერეიდნულ დიალექტში ერთი მორფემის ფარგლებში არც ერთ პოზიციაში არ გამოვლინდა **ზხ**, **ზე**; **სღ**, **სყ** თანხმოვანთკომპლექსები, ხოლო მორფემათა ზღვარზე ეს მიმდევრობები დადასტურდა; მაგ.:

ზხ: მარიზხანა (სპ. „საავადმყოფო“);

სღ: ესღა, ღღესღა;

სყ: იყვისყე, ასწავლიდისყე;

ზღ: რაზღა, ეზღა...

1.1.4.3. უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი + უკანანისმიერი ნაპრალოვანი

ფერეიდნულ დიალექტში იშვიათია უკანანუნისმიერი ნაპრალოვნების კომბინაცია უკანანისმიერ ნაპრალოვნებთან. ამ მიმდევრობიდან ერთი მორფემის ფარგლებში გამოვლინდა მხოლოდ მეორეული **ზხ** კომპლექსი სიტყვის თავკიდურ პოზიციაში, რომელიც მიღებულია **ხშ**-ს მეტათეზისით: **ხშირი** > **ზხირი**.

სხვა შემთხვევა მიმდევრობისა უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი განხილულ მასალაში არც მორფემის ფარგლებში და არც მორფემათა ზღვარზე არ ჩანს.

1.2. II რიგისმიერი + I რიგისმიერი

1.2.1. II რიგისმიერი სშული + I რიგისმიერი სშული

1.2.1.1. უკანანისმიერი სშული + ბაგისმიერი სშული

ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში კომბინაცია სშული + სშული ანუ თ. უთურგაიძის ტერმინოლოგიით ნულოვანი ნაპრალოვნობის თანხმოვანთ-კომპლექსები ძალზედ შეზღუდული რეალიზაციით გამოირჩევა.

მიმდევრობიდან უკანანისმიერი სშული /გქკვ/ + ბაგისმიერი სშული /ზფვ/ ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში გამოვლინდა:

კბ: კბილი||კილი;

ქფ: ქფილი||ქბილი||ფქილი;

ვბ: ვბო||ვფო||ვპო...

სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში კომბინაცია უკანანისმიერი სშული + ბაგისმიერი სშული არც მორფემის ფარგლებში და არც მორფემათა ზღვარზე არ გვხვდება.

სიტყვის შუაშიც ძალზედ პასიურია ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსები. გამოვლინდა მხოლოდ ქფ კომპლექსი და ფქვა ზმნის ფორმებში. კერძოდ, დაფქვის, დაფქვო...

საყურადღებოა ვბ, ვფ, ვპ კომპლექსები: ფერეიდნულ დიალექტში ვბო||ვფო||ვპო პარალელური ფორმები ჭარბობს სბო||სფო||სპო ფორმებს.

სბ, სფ, სპ კომპლექსები ისტორიულად ქართულ ენაში არ არსებობდა, ისინი ახლაც არ გვაქვს მთის დიალექტში, სადაც ჯერ კიდევ შემონახულია /ვ/

ხშული. ძველ ქართულში დასტურდება ვბო, ვბოვარ (შდრ. ვბოვრედი); მაშასადამე, ხბ-ს გაჩენა ენაში დაკავშირებულია ვ/ზ პროცესთან (თ.უთურგაიძე, 1976, გვ. 96).

1.2.1.2. უკანაენისმიერი ხშული + კბილისმიერი ხშული

ფერეიდნულ დიალექტში კომბინაციიდან უკანაენისმიერი ხშული /გქკვ/ + კბილისმიერი ხშული /დთტ/ გამოვლინდა კდ, ქთ, ქტ.

კდ გვხვდება როგორც მეორეული თანხმოვანთკომპლექსი სიტყვის თავკიდურ პოზიციაში — კდარი (< მკვდარი).

ქთ მიმდევრობაა სიტყვის შუა პოზიციაში — რაქთენი, დიქთათი, თარაქთოლი, დოქთორი.

ქტ კომპლექსი გვხვდება ქთ-ს პარალელურად სიტყვაში დოქტორი||დოქთორი; დიქტათი||დიქთათი.

სხვა შემთხვევა კომბინაციიდან უკანაენისმიერი ხშული + კბილისმიერი ხშული არც მორფემის ფარგლებში და არც მორფემათა ზღვარზე არ გამოვლინდა.

1.2.1.3. უკანაენისმიერი ხშული + წინანუნისმიერი ხშული

ფერეიდნულ ტექსტებში კომბინაცია უკანაენისმიერი ხშული /გქკვ/ + წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/ სიტყვის არც ერთ პოზიციაში არ შეგვხვდა.

1.2.1.4. უკანაენისმიერი ხშული + უკანანუნისმიერი ხშული

ფერეიდნულ დიალექტში არ დადასტურდა კომბინაცია უკანაენისმიერი ხშული /გქკვ/ + უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჭ/.

1.2.2. II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

1.2.2.1. უკანაენისმიერი ხშული + კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი

ფერეიდნულ დიალექტში სიტყვის არც ერთ პოზიციაში არ გამოვლინდა კბილბაგისმიერი /ტ/ ნაპრალოვანის კომბინაცია უკანაენისმიერი ხშულების მომდევნოდ, არც მორფემის ფარგლებში და არც მორფემათა ზღვარზე.

1.2.2.2. უკანაენისმიერი ხშული + წინანუნისმიერი ნაპრალოვანი

უკანაენისმიერი ხშული /გქკვ/-ს მეზობლობაში წინანუნისმიერი ნაპრალოვანი /ზს/ იშვიათად დასტურდება. უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესად, უკანაენისმიერი ხშულები კომბინაციაში შედის სონორებთან (იხ.ქვემოთ).

კომბინაციიდან უკანაენისმიერი ხშული /გქკვ/ + წინანუნისმიერი ნაპრალოვანი /ზს/ თავკიდურ პოზიციაში გამოვლინდა გზ ქს კომპლექსები; მაგ.: გზა; ქსელი... ქს კომპლექსია ასევე ბოლოკიდურ პოზიციაში; მაგ.: ლექსი, აქსი. სხვა შემთხვევაში მიმდევრობა უკანაენისმიერი ხშული /გქკვ/ + წინანუნისმიერი ნაპრალოვანი /ზს/ არ გვხვდება.

1.2.2.3. უკანაენისმიერი ხშული + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი

უნდა აღინიშნოს, რომ უკანაენისმიერ ხშულებს უჭირთ თანხმოდანთკომპლექსის შექმნა როგორც წინანუნისმიერ /ზს/ ნაპრალოვანთან, ასევე უკანანუნისმიერ /ჟშ/ ნაპრალოვანთანაც. გაანალიზებული ტექსტების მიხედვით არც მორფემის ფარგლებში და არც მორფემათა ზღვარზე არ გამოვლინდა უკანაენისმიერი ხშული /გქკვ/ + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი /ჟშ/-ს კომბი-

ნაცია. ჩვენ გადავამოწმეთ მასალა თბილისში ახლად ჩამოსულ ფერეიდნელებთან, კერძოდ, თამარ იოსელიანთან, აჰმად მულიანთან და ასლან ასლანიშვილთან და დაგვიდასტურდა მოსალოდნელი ქმ თანხმოდანთკომპლექსი ქმინავს ზმნის ფორმებში; მაგ.: ქშენს, დაქშინა...

1.2.3. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული

1.2.3.1. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი + ბაგისმიერი ხშული

მიმდევრობიდან უკანაენისმიერი ნაპრალოვანი /ღხყ/ + ბაგისმიერი ხშული /ბფვ/ საყურადღებოა ხბ, ხფ, ხვ კომპლექსები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტორიულად ეს კომპლექსები ქართულში არ არსებობდა... ხბ-ს გაჩენა ენაში დაკავშირებულია ე||პ პროცესთან (თ. უთურგაძე, 1976, გვ. 96).

თ. ჭავჭავაძის აზრით, რამდენადაც სპარსული ენის ბგერათა პარადიგმატიკა საკმაოდ განსხვავდება ქართულისაგან, კერძოდ, სიტყვის თავში რამდენიმე თანხმოდანის თავმოყრა არ ხდება, ფერეიდნელის მეტყველებაში სიტყვა ხბო გახმოდანებულია სპარსულ ყაიდაზე — თანხმოდანთგამყარი ხმოდანის ჩართვით ხგბო (თ. ჭავჭავაძე, გვ. 156). საყურადღებოა, რომ სხვა ქართულ კილოებშიც გვხვდება ამგვარი ვითარება, დასტურდება ხობო||ხუბო ფორმები; შესაბამისად, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ფერეიდნულს დაცული აქვს არქაული ქართულის ვითარება (შდრ. სვანური ხაბნა; ხობ-ხაბ ფუძეთა შესახებ იხ. ტ. ფუტკარაძე, 1991, გვ. 70-71).

აღსანიშნავია, რომ ფერეიდნული ქართული ენის ნიმუშების ფიქსირებული მასალა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ სიტყვათა გასრულხმოდანების პროცესის განვითარებას ფერეიდნულში.

ფერეიდნულ დიალექტში **ხგო**-ს პარალელურად გამოვლინდა **ხგო** ფორმაც, ასევე **ვგო** (იხ. ზემოთ).

ხვ თანხმოვანთკომპლექსი გვხვდება სპარსულ ენიდან ნასესხებ კომპოზიტში სომა**ხ**ფალუნი (სპ. “ცხრილი, საწურავი”); მაგ.: “პარსელები სომახფალუნსა ვმარობდეს, ჩონ ვიძახოდით საწურავი” (მ. მაჭავარიანი, 1985). ამ მიმდევრობის სხვა თანხმოვანთკომპლექსები განხილულ მასალაში არ გამოვლინდა.

1.2.3.2. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი + კბილისმიერი ხშული

ფერეიდნულ დიალექტში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში არც ერთი შემთხვევა არ დადასტურდა კომბინაციისა **უკანაენისმიერი ნაპრალოვანი /ღხყ/ + კბილისმიერი ხშული /დთტ/**.

სიტყვის შუა პოზიციაში ამ მიმდევრობის თანხმოვანთკომპლექსები უმეტესად სპარსული წარმომავლობის სიტყვებში გამოვლინდა; მაგ.:

ხთ: ე**ხ**თიარი (სპ. “არჩევანი”);

ხტ: ბა**ხ**ტიარი, სა**ხ**ტემანი (სპ. „შენობა“)...

ხდ კომპლექსი შეგვხვდა მხოლოდ მო**ხ**დომა ზმნის ფორმებში — მ**ა**ხდინა, გა**ხ**დომილიყო. ამ პოზიციაში არ გამოვლინდა მიმდევრობა **/ღ/ ნაპრალოვანი + კბილისმიერი ხშული /დთტ/** და არც **/ყ/ ნაპრალოვანი + /დთტ/ ხშული**.

სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში კომბინაციიდან **/ღხყ/ ნაპრალოვანს + /დთტ/ ხშული** ფერეიდნულში რეალიზებულია მხოლოდ **ღღყღ|ხთ|ხტ** კომპლექსები სპარსულ სიტყვებში; მაგ.:

ღღყღ|ხთ კომპლექსთა მონაცვლეობაა სიტყვაში **აღღყღ|ხთ**. ეს სიტყვა ფერეიდნულ ტექსტში სამივე ფორმით გვხვდება.

ხტ მიმდევრობაა ასევე სპარსულ სიტყვებში ა**ჰ**დობა**ხტ** (სპ. „ბედნიერება“), სარვა**ხტი**|სარვა**ყთი**|სარვა**ხთი**.

1.2.3.3. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი + წინანუნისმიერი ხშული

ფერეიდნულ დიალექტში არც ერთ პოზიციაში არ გამოვლინდა კომბინაცია უკანაენისმიერი /ლხყ/ ნაპრალოვანი + წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/.

1.2.3.4. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი+უკანანუნისმიერი ხშული

წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/-გან განსხვავებით უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჭ/ უკანაენისმიერ ნაპრალოვან /ლხყ/-თან კომბინაციაში დაგვიდასტურდა: როგორც მოსალოდნელი იყო სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსები არ გამოვლინდა. სიტყვის შუაში კი ერთი მორფემის ფარგლებში შეგვხვდა ხჩ თანხმოვანთკომპლექსი; მაგ.:

ხჩ: ახჩარი და ჩამოხჩობა ზმნის ფორმებში. ხჩ შეგვხვდა აგრეთვე სიტყვაში ჩახჩახი, რომელიც მიღებულია ფუძის გაორკეცვით.

მასალაში გამოვლენილი ყჯ თანხმოვანთკომპლექსი შეგვხვდა ერთადერთ სიტყვაში მორფემათა ზღვარზე, რომელიც მიღებულია ფუძის გაორკეცვით, მაგალითად, ჯაყჯაყი.

სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში კი კომბინაცია უკანაენისმიერი ნაპრალოვანი /ლხყ/ + უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჭ/ არ დასტურდება; მორფემათა ზღვარზე ვლინდება მიმდევრობა /ლხყ/ ნაპრალოვანი + /ჩ/ ხშული; ხოლო ერთი მორფემის ფარგლებში ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსები არ გვხვდება; მაგ.:

ღჩ: ჩარბაღჩი (სპ. "ოთხი ბალი," მთავარი გამზირი ისპაჰანში);

ხჩ — სახჩი, ჩირახჩი (სპ. "ნათურა, ჭრაქი");

ყჩ — ფარჩიყჩი...

1.2.4. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

1.2.4.1. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი + კბილბაგისმიერი

ნაპრალოვანი

ფერეიდნულ დიალექტში უკანაენისმიერი ნაპრალოვნების მომდევნოდ სიტყვის არც ერთ პოზიციაში არ ვლინდება კბილბაგისმიერი ყრუ სპირანტი /ტ/.

1.2.4.2. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი + წინანუნისმიერი

ნაპრალოვანი

ფერეიდნულ დიალექტში იშვიათია ერთი მორფემის ფარგლებში მიმდევრობა უკანაენისმიერი ნაპრალოვანი /ღხყ/ + წინანუნისმიერი ნაპრალოვანი /ზს/.

სიტყვის თავკიდურად მოსალოდნელი ხს (ხსოვნა) კომპლექსი არ გამოვლინდა, ინტერვოკალურ პოზიციაში კი გვაქვს ფორმაში ეხსოვნა. ერთი მორფემის ფარგლებში ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსი შეგვხვდა სპარსულ სიტყვაში შახსი (სპ. „ვინმე“).

კომბინაცია უკანაენისმიერი ნაპრალოვანი + წინანუნისმიერი

ნაპრალოვანი აქტიურია მორფემათა ზღვარზე, გვაქვს შემდეგი კომპლექსები:

მაგ.:

ღზ: სორაღზე (სპ. „კვალი“);

ხზ: კინწიხზე;

ყზ: მოაჭყყზე (სპ. „თანხმობის მიცემა“);

ღს: ყათუღს (სპ. „მაწონი“), **დაღს** (სპ. „მწუხარება, ნალველი“);

ხს: ჯოხს, ხახს;

ეს: ჰაეს (სპ. „უფლება“), რაჭიეს (სპ. „დიდი, მნიშვნელოვანი“)...

1.2.4.3. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი

განხილულ მასალაში არ გვხვდება უკანაენისმიერი ნაპრალოვანი /ღხყ/ + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი /ჟ/. გამოვლინდა **ხშუშხ** ფორმები: ხშირი||შხირი.

სიტყვის შუა პოზიციაში **ხშ** თანხმოვანთკომპლექსი გვაქვს სიტყვაში ვახშიამი, ისტორიულად ეს პოზიცია მორფემათა ზღვარია, ვინაიდან სიტყვა ვახშიამი სპარსულ ენაში წარმოადგენს კომპოზიტს ვაყთ||ვახთ — დრო; შამ — ღამე „საღამოს დრო.“

სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში **ხშ** კომპლექსი გვხვდება სპარსულ სიტყვაში ბახშ (აბახშ||აბახშა).

სხვა მოსალოდნელი თანხმოვანთკომპლექსები მიმდევრობიდან უკანაენისმიერი ნაპრალოვანი + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი განხილულ მასალაში არ გამოვლინდა.

1.3. I რიგისმიერი + I რიგისმიერი

1.3.1. I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული

1.3.1.1. ბაგისმიერი ხშული + I რიგისმიერი სხვა ხშული

ა) ბაგისმიერი ხშული /ბფბ/ + ბაგისმიერი ხშული /ბფბ/

ფერეიდნულ დიალექტში კომბინაცია ხშული + ხშული ანუ ნულოვანი მოდელი ძალზედ პასიურია.

ბაგისმიერი ხშული /ზფპ/ ბაგისმიერების მეზობლობაში არ დადასტურდა, გარდა ერთი შემთხვევისა. ფერეიდნულ ტექსტებში შეგვხვდა **ფფ** თანხმოვანთ-კომპლექსი. თავკიდურ პოზიციაში ეს კომპლექსი როგორც მოსალოდნელი იყო არ გამოვლინდა. სიტყვის შუაში კი შეგვხვდა სიტყვაში **ნეფფე**, ხოლო ბოლო-კიდურ პოზიციაში სიტყვებში — **თოფფი**, **ოფფი**...

ცნობილია, რომ ქართული ენისათვის დამახასიათებელი არ არის გემინირებული თანხმოვნები. სპარსული ენისათვის კი ეს დამახასიათებელია; შესაბამისად, უცხო ენის გავლენით ფერეიდნულთა მეტყველებაშიც (თვით ქართულ სიტყვებშიც) ვლინდება გემინირებული თანხმოვნები. ეს საკითხი ვრცლად განხილულია დ. ჩხუბიანიშვილის ნაშრომში “ქვემო ფერეიდნულის ზოგი თავისებურება (სოფ. დაშქესანას მონაცემების მიხედვით)“, სადაც ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ ქვემო ფერეიდნულში არსებული გემინირებული თანხმოვნები შემოაჭყვა ნასესხებ სიტყვებს; ასეთია მაგ.: **ამმა** (მაგრამ), **მოლლა**, **აველლა** (პირველი), **ქალლა**, **ფორრუ** (თავხელი)... თუმცა, წინაენისმიერებისა და ბაგისმიერების გაორკეცება ხდება ქართულ მასალაშიც. ეს არის უპირველეს ყოვლისა რიცხვითი სახელები: **სამმი**, **ხუთთი**, **შიდდი**, **ათთი**, **ოცცი**, **ცხრაშმეტი**; აგრეთვე **მეტტი**, **ოფფი**... ფერეიდნულში გემინატებს არა აქვს ფონემური ღირებულება, ისინი უფრო ექსპრესიული ფუნქციისა უნდა იყოს. გემინატების შემცველი სიტყვები ფრაზაში ერთგვარი მახვილით, ტონის აწევით წარმოითქმის (დ. ჩხუბიანიშვილი, 2002, გვ. 84).

გემინირებული თანხმოვნები ქართულშიც გვხვდება, მაგრამ არა ერთი მორფემის ფარგლებში, არამედ მორფემათა ზღვარზე; მაგ.: **იაფფასიანი**...

სხვა შემთხვევა თანხმოვანთკომპლექსებისა კომბინაციიდან **ბაგისმიერი ხშული + ბაგისმიერი ხშული** განხილულ მასალაში არ დადასტურდა.

ბ) ბაგისმიერი ხშული /ბფბ/ + კბილისმიერი ხშული /დთტ/

ხულოვანი მოდელის ეს კომბინაცია სიტყვის თავკიდურ პოზიციაში არ გამოვლინდა.

სიტყვის შუაში ერთი მორფემის ფარგლებში დაფიქსირდა ფთ თანხმოვანთ-კომპლექსი სიტყვაში სუფთა.

სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში იგივე კომპლექსი შეგვხვდა სპარსული წარმომავლობის სიტყვაში ზაფთი („მსუქანი, სავსე“).

ერთი მორფემის ფარგლებში მიმდევრობიდან ბაგისმიერი + კბილისმიერი შეგვხვდა პტ, მაგრამ მხოლოდ სამკომპონენტო სიტყვაში: საპტკაპავი, ნაპტკენი. მორფემათა ზღვარზე კი გამოვლინდა ამ რიგის რამდენიმე თანხმოვანთკომპლექსი; გამოქვეყნებულ ტექსტებში გვაქვს ბდ მიმდევრობა. ზმნის ფორმებში, კერძოდ, I სერიის მწკრივებში ათორიალებდა, ათორიალებდი, მოიგონებდა, მოიგონებდი. ბთ: გადმოიღებთ, ანთებთ, გავაჯობთ... ვლინდება ბთ კომპლექსის პარალელური ფორმაც ფთ რაც უფრო ბუნებრივია ზეპირი მეტყველებისათვის; მაგ.: გამოიღეფთ, ანთეფთ.

შენიშვნა: ჩვენს მოსაზრებას ამყარებს ფერეიდნელებთან გადამოწმებული მასალა. სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში არც ერთ სიტყვაში არ დადასტურდა ბთ მიმდევრობა.

გ) ბაგისმიერი ხშული /ბფბ/ + წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/

სიტყვის თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში ბაგისმიერი ხშული /ბფბ/ არ გვხვდება წინანუნისმიერ ხშულ /ძცწ/-თან მეზობლობაში.

ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსებიდან ერთი მორფემის ფარგლებში ფერეიდნულში დადასტურდა მხოლოდ ბძ და პწ.

ბძ კომპლექსი გვაქვს სიტყვაში საბძელი. უფრო ხშირად დაჩნდება მისი პარალელური ფორმა საბზელი, სადაც ბზ მიღებულია ბძ კომპლექსის დეზაფრიკატიზაციით.

პწ მიმდევრობა გამოვლინდა მორფემათა ზღვარზე სიტყვაში მიწკაპწაპება (< მიწკაპწკაპება), რომელშიც პწ მიღებულია წკაბ ფუძის გაორკეცებით. ფერეიდნულ ტექსტებში დასტურდება როგორც პწ, ასევე პწკ თანხმოვანთკომპლექსიც (იხ. ქვემოთ).

ბაგისმიერი ხშული + წინანუნისმიერი ხშულის კომბინაციიდან სხვა თანხმოვანთკომპლექსი ჩვენს მასალაში არ გამოვლენილა.

დ). ბაგისმიერი ხშული /ბფბ/ + უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჭ/

განხილულ მასალაში ერთი მორფემის ფარგლებში არც ერთი შემთხვევა არ დადასტურდა მიმდევრობიდან ბაგისმიერი /ბფბ/ ხშული+უკანანუნისმიერი /ჯჩჭ/ ხშული.

მორფემათა ზღვარზე კი ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსებიდან შეგვხვდა ბჩ და ფჩ; რომელიც მიღებულია ბშ, ფშ კომპლექსებიდან. აღსანიშნავია, რომ ფერეიდნულ დიალექტში /-ში/ თანდებულის ნაცვლად გვაქვს /-ჩი/, ამიტომ, მიმდევრობიდან ხშული + ნაპრალოვანი წარმოიქმნება ხშული + ხშული; მაგ.:

ბჩ: ტინებჩი, თებჩი||თეფჩი;

ფჩ: წლეფჩი, თოფჩი...

1.3.1.2. კბილისმიერი ხშული + I რიგისმიერი სხვა ხშული

ა) კბილისმიერი ხშული /დთტ/ + ბაგისმიერი ხშული /ბფბ/

ფერეიდნულ დიალექტში კბილისმიერ და ბაგისმიერ ხშულთა კომბინაცია სიტყვის თავკიდურ და ბოლოკიდურ პოზიციაში გამოვლინდა ერთ შემთხვევაში:

ტბ: ტბა.

ამ რიგის თანხმომავანთკომპლექსებიდან სიტყვის შუაში გვაქვს თითო-ორი
შემთხვევა; დადასტურდა **თბ**: სა**თბ**ობი, სი**თბ**ო, ქ**ე**თ**ბ**ები... **ტბ** (მორფმათა
ზღვარზე): ბა**ტბ**ატამაცა (მიღებულია ფუძის გაორკეცებით).

ბ) კბილისმიერი ხშული /დთტ/ + კბილისმიერი ხშული /დთტ/

განხილულ მასალაში კომბინაცია **კბილისმიერი ხშული + კბილისმიერი
ხშული** სიტყვის თავში არ გვხვდება, ხოლო სიტყვის შუაში ამ რიგის თანხ-
მომავანთკომპლექსები შეგვხვდა მხოლოდ მორფმათა ზღვარზე, კერძოდ, სიტყვის
შუაში **დდ** თანხმომავანთკომპლექსია ნასახელარი ზმნის ფორმაში, მაგალითად,
დიდდება.

დთ კომპლექსია სპარსულ კომპოზიტში — **ხოდთარაში**.

ამ მიმდევრობის თანხმომავანთკომპლექსებიდან **დთ** კომპლექსია წარ-
მოდგენილი მორფმათა ზღვარზე ზმნათა ფორმებში — **გამიკეთდა, გაკეთდა,**
გაწითდა, სადაც /თ/ ფუძისეული თანხმომავანია, /დ/ კი სუფიქსი.

ინტერვოკალურ პოზიციაში გამოვლინდა გემინირებული თანხმომავნები; მაგ.:

თთ: ა**თთ**ი, ხ**უთთ**ი;

დდ: ში**დდ**ი;

ტტ: მე**ტტ**ი...

გ) კბილისმიერი ხშული /დთტ/ + წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/

სხვა ქართველურ ქვესისტემების მსგავსად, ფერეიდნულ დიალექტშიც ერთი
მორფემის შიგნით ვერ დავადასტურეთ მიმდევრობა **კბილისმიერი ხშული +
წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/**. ამგვარი თანხმომავანთკომპლექსი არ ჩანს არც
მორფმათა ზღვარზე.

დ) კბილისმიერი ხშული /დთტ/ + უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჳ/
ეს კომბინაცია ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვის არც ერთ პოზიციაში
არ გამოვლინდა. შეგვხვდა მორფემათა ზღვარზე; მაგ.:

დჩ: მაჰჩედჩი (სპ. „მეჩეთი“);

თჩ: ათჩი...

ღჯ კომპლექსია წარმოდგენილი სპარსული სიტყვის კომპოზიტში — ბად-
ჯენსი (სპ. „ავი, ცუდი თვისების“). ამ მიმდევრობის სხვა თანხმოვანთკომპლექსი
ჩვენ მიერ განხილულ ტექსტებში არ დადასტურდა.

1.3.1.3. წინანუნისმიერი ხშული + სხვა I რიგისმიერი ხშული

ა) წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/ + ბაგისმიერი ხშული /ბფბ/

ფერეიდნული დიალექტში არც ერთი შემთხვევა არ გამოვლინდა არც მორ-
ფემის შიგნით და არც მორფემათა ზღვარზე კომბინაციისა წინანუნისმიერი
ხშული. /ძცწ/ + ბაგისმიერი ხშული /ბფბ/.

ბ) წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/ + კბილისმიერი ხშული /დთტ/

წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/ + კბილისმიერი ხშული /დთტ/-ს
კომბინაციის შედეგად მიღებული თანხმოვანთკომპლექსები ფერეიდნულ
დიალექტში აქტიურობით არ გამოიჩინა. მათ იშვიათი რეალიზაცია ახასიათებთ;
კერძოდ, გამოვლინდა მხოლოდ ცდ და წდ კომპლექსები, რომელიც წარ-
მოდგენილია ზმნის ფორმებში; მაგ.:

ცდ: გადცდიან...

წდ: გწწდიან, მწწდიან...

გ) წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/ + წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/
განხილულ მასალაში მიმდევრობა წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/ + წი-
ნანუნისმიერი ხშული /ძცწ/ სიტყვის არც ერთ პოზიციაში, არც მორფემის
შიგნით და არც მორფემათა ზღვარზე, არ გამოვლინდა.

სხვა ქართველურ ქვესისტემების მსგავსად, ფერეიდნულ დიალექტშიც ერთი
მორფემის ფარგლებში ნაკლებად დასტურდება წარმოების ადგილის მიხედვით
ახლომდგომი თანხმოვანები, მაშინ როცა სპარსულის გავლენით უფრო აქტიურია
იდენტურ თანხმოვანთა მიმდევრობა; კერძოდ, კბილისმიერი + კბილისმიერი
და ბაგისმიერი + ბაგისმიერი (იხ. ზემოთ).

დ) წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/ + უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჭ/
ეს მიმდევრობაც პასიური რეალიზაციით გამოირჩევა ფერეიდნულ
დიალექტში. მორფემის ფარგლებში სიტყვის არც ერთ პოზიციაში არ დადას-
ტურდა ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსები. მხოლოდ მორფემათა ზღვარზე გა-
მოვლინდა სიტყვის ბოლოს ერთადერთი კომპლექსი ცჩ; მაგ.: კაცჩი, დედაკაცჩი.

1.3.1.4. უკანანუნისმიერი ხშული + I რიგისმიერი სხვა ხშული

ა) უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჭ/ + ბაგისმიერი ხშული /ბფბ/
კომბინაცია უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჭ/ + ბაგისმიერი ხშული
/ბფბ/ განხილულ მასალაში არ გამოვლინდა.

ბ) უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჭ/ + კბილისმიერი ხშული /დთტ/
მიმდევრობიდან უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჭ/ + კბილისმიერი
ხშული /დთტ/ დაფიქსირდა ერთი შემთხვევა; კერძოდ, ჯდ კომპლექსი დაჯდომა
ზმნის ფორმებში; შეინიშნება ამ კომპლექსის მოშლის ტენდენციაც. ფერეიდ-
ნელთა მეტყველებაში გვაქვს როგორც ჯდ, ასევე ჯიდ ფორმაც; მაგ.:

დაჯდომილან||დაჯიდომილან

დაჯდება||დაჯიდება

საჯდომი||საჯიდომი...

გ) უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჳ/ + წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/

უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჳ/-ს კომბინაცია წინანუნისმიერ ხშულ /ძცწ/-თან ქართული ენის სხვა დიალექტებშიც პასიურობით გამოირჩევა, ეს მიმდევრობა არც ფერეიდნულ დიალექტში დადასტურდა.

დ) უკანანუნისმიერი ხშული + უკანანუნისმიერი ხშული

როგორც აღვნიშნეთ, ფერეიდნულ დიალექტში, გარდა იდენტური თანხმოვნებისა, ერთი რიგის თანხმოვნები ერთმანეთის გვერდიგვერდ იკრძალება. ამდენად, უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჳ/-ს მეზობლობაში არ ჩანს უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჳ/. ამ კომბინაციით მიღებული თანხმოვანთკომპლექსთა რეალიზაცია ისევე როგორც სხვა ქართულ ქვესისტემებში, ფერეიდნულშიც ნულის ტოლია.

1.3.2. I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

1.3.2.1. ბაგისმიერი ხშული + I რიგის ნაპრალოვანი

ბაგისმიერი ხშული /ბფბ/ ნაკლებად აქტიურია ნაპრალოვნებთან მეზობლობაში.

მიმდევრობა **ბაგისმიერი ხშული /ბფბ/ + I რიგისმიერი ნაპრალოვანი /ძ ზს ყშ/** ქართული ენის ქვესისტემებში დასტურდება, მაგრამ ფერეიდნულ დიალექტში ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსები პასიურობით ხასიათდება, გამოვლინდა მხოლოდ რამდენიმე; მაგ., სიტყვის თავკიდურ პოზიცი-

აში ჩანს **ბზ** სიტყვაში **ბზე**. ერთ შემთხვევაში ეს კომპლექსი დუბლეტია **მზ**-სა (**ბზე < მზე**), მეორე შემთხვევაში ის არის პირველადი კომპლექსი სიტყვაში **ბზა||ბზე**.

სიტყვის შუა პოზიციაში გამოვლინდა **ბზ**, რომელიც წარმოქმნილია **ბძ**-ს დეზაფრიკატიზაციით **ბზ < ბძ** — საბზელი < საბძელი (შდრ: სალიტ. ქართ. ძროხა, ფერეიდ. ზროხა, ძმა > ზმა).

ფშ თანხმოვანთკომპლექსი მორფემის ფარგლებში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში გამოვლინდა ერთადერთ სიტყვაში **ფშატა**.

/ზფზ/ ბაგისმიერი ხშულის კომბინაცია I რიგისმიერ ნაპრალოვნებთან მორფემის ფარგლებში არ შეგვხვდა, მორფემათა ზღვარზე კი დადასტურდა:

ბს: ემეებს, ჯობს...

ბზ: თოვლებზე, საჯდომებზე, ფეხებზე...

ფს: ემეეფს, ჯოფს, ყეფს, ჯორეფს...

ფზ: თოფზე, დაფზე...

შენიშვნა: ჩვენ საექვოდ მივიჩნიეთ სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში **ბს** თანხმოვანთკომპლექსის არსებობა, ამიტომ ეს მიმდევრობა გადავამოწმეთ ფერეიდნელთა მეტყველებაში და არ დაგვიდასტურდა, ყოველთვის გვაქვს **ფს** კომპლექსი.

1.3.2.2. კბილისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

კბილისმიერი ხშული /დტტ/-ს კომბინაცია I რიგისმიერ ნაპრალოვან **/ძ ზს უშ/-**თან ერთი მორფემის ფარგლებში არც ერთ პოზიციაში არ გამოვლინდა. გვაქვს მხოლოდ მორფემათა ზღვარზე; კერძოდ, სიტყვის ბოლოს დადასტურდა **დს, თზ, თს, ტს** თანხმოვანთკომპლექსები:

დს: ტრედს, კუდს, ჭემშიდს...

თს: თაბუთს, სალავათს, ჯალლათს...

თს: ფშატს, ბოტს...

თზ: ზიარათზე, ხათზე...

ბაგისმიერი ხშული /ზფბ/-ს მსგავსად არც კბილისმიერი ხშული /დთტ/ შედის /ჟშ/ ნაპრალოვანთან კომბინაციაში.

1.3.2.3. წინანუნისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

ფერეიდნულ დიალექტში ეს მიმდევრობა გამოვლინდა მხოლოდ მორფემათა ზღვარზე სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში. შეგვხვდა ცხ თანხმოვანთკომპლექსი: დედაკაცს, კაცს.

1.3.2.4. უკანანუნისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

მიმდევრობა უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჭ/ + I რიგისმიერი ნაპრალოვანი /ძ ზს ჟშ/ ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვის არც ერთ პოზიციაში არ დასტურდება. მორფემათა ზღვარზე კი სიტყვის ბოლოს ჩანს ჭს კომპლექსი; მაგ.: ბიჭს, გოჭს...

1.3.3. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული

1.3.3.1. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + ბაგისმიერი ხშული

სპარსული ენის გავლენით ფერეიდნულ დიალექტში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში იზღუდება თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენა, კომბინაცია I რიგისმიერი ნაპრალოვანი /ძ ზს ჟშ/ + ბაგისმიერი ხშული /ზფბ/ სიტყვის თავში არ დადასტურდა. ფერეიდნულ დიალექტში სხვადასხვა გზით ხდება ამ პოზიციაში თანხმოვანთკომპლექსთა მოშლა: სბ > პ; მაგ.: სპარსელი >

პარსელი; სპარსული > პარსული; შდრ., ბილო და ირან. ფილი... არ გამოირიცხება, რომ პარსელი ფუძეც pars ფუძის ნიადაგზე წარმოიქმნა და არა სპ > პ პროცესის გზით.

სპ თანხმოდანთკომპლექსი სიტყვის შუაში გამოვლინდა რამდენიმეჯერ; მაგ.:

ასპაბ < ასბაბ (სპ. "აღჭურვილობა"). ასიმილაციის შედეგად /ს/ ნაპრალოვანმა დაიმსგავსა /ბ/ მჟღერი. ქართული ფონოტაქტიკის დაწოლით ფერეიდნულ დიალექტში ამ სიტყვაში ამოსავალი სპ კომპლექსი ყოველთვის წარმოდგება სპ კომპლექსის სახით.

ისპაჰანი (< ესჰაჰანი||ესჰაჰანი). გვაქვს პარალელური ფორმები სპ|სჰ|სფ.

სიტყვის შუაში შეგვხვდა აგრეთვე შპ და შბ კომპლექსები; მაგ.:

შპ: შუშპრობა;

შბ მიმდევრობა დაფიქსირდა მხოლოდ სპარსულ ნასესხობაში: ფიშბანდი (სპ. „წინსაფარი“).

ინტერვოკალურ პოზიციაში სპ კომპლექსი დაჩნდება სიტყვაში ოსპი; მაგ.: „ნუხუდოც გოქ, ოსპიც გოქ. ოსპი ორ-სამ ნაირია“ (მ. თოდუა, 1975). ამ რიგის სხვა თანხმოდანთკომპლექსი ვერ დავადასტურეთ.

არც ერთ პოზიციაში არ დაფიქსირდა კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი /ჭ/-ს კომბინაცია ბაგისმიერ ხშულებთან.

1.3.3.2. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + კბილისმიერი ხშული

მიმდევრობა I რიგისმიერი ნაპრალოვანი /ჩ ზს ყშ/ + კბილისმიერი ხშული /დთტ/ სიტყვის თავში არ დადასტურდა. ამ პოზიციაში მოსალოდნელი სტ და სთ მიმდევრობები არ გვხვდება; მათ წინ უვითარდებათ ი||მ ხმოვანი, რის შედეგადაც კომპლექსი ექცევა ინტერვოკალურ პოზიციაში; მაგ.:

სტ: სტაფილო > ისტაფილი

სტუმარი > ისტუმარი

სტაქანი > ისტაქანი||ისტაქანი||დსტაქანი...

სტ კომპლექსი შეგვხვდა ასევე სიტყვებში დასტანი, არაბესტანი, ასტარი, უსტა, ბოსტანი, მესტირე (< მესტვირე)...

სტ კომპლექსს ხშირად ენაცვლება სთ; მაგ.: დასთანი, არაბესთანი, სასთოვლი, ისთაქანი...

მიმდევრობიდან I რიგისმიერი ნაპრალოვანი /**ქ ზს ყშ**/ + კბილის-
 მიერი **ხშული** /**დთტ**/ ინტერვოკალურ პოზიციაში გამოვლინდა შემდეგი
 თანხვანთკომპლექსები:

ზდ: ახალგაზდა (< ახალგაზრდა), მიღებულია სამკომპონენტიანი **ზრდ** კომ-
 პლექსიდან /**რ**/ სონორის ამოვარდნით; **ორმოზდა** (< **ორმოცდა**), მიღებულია ც-ს
 გამჟღერებით (ც > ძ) და **ცდ** კომპლექსის დეზაფრიკატიზაციით.

სიტყვის შუაში კბილისმიერების წინა პოზიციაში ყრუ ნაპრალოვანი /**ჭ**/
 აქტიურად ქმნის თანხვანთკომპლექსებს სპარსულიდან ნასესხებ სიტყვებში. გა-
 მოვლინდა შემდეგი თანხვანთკომპლექსები:

ქთ: მუქთად, მოზაქთა, ოქთადე;

ქტ: მამზაქტისყე (მამზაქტა), ჰაქტეი, გოლაქტაბი;

ქდ: დასაქდების...

ერთი მორფემის შიგნით ბოლოკიდურ პოზიციაში გვხვდება **ქთ** თანხ-
 ვანთკომპლექსი **ქტ**-ს პარალელურად; ეს მიმდევრობებიც მხოლოდ სპარსუ-
 ლიდან ნასესხებ სიტყვებშია გამოვლენილი; მაგ.:

ქთ: ფიშრაქთი (სპ. „წინსვლა, პროგრესი“), ჯუქთი (სპ. „წყვილი“);

ქტ: ჯუქტი||ჯუქთი;

შტ: არიშტი (სპ. „გამხმარი ცომი, მაკარონი“), მუშტარი, გო-
 ზაშტი||გოზაშთი (სპ. „წარსული“), ხორეშტი||ხორეშთი (სპ. „წვნიანი კერძი“),

ხიშტი||ხიშთი (სპ. „ალიზი“), რეშტი||რეშთი (სპ. „დარგი“). ამ პოზიციაში გვხვდება ასევე სთ და შთ კომპლექსები; მაგ.:

სთ: დასთი||დასთ (სპ. „ხელი“), რასთი||რასთ (სპ. „მართალი“); ამ სიტყვებში სთ თანხმოვანთკომპლექსის ნაცვლად იხმარება სტ-ც — დასტი||დასტი; რასტი||რასტი... შთ — ჰაშთ (სპ. „რვა“), ხეშთ||ხეშდ, ბეჰდაშთი (სპ. „სანიტარია“), თაშთი (შდრ: ტაშტი; აშკარაა თაშთ ფორმას სპარსული ფონოტაქტიკა აპირობებს).

1.3.3.3. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + წინანუნისმიერი ხშული

ფერეიდნულ დიალექტში მიმდევრობა I რიგისმიერი ნაპრალოვანი /ძ ზს უშ/ + წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/ ძალზედ შეზღუდული რეალიზაციით ხასიათდება. ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსებიდან მორფემის ფარგლებში ჩვენს მასალაში გამოვლინდა მხოლოდ სწ.

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში სწ კომპლექსი მოშლილია; კერძოდ, იკარგება ლ/ ნაპრალოვანი; მაგ.: წორი < სწორი; წორად < სწორად...

სიტყვის შუა პოზიციაში სწ დაგვიდასტურდა სიტყვებში დღესასწაული, მასწავლებელი.

სიტყვის ბოლოკიდურად ამ მიმდევრობის თანხმოვანთკომპლექსები არ გვხვდება.

/ჭ/ კბილბაგისმიერი ყრუ ნაპრალოვანი რეალიზდება მორფემათა ზღვარზე წინანუნისმიერების მეზობლობაში, დაჩნდება ძწ და ძც მიმდევრობები; მაგ.:

ძწ: დაძწეო, დაძწვით, მოძწურავ, მოძწელავყე, დაძწვებით...

ძც კომპლექსი წარმოდგენილია ფორმაში მიძცე.

1.3.3.4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + უკანანუნისმიერი ხშული

I რიგისმიერი ნაპრალოვანი /ქ ზს უშ/-თან კომბინაციაში ისევე როგორც წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/, უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჭ/-ც ნაკლებად აქტიურია.

მიმდევრობა I რიგისმიერი ნაპრალოვანი /ქ ზს უშ/ + უკანანუნის-
მიერი ხშული /ჯჩჭ/ სიტყვის თავკიდურ პოზიციაში არ გამოვლინდა.

სიტყვის შუაში ერთი მორფემის ფარგლებში შეგვხვდა შემდეგი კომ-
პლექსები:

ზჩ: მაშჩედი (სპ. „მეჩეთი“);

შჭ: შაშჭამა და შაშჭრა ზმნათა ფორმებში, სადაც /შ/ ნაპრალოვანი არ
არის ფუძისეული, ის განვითარების შედეგად არის მიღებული.

სიტყვის ბოლოკიდურად ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსები გამოვლინდა
მხოლოდ მორფემათა ზღვარზე, ერთი მორფემის ფარგლებში არ გვხვდება; მაგ.:

ზჩ: ხაზჩი...

სჩ: ქელასჩი...

შჩ: მაჯლეშჩი...

ძჭ: შაძჭამოთ, დაძჭრით, დაძჭამტყე...

1.3.4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

1.3.4.1. კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

განალიზებულ ტექსტებში არც ერთი შემთხვევა არ გამოვლინდა კომბინაციიდან კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი.

1.3.4.2. წინანუნისმიერი ნაპრალოვანი + წინანუნისმიერი ნაპრალოვანი

კომბინაცია წინანუნისმიერი ნაპრალოვანი /ზს/ + წინანუნისმიერი ნაპრალოვანი /ზს/ ფერეიდნულ დიალექტში გამოვლინდა მხოლოდ მორფემათა ზღვარზე, ერთი მორფემის ფარგლებში ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსები არ დადასტურდა; მაგ.:

ზზ: გაზზე, ზუდფაზზე...

ზს: შირაზს, ნამაზს...

სზ: მისზე...

სს: თამარისს, შაჰაბასს, ქელასს...

1.3.4.3. წინანუნისმიერი ნაპრალოვანი + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი

მიმდევრობა წინანუნისმიერი ნაპრალოვანი /ზს/ + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი /ჟშ/ განხილულ მასალაში არ გამოვლინდა არც მორფემის ფარგლებში და არც მორფემათა ზღვარზე.

1.3.4.4. უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი + წინანუნისმიერი ნაპრალოვანი

ფერეიდნულ დიალექტში მიმდევრობა უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი /ჟშ/ + წინანუნისმიერი ნაპრალოვანი /ზს/ ერთი მორფემის ფარგლებში არ დადასტურდა. მორფემათა ზღვარზეც ამ რიგის თანხმევანთკომპლექსები შეზღუდული რეალიზაციით გამოირჩევიან. ვხვდებით შს თანხმევანთკომპლექსს სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში; მაგ.:

შს: აშს, ნახოშს, ფაშს...

ასევე შს მიმდევრობა შეგვხვდა სპარსულიდან ნასესხებ კომპოზიტში დანეშსარაჟ (სპ. "სასწავლებელი").

1.3.4.5. უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი

კომბინაცია უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი /ჟშ/ + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი

/ჟშ/ ფერეიდნულ დიალექტში არც ერთ პოზიციაში არ ჩანს.

1.4. II რიგისმიერი + II რიგისმიერი

ნაშრომში ცალკე არ განვიხილავთ უკანანუნისმიერების კომბინაციას უკანანუნისმიერებთან, ვინაიდან ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში არც ერთ პოზიციაში არ გამოვლინდა მიმდევრობები უკანანუნისმიერი ხშული /გქკვ/ + უკანანუნისმიერი ხშული /გქკვ/, უკანანუნისმიერი ხშული /გქკვ/ + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი /ღხყჳ/, უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი /ღხყჳ/ + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი /ღხყჳ/, ხოლო მიმდევრობიდან უკანანუნის-

მიერი ნაპრალოვანი /ღხეჭ/ + უკანაენისმიერი ნაპრალოვანი /ღხეჭ/ მასალაში დადასტურდა მხოლოდ ყუ გემინირებული თანხმოვანი სიტყვაში — მაყყარი.

1.5. I თავში წარმოდგენილი მასალის ანალიზი

1.5.1. ბუნებრივი, დასაშვები და აკრძალული თანხმოვანთკომპლექსები

ჩვენ მიერ განხილულ მასალაში გამოვლინდა ორწევრა ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა თერთმეტი სახის მიმდევრობა; სულ 73 კომპლექსი. (მოგვეყავს ხოლოდ ერთი მორფემის ფარგლებში არსებული მიმდევრობანი). მათი პროცენტული მაჩვენებელი ასეთია:

1. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული — 20,5 %;
2. I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული — 16,4 %;
3. I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი — 15,6 %;
4. I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული — 10,9 %;
5. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული — 8,2 %;
6. II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული — 8,2 %;
7. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული — 5,4 %;
8. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი — 5,4 %;
9. II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 4,1 %;
10. I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 2,7 %;
11. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 2,7 %.

როგორც ვხედავთ, ხშირია კომბინაცია I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი და კომბინაციები I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული, I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული, ამიტომ. ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსებს მივიჩნევთ ფერეიდნული დიალექტისათვის უფრო ბუნებრივ კომპლექსებად.

შევნიშნავთ, რომ თ. უთურგაიძის აზრით ს + ჩქამიერი ხშულის ნებისმიერი კომბინაცია ქართულისათვის არაკანონიკურია (თ. უთურგაიძე, 1976, გვ.95); ფერეიდნულ მასალაში ამ ტიპის კომპლექსები ძირითადად ჩანს ნასესხებ სიტყვებში.

ზემოთ ნაჩვენები მონაცემების მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ამ კომბინაციათა გამოვლენის ხარისხი ზოგადად ქართულში დაახლოებით იგივეა, რაც ფერეიდნულში, მაგრამ განსხვავებას გვაძლევს კომბინაციები I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული და I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული, რომლებიც სპარსული ენისათვის არის უფრო ბუნებრივი, ვიდრე ქართულისათვის, ამის გამო ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე ფერეიდნულ დიალექტში პროცენტულად გაცილებით აღემატება დანარჩენ კომბინაციათა თანხმოვანთკომპლექსებს.

შესწავლილი მასალის მიხედვით დასაშვებ ორწევრა ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსებად შეიძლება მივიჩნიოთ ის კომპლექსები, რომელთა პროცენტული მაჩვენებელი დაბალია; კერძოდ:

1. I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული — 10,9 %;
2. II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული — 8,2 %;
3. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული — 8,2 %;
4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული — 5,4 %;

5. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი — 5,4 %;
6. II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 4,1 %;
7. I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 2,7 %;
8. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 2,7 %.

ფერეიდნულში აკრძალულ თანხმოვანთკომპლექსებად მიგვაჩნია იმ რიგის კომპლექსები, რომლებიც გაანალიზებულ მასალაში საერთოდ არ გამოვლინდა; მაგ.:

1. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი;
2. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი;
3. II რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული;
4. II რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი;
5. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული.

1.5.2. თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე

1.5.2.1. თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე თითოეული მიმდევრობის შიგნით

თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე პროცენტულად ასე გამოიყურება:

კომბინაციიდან I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული დადასტურდა ბგ, ფქ, პკ; დგ, თქ, ტკ; წკ, ჭკ თანხმოვანთკომპლექსები. ბგ - 6,6 %; ფქ - 13,3 %; პკ - 6,6 %; დგ - 13,3 %; თქ - 6,6 %; ტკ - 26,6 %; წკ - 13,3 %; ჭკ - 13,3 %. ამ რიგში ყველაზე აქტიური ჩანს ტკ კომპლექსი.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი გამოვლინდა ბღ, ფზ; დღ, თხ, ტყ; ძღ, ცხ, წყ; ჯღ, ჩხ, ჭყ ჰარმონიული კომპლექსები. ბღ - 4,5 %; ფზ - 6,8 %; დღ - 9 %; თხ - 18 %; ტყ - 15,9 %; ძღ - 2,2 %; ცხ - 18 %; წყ - 11,3 %; ჯღ - 2,2 %; ჩხ - 9 %; ჭყ - 2,2 %. აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს თხ და ცხ ჰარმონიული კომპლექსები.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული გამოვლინდა სქ, სკ; შქ, შკ თანხმოვანთკომპლექსები. სქ - 25 %; სკ - 37,5 %; შქ - 12,5 %; შკ - 25 %. ამ რიგში ყველაზე აქტიურია სკ კომპლექსი.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი გვაქვს ძყ, ზღ, სხ, უხ თანხმოვანთკომპლექსები. ძყ - 12,5 %; ზღ - 25 %; სხ - 50 %; უხ - 12,5 %. აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური აღმოჩნდა სხ კომპლექსი.

კომბინაციიდან II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული გამოვლინდა კბ, ქფ, ვბ, კდ, ქთ, ქტ თანხმოვანთკომპლექსები. კბ - 10 %; ქფ - 20 %; ვბ - 10 %; კდ - 10 %; ქთ - 40 %; ქტ - 10 %. აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს ქთ თანხმოვანთკომპლექსი.

კომბინაციიდან II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი შეგვხვდა მხოლოდ გზ; ქს; ქშ თანხმოვანთკომპლექსები. გზ - 25 %; ქს - 50 %; ქშ - 25 %.

კომბინაციიდან II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული გამოვლინდა ხბ, ხფ, ხდ, ხთ, ხტ, დდ; ჩჩ თანხმოვანთკომპლექსები. ხბ - 6,6 %; ხფ - 13,3 %; ხდ - 6,6 %; ხთ - 13,3 %; ხტ - 33,3 %; დდ - 6,6 %; ჩჩ - 20 %. აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს ხტ თანხმოვანთკომპლექსი.

კომბინაციიდან II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი დადასტურდა მხოლოდ ხს, ხშ თანხმოვანთკომპლექსები. ხს - 50 %; ხშ - 50 %.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული გამოვლინდა ბძ, ფთ, ფფ, პტ, დდ, თბ, თთ, ტბ, ტტ, ცდ, წდ თანხმოვანთკომპლექსები. ბძ - 5,8 %; ფთ - 11,7 %; ფფ - 25 %; პტ - 11,7 %; დდ - 5,8 %; თბ - 17,6 %; თთ - 5,8 %; ტბ - 5,8 %; ტტ - 5,8 %; ცდ - 5,8 %; წდ - 11,7 %; ამ რიგში ყველაზე აქტიური ჩანს თბ მიმდევრობა.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი შეგვხვდა ბზ და ფშ თანხმოვანთკომპლექსები. ბზ — 75 %; ფშ — 25 %. აქედან გამომდინარე აქტიური ჩანს ბზ.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული გამოვლინდა სბ, შბ, სტ, სთ, ზდ, წთ, წტ, წდ, შტ, შთ, შდ სწ, შჩ, შჭ თანხმოვანთკომპლექსები. სბ - 5,8 %; შბ - 1,9 %; სტ - 21,5 %; სთ - 13,7 %; ზდ - 3,9 %; წთ - 9,8 %; წტ - 7,8 %; წდ - 1,9 %; შტ - 11,7 %; შთ - 11,7 %; შდ - 1,9%; სწ - 3,9 %; შჩ - 1,9 %; შჭ - 3,9 %. ამ რიგში ყველაზე აქტიურია სტ კომპლექსი, ასევე სთ-ც.

1.5.2.2. თანხმოვანთკომპლექსთა სიხშირე ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული მიმდევრობის პროცენტული მაჩვენებელი: ბგ - 1,3 %; ფქ - 2,6 %; ბკ - 1,3 %; დგ - 2,6 %; თქ - 1,3 %; ტკ - 5,4 %; წკ - 2,6 %; ჭკ - 2,6 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანის პროცენტული მაჩვენებელი: ბღ - 2,7%; ფხ - 4,1 %; დღ - 5,4 %; თხ - 10,8 %; ტყ - 9,5 %; ძღ - 1,3 %; ცხ - 10,8 %; წყ - 6,8 %; ჯღ - 1,3 %; ჩხ - 5,4 %; ჭყ - 1,3 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშულის პროცენტული მაჩვენებელი: სქ - 2,7 %; სკ - 4,1 %; შკ - 2,7 %; შქ - 1,3 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანის პროცენტული მაჩვენებელი: წყ - 1,3 %, ზდ - 2,7 %; სხ - 5,4 %; შხ - 1,3 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით II რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული პროცენტული მაჩვენებელი: კბ - 1,3 %; ქფ - 2,7 %; ვბ - 1,3 %; კდ - 1,3 %; ქთ - 5,4 %; ქტ - 1,3 %;

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანის პროცენტული მაჩვენებელი: გზ - 1,3 %; ქს - 2,7 %; ქშ - 1,3 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული პროცენტული მაჩვენებელი:

ბელი: **ხბ** - 1,3 %; **ხვ** - 2,7 %; **ხდ** - 1,3 %; **ხო** - 2,7 %; **ხტ** - 6,8 %; **ლდ** - 2,7 %; **ხჩ** - 4,1 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანის პროცენტული მაჩვენებელი: **ხს** - 1,3 %; **ხშ** - 1,3 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშულის პროცენტული მაჩვენებელი: **ბძ** - 1,3 %; **ფთ** - 2,7 %; **ფფ** - 2,7 %; **პტ** - 2,7 %; **ლდ** - 1,3 %; **თბ** - 4,1 %; **თთ** - 1,3 %; **ტბ** - 1,3 %; **ტტ** - 1,3 %; **ცდ** - 1,3 %; **წდ** - 2,7 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანის პროცენტული მაჩვენებელი: **ბზ** - 4,1 %; **ფშ** - 1,3 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშულის პროცენტული მაჩვენებელი: **სბ** - 4,1 %; **შბ** - 1,3 %; **სტ** - 15 %; **სთ** - 9,5 %; **ზდ** - 2,7 %; **ჭთ** - 6,8 %; **ჭტ** - 5,4 %; **ჭდ** - 1,3 %; **შტ** - 8,2 %; **შთ** - 8,2 %; **შდ** - 1,3 %; **სწ** - 2,7 %; **შჩ** - 1,3 %; **შჭ** - 2,7 %.

1.6. ფერეიდნული დიალექტის ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა რეალიზაციის შემაჯამებელი სქემები

1.6.1. I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული

I რიგი \ II რიგი	ბ	ქ	კ	წ
ბ	+	-	-	-
ფ	-	+	-	-
პ	-	-	+	-
ღ	+	-	-	-
თ	-	+	-	-
ტ	-	-	+	-
ძ	-	-	-	-
ც	-	-	-	-
წ	-	-	+	-
ჭ	-	-	-	-
ჩ	-	-	-	-
ჭ	-	-	+	-

1.6.2. I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი

I რიგი \ II რიგი		II რიგი			
		ღ	ხ	ყ	ჭ
ბ		+	-	-	-
ფ		-	+	-	-
პ		-	-	-	-
ღ		+	-	-	-
ფ		-	+	-	-
ტ		-	-	+	-
ძ		+	-	-	-
ც		-	+	-	-
წ		-	-	+	-
ჩ		+	-	-	-
ჩ		-	+	-	-
ჭ		-	-	+	-

1.6.3. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული

II რიგი \ I რიგი		I რიგი			
		ბ	ქ	კ	წ
ფ		-	-	-	-
ფ		-	-	-	-
ს		-	+	+	-
შ		-	-	-	-
შ		-	+	+	-

1.6.4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი

I რიგი \ II რიგი	ზ	ხ	ყ	შ
ფ	-	-	+	-
ჯ	+	-	-	-
ს	-	+	-	-
ც	-	-	-	-
ძ	-	+	-	-

1.6.5. II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული

I რიგი \ II რიგი	ბ	ფ	პ	ღ	თ	ძ	ძ	ც	წ	ჭ	ჩ	ჭ
ბ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ქ	-	+	-	-	+	+	-	-	-	-	-	-
კ	+	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-
გ	+	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

1.6.6. II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

I რიგი \ II რიგი	ფ	ზ	ს	შ	ჟ
ბ	-	+	-	-	-
ქ	-	-	+	-	+
ც	-	-	-	-	-
ჯ	-	-	-	-	-

1.6.7. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული

I რიგი \ II რიგი	ბ	ფ	პ	ღ	თ	ტ	ძ	ც	წ	ჭ	ჩ	ჭ
ღ	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-
ხ	+	+	-	+	+	+	-	-	-	-	+	-
ყ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
შ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

1.6.8. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

I რიგი II რიგი	ფ	ზ	ს	ჟ	შ
ზ	-	-	-	-	-
ხ	-	-	+	-	+
ც	-	-	-	-	-
შ	-	-	-	-	-

1.6.9. I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული

I რიგი I რიგი	ბ	ფ	პ	ღ	ფ	ტ	ძ	ც	წ	ჯ	ჩ	ჭ
ბ	-	-	-	-	-	-	+	-	-	-	-	-
ფ	-	+	-	-	+	-	-	-	-	-	-	-
პ	-	-	-	-	-	+	-	-	+	-	-	-
ღ	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-
ფ	+	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-
ტ	-	-	+	-	-	+	-	-	-	-	-	-
ძ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ც	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-
წ	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-
ჯ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჩ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჭ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

1.6.10. I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

I რიგი \ I რიგი	ფ	ზ	ს	შ	ჟ
ბ	-	+	-	-	-
ვ	-	-	-	-	+
პ	-	-	-	-	-
ღ	-	-	-	-	-
თ	-	-	-	-	-
ტ	-	-	-	-	-
ძ	-	-	-	-	-
ც	-	-	-	-	-
წ	-	-	-	-	-
ჭ	-	-	-	-	-
ჩ	-	-	-	-	-
ჭ	-	-	-	-	-

1.6.11. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული

I რიგი \ I რიგი	ბ	ვ	პ	ღ	თ	ტ	ძ	ც	წ	ჭ	ჩ	ჭ
ფ	-	-	-	+	+	+	-	-	-	-	-	-
ზ	-	-	-	+	-	-	-	-	-	-	-	-
ს	-	-	+	-	+	+	-	-	+	-	-	-
შ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ჟ	-	-	+	+	+	+	-	-	-	-	+	+

თავი II

სონორის შემცველი ორწევრა თანხმოდანთკომპლექსები

2.1. სონორი + I რიგისმიერი

2.1.1. სონორი + I რიგისმიერი ხშული

2.1.1.1. სონორი + ბაგისმიერი ხშული

ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ერთი მორფემის ფარგლებში ხშულთა წინ არ ვლინდებიან /მლრნვ/ სონორები.

კომბინაცია **სონორი /მლრნვ/ + ბაგისმიერი ხშული /ბფვპ/** ხშირია ინტერვოკალურ პოზიციაში, მაგრამ დამოწმებული თანხმოდანთკომპლექსები ძირითადად დამახასიათებელია სპარსული წარმომავლობის სიტყვებისათვის; მაგ.: **ლამბაქი**, **ქუმბუზი** (სპ. ქომბიზე „მოუწვევლი ნესვი“), **ხიარჩამბარი** (სპ. „წვრილი და დაგრეხილი კიტრი“), **ზემბასტი** (სპ. ზემმ-ფასთ — „დავარდნილი“), **ბამბა**, **ამბავი**, **თოლომბიო** (სპ. „ზარმაცი“), **ფეილამბარი** (სპ. „წინასწარმეტყველი“)...

მპ მიმდევრობა გამოვლინდა ერთადერთ სიტყვაში **ომპაუ**; მაგ.: „და ერთი ვგრე პირადმა დადგების, შაყურ, **ომპაუ**“ (მ. თოდუა, 1975). ეს სიტყვა არც სპარსული ენისათვის არის დამახასიათებელი და არც ქართულისათვის. ის ფერეიდნული დიალექტის კუთვნილებაა, ფერეიდნელთა მეტყველების ნიადაგზეა წარმოქმნილი.

მფ მიმდევრობაა სპარსულ სიტყვაში **ჩუმფარა**, **ფამფარა**.

ინტერვოკალურ პოზიციაში **სონორი /ლ/ + ბაგისმიერი /ბფვპ/** გვხვდება ძირითადად ნასესხებ სიტყვებში:

ლბ: **ყოლბალი** (თურქ. „სამაჯური“) **ყალასალბალი** (სპ. ყალყეფე სარბალად I — „ციხის გორა“), **ბელბაქი** (სპ. ბილ ფაქ — „პატარა ნიჩაბი“), **გოლბანდი** (სპ.

„წყლის გასასვლელი არხში, რომელიც იკეტება“), ალბათა, დალბობა (დალბე-ბის, გავალბიტყე);

ლფ: ქულფათი, დარულფონუნნი (არაბ. დარ ალ-ფონუნ — „მეცნიერებათა სასახლე“);

ლბ: პილპილი, დალბობა (დაღლბა, დაღლბოს)...

კომბინაციიდან **სონორი /რ/ + ბაგისმიერი /ბფბ/** ერთი მორფემის ფარგლებში გამოვლინდა მხოლოდ **რბ** თანხმოვანთკომპლექსი: ინტერვოკალურ პოზიციაში: ხორბალი, ერბო, ყურბანი (სპ. „მსხვერპლი, ზვარაკი“), არბაბი (არაბ-სპ. „უფალი, ბატონი“), სარბაზი||სარვაზი (სპ. „ჯარისკაცი“), დარბარი (სპ. „სასახლე“), ჩარბი (სპ. „ქონი“); ხოლო მორფემათა ზღვარზე **რფ:** ზირფირ-ჰანი (სპ. „მაისური“)...

კომბინაცია **სონორი /ნ/ + ბაგისმიერი ხშული /ბფბ/** დადასტურდა მეორეული თანხმოვანთკომპლექსის სახით: რანბავია (< რა ამბავია), უვანბოსყე (< უამბოს-ყე), უნბობ (< ამბობ)...

2.1.1.2. სონორი + კბილისმიერი ხშული

ფერეიდნულ დილექტში მიმდევრობა **სონორი /მლრნვ/ + კბილისმიერი ხშული /დთტ/** ძირითადად რეალიზდება ინტერვოკალურ პოზიციაში.

როგორც სამწიგნობრო ქართულ ენაში, ასევე ფერეიდნულში **მ/** ბგერის შემცველი თანხმოვანთკომპლექსი უმეტესად მეორეული წარმონაქმნია ან მორფემათა ზღვარზე გვხვდება:

მდ: ბინასდამდები, რამდენი (რა-ვდენი < რა-ოდენი), მდებარეობა (< მდებარე < დევს);

მთ: მთქმელი, მამამთილი, დამთავრება;

მტ: გამტეხია...

ინტერვოკალურ პოზიციაში გამოვლინდა **ით** კომპლექსი: **ზამთარი**.

მიმდევრობა **სონორი /ლ/ + კბილისმიერი ხშული** არ გამოირჩევა აქტიურობით. ინტერვოკალურ პოზიციაში მორფემის ფარგლებში ჩანს შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები:

ლტ: კულტურა (კულტურები), **ოლტა**ში (თურქ. „ამხანაგი“);

ლტ: კალთა...

ლდ კომპლექსია სპარსულიდან ნასესხებ სიტყვებში: ყოლდარი (სპ. „ძლიერი“), ასევე ზმნის ფორმებში: გაცხელდა, გამიმთელდა...

მიმდევრობიდან **სონორი /რ/ + კბილისმიერი ხშული** ჩანს შემდეგი:

რდ: ფარდაგი, ჩირდილი, პირდაპირი, ფარდა, ხურდა, ასევე **რდ** მიმდევრობაა სპარსულ კომპოზიტში დურდასტი („დაშორებული“);

რთ: მართალი, სამართალი, ერთადერთი;

რტ: კარტოფილი, ასევე სამკომპონენტთან კომპლექსში: სარტყელი და მარტყოფი...

მიმდევრობიდან **სონორი /ნ/ + კბილისმიერი ხშული /დტ/** ერთი მორფემის ფარგლებში გამოვლენილი **ნდ** თანხმოვანთკომპლექსი დადასტურდა როგორც სპარსულ სიტყვებში, ასევე ქართულშიც; მაგალითად, წანდოხი (შდრ. სპ. წანდოყ „თხილი“), მინდორი, თანდილა, ახლანდელი, წინდა, გუნდა, წმინდა;

ნთ: ქუნთრუში, ტინთუკანა...

ნტ თანხმოვანთკომპლექსი სიტყვის შუაში არც მორფემის ფარგლებში გვხვდება და არც მორფემათა ზღვარზე.

მიმდევრობა **სონორი /ვ/ + კბილისმიერი ხშული /დტ/** მორფემის ფარგლებში იშვიათია. **ვთ** კომპლექსი წარმოდგენილია მორფემათა ზღვარზე სიტყვაში: თავთხერი.

ერთი მორფემის ბოლოკიდურ პოზიციაში **/მლრნვ/** სონორებიდან კბილისმიერ ხშულებთან კომბინაციაში შეგვხვდა:

ლთ: სალთი (< სათლი);

რთ: ერთი, ქურთი, თიართი (სპ. „თეატრი“);

რტ: ფირტი;

ნდ: გენდ, ბანდი (სპ. „თოკი“), სინაბანდი (სპ. „აზლუდი“), ემანდ;

ვთ: ნავთი||ნაქთი||ნაფთი...

სხვა შემთხვევაში მიმდევრობა **სონორი + კბილისმიერი ხშული /დთტ/** ფიქსირდება მორფემათა ზღვარზე:

ვდ: ვდეფ||ვდებ;

ვტ: ვტყუი;

ვთ: ვთესავ...

შენიშვნა: არ გამოვრიცხავთ, რომ წარმოდგენილ მაგალითებში /ვ/ იყოს კბილბაგისმიერი სპირანტიც, მაგრამ კბილბაგისმიერი რომ ყოფილიყო /ვ/, მაშინ ყრუ ბგერებთან ის გადაიქცეოდა /ქ/-დ (საკითხი კვლევას მოითხოვს).

მორფემათა ზღვარზე /მ/ სონორი კბილისმიერებიდან მხოლოდ /თ/-ს მეზობლობაში ქმნის კომპლექსს სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში; მაგ.:

მთ: სამთა, შემოაცომთ, დავასხამთ, ვჭამთ ...

/ლ/ სონორი კომბინაციაში შედის /დ/ და /თ/ ხშულთან მორფემათა ზღვარზე, მაგალითად, **ლდ** მიმდევრობაა ზმნის ფორმებში ცხელდება, გამიმთელდა...

ლთ: გავალთ, საწყალთა, აველთა, მოცემულ მაგალითებში ფუძისეულ /ლ/-ს დაერთვის მრავლობითის ნიშანი /თ/.

/რ/ სონორი კბილისმიერი ხშულთაგან სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში შეგვხვდა მორფემათა ზღვარზე /თ/-ს მეზობლობაში; მაგ.:

რთ: ხართ, ვართ, დოქერთ...

მორფემათა ზღვარზე /ნ/ სონორი გვხვდება /დ თ/ ხშულთან; მაგ.:

ნდ: ცხონდის, გაჩუქუნდის და სპარსული ზმნის ფორმაში მიქონანდ;

ნთ: მოიტანთ, თავიანთ, ხუციანთ, ნეფენთ;

ვთ: შავკრავთ, დობერავთ, ვკერავთ, ვწურავთ...

2.1.1.3. სონორი + წინანუნისმიერი ხშული

ფრეიდულ დიალექტში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ერთი მორფემის ფარგლებში **სონორი /მლრნვ/ + წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/** მიმდევრობა არ გამოვლინდა. მოსალოდნელი რძ თანხმოვანთკომპლექსი განიცდის დეზაფრიკატიზაციას და გვაძლევს /ზ/ ბგერას; მაგ.: რძე > ზე; რძალი > ზალი.

ერთი მორფემის ფარგლებში მიმდევრობიდან **სონორი /მ/ + წინანუნისმიერი /ძცწ/ ხშული** შეგვხვდა მწ თანხმოვანთკომპლექსი სიტყვაში სახემწიფო (< ხელ-მწიფე).

სიტყვის შუა პოზიციაში მიმდევრობა **სონორი /ლ/ + წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/** ერთი მორფემის ფარგლებში არ დასტურდება. ფიქსირებული **ლც, ლწ** კომპლექსები გვხვდება მხოლოდ მორფემათა ზღვარზე; კერძოდ, კომპოზიტებში; მაგ.:

ლც: ჰელცარიელი;

ლწ: თოლწინ, მამულწყალი...

/ნ/ სონორი კომბინაციაში შედის /ძ წ/ წინანუნისმიერ ხშულთან, მაგარამ ეს მიმდევრობა არ გამოირჩევა აქტიურობით, დადასტურდა თითო სიტყვაში; მაგ.:

ნძ: ახანძალი (მორფ. ზღვარი);

ნწ: კინწიხი (ერთი მორფემის ფარგლებში)...

არც ერთი შემთხვევა არ გვაქვს სიტყვის შუაში მიმდევრობიდან **სონორი /რ ვ/ + წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/**.

ერთი მორფემის ფარგლებში ბოლოკიდურ პოზიციაში ამ რიგის თანხმოდანტოკომპლექსებიდან შეგვხდა **სონორი /რ ნ/ + წინანუნისმიერი ხშული /ძ/**:

რძ: კერძი;

ნძ: ძონძი...

მორფემათა ზღვარზე ჩვეულებრივია **სონორი + ც:**

მც: არამც;

რც: თურც, ვერც, როგორც, არც;

ნც: ჩონც...

2.1.1.4. სონორი + უკანანუნისმიერი ხშული

ისევე როგორც I რიგისმიერი სხვა ხშულები, უკანანუნისმიერი /ჯჩქ/ ხშულიც სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ერთი მორფემის ფარგლებში სონორებთან მეზობლობაში არ დადასტურდა; შედარებით აქტიურია სიტყვის შუაში.

სონორი /მ/ უკანანუნისმიერ ხშულებთან ერთი მორფემის ფარგლებში კომბინაციაში არ შედის. მორფემათა ზღვარზე კი ბუნებრივია; მაგ.:

მჯ: მამჯაჭარა;

მჩ: ჩუმჩუმაღ...

სონორი /ლ/ უკანანუნისმიერ ხშულებთან ვერც მორფემის ფარგლებში ქმნის თანხმოდანტოკომპლექსს და ვერც მორფემათა ზღვარზე.

სონორი /რ/ წარმოდგენილია /ჯ ჩ/ უკანანუნისმიერ ხშულებთან მეზობლობაში და შესაბამისად, გვაქვს **რჯ, რჩ** კომპლექსები; მაგ.:

რჯ: გამარჯობა, მარჯანა;

რჩ: ფარჩილი, არჩევა (აღრჩევს, ადრჩია...);

რჩ კომპლექსი შეგვხვდა ასევე მორფემათა ზღვარზე სპარსულ კომპოზიტში ხიარჩამზარი (შდრ. სპ. ხიძარე ჩანზარ „წვრილი და დაგრეხილი კიტრი“).

/ნ/ სონორი სიტყვის შუაში უკანანუნისმიერ ხშულთაგან წარმოდგენილია /ჯ ჰ/-თან:

ნჯ: იონჯა;

ნჟ: ხინჯა...

/ვ/ სონორი დაგვიდასტურდა მხოლოდ /ჯ/ ხშულთან; მაგ.: ერთი მორფემის ფარგლებში გოჯა (< გოუჯა), მორფემათა ზღვარზე თავჯდომარე...

ბოლოკიდურ პოზიციაში კომბინაციიდან სონორი /მლრნვ/ + უკანანუნისმიერი ხშული /ჯჩჰ/ გამოვლინდა შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები:

რჯ: ბურჯი, გორჯი, ლურჯი;

ნჯ: ბრინჯი...

სხვა შემთხვევაში ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსები შეგვხვდა მორფემათა ზღვარზე, როდესაც სონორ ბგერას დაერთვის /ჩი/ თანდებული; მაგ.:

მჩ: ჯამჩი;

ლჩ: წყალჩი, ხელჩი, გულჩი;

რჩ: სიზმარჩი, საცერჩი;

ნჩ: ბადანჩი, თეირანჩი, შაშინჩი, ზემინჩი;

ვჩ: თავჩი...

2.1.2. სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

2.1.2.1. სონორი + კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი

განხილულ მასალაში არც ერთი შემთხვევა არ დადასტურდა კომბინაციისა სონორი + კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი /ვ ჰ/.

2.1.2.2. სონორი + წინანუნისმიერი ნაპრალოვანი

სონორისაგან შედგენილი თანხმოვანთკომპლექსები სიტყვის თავკიდურ პოზიციაში როგორც ვთქვით იშვიათია. ამდენად, მიმდევრობიდან **სონორი /მლრნვ/ + წინანუნისმიერი ნაპრალოვანი /ზს/** გაანალიზებულ მასალაში გამოვლინდა მხოლოდ **მზ** კომპლექსი სიტყვაში **მზე**, მაგრამ ეს თანხმოვანთკომპლექსიც განიცდის სუბერაციას, გვხვდება პარალელური ფორმები **მზე||ზე**. სხვა შემთხვევა ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსებიდან სიტყვის თავში არ დადასტურდა:

სიტყვის შუა პოზიციაში ერთი მორფემის ფარგლებში წინანუნისმიერ ნაპრალოვნებთან თანხმოვანთკომპლექსს ქმნის /მ ნ რ/ სონორი ბგერები; მაგ.:

მზ: სამზადისი, სამზარეულო, თამზია;

ნზ მიმდევრობაა სპარსულ სიტყვაში მანზელი (“სახლი”), ასევე სიტყვაში მანზილი, სადაც **ნზ** კომპლექსი მიღებულია ნძ-ს დეზაფრიკატიზაციით (მანძილი > მანზილი).

ნს კომპლექსი გამოვლინდა ქართულ სიტყვის კომპოზიტში ტანსაცმელი, ერთი მორფემის ფარგლებში ეს მიმდევრობა არ გვაქვს.

რზ თანხმოვანთკომპლექსი ძირითადად წარმოდგენილია სპარსულ სიტყვებში, მაგალითად, ერთი მორფემის ფარგლებში ის გვხვდება სიტყვაში ფარზაყი, ხოლო მორფემათა ზღვარზე სპარსულ კომპოზიტში ჰარზადი (“ყოველგვარი”). ქართულ სიტყვებში **რზ** თანხმოვანთკომპლექსი ჩვენს მასალაში დადასტურდა ერთადერთ მაგალითში ყურზენი, მაგრამ აქ **რზ** არის მეორეული კომპლექსი, ვინაიდან მიღებულია რძ-ს დეზაფრიკატიზაციით (< ყურძენი).

რს თანხმოვანთკომპლექსიც სპარსულიდან ნასესხებ სიტყვებში დაჩნდება, მაგალითად, **პარსელი**, **მარსუმი** (“დასახელებული; ჩვეულებრივი”), ასევე მორფემათა ზღვარზე კომპოზიტში **ფედარსაგი** (“მამაძალი”).

სონორი /მლრნვ/ + წინანუნისმიერი ნაპრალოვანი /ზს/ ერთი მორფემის ფარგლებში ბოლოკიდურ პოზიციაში გამოვლინდა მხოლოდ **რზ** თანხმოვანთკომპლექსი: **არზი**, **ქეშავარზი** (სპ. “მიწათმოქმედება”).

მორფემათა ზღვარზე ყველა სონორ ბგერას შესწევს უნარი, შექმნას თანხმოვანთკომპლექსი; მაგ.:

ლზ: **სავალზე**, **ხელზე**, **სადილზე** **მანზილზე**;

ლს: **ზოღალს**, **სარქელს**, **წყალს**;

მზ: **დამზე**, **ურემზე**, **გომზე**;

მს: **მისცემს**, **სჭამს**, **ქათამს**;

ნზ: **ბიაბანზე**, **სინზე**;

ნს: **ნათხონს**, **ისპაანს**, **ინდისტანს**;

რზ: **სერზე**, **წერზე**;

რს: **ვაზირს**, **პურს**, **ფურს**;

ვზ: **სარწყავზე**;

ვს: **ჰყავს**, **მაიწოვს**, **გახევს...**

2.1.2.3. სონორი + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი

სიტყვის არც ერთ პოზიციაში არ გამოვლინდა მიმდევრობა **სონორი /მლრნვ/ + უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი /უ/**.

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში სონორი **/მლრნვ/** არ ვლინდება უკანანუნისმიერ ნაპრალოვან **/უ/**-თან მეზობლობაში; სიტყვის შუაში კი ერთი მორფემის ფარგლებში შეგვხვდა შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები:

მშ: შიმშილი, ჯემშიდი, შეშა (მ/ სონორი განვითარდა);

ნშ: ინშალა (შდრ. არაბ. ენშანს ალ-ლაჰ "ღმერთმა ქნას");

რშ: ხორშიდა (სპ. "შზე"), შარშან;

ვშ: ბავშობა...

2.1.3. I რიგისმიერი ხშული + სონორი

2.1.3.1. ბავისმიერი ხშული + სონორი

ფერეიდნული დიალექტში შედარებით აქტიურობით გამოირჩევა კომბინაცია **I რიგისმიერი ხშული + სონორი**.

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში სონორებიდან ბავისმიერებთან გვხვდება /ლ რ/; ამ პოზიციაში მ ვ/ სონორი არ დადასტურდა (როგორც წესი, თავკიდურ პოზიციაში საწარმოთქმო ადგილის მიხედვით ერთი და იგივე ბგერები ერთი მორფემის შიგნით კომბინაციაში არ შედის).

მასალაში გამოვლენილი **ბლ** თანხმოვანთკომპლექსი არ გამოირჩევა ხშირი რეალიზაციით. დასტურდება თითო-ორჯერ სიტყვაში, მაგალითად, **ბლენი**, ამ შემთხვევაში **ბლ** კომპლექსი მეორეულია, მიღებულია **ბლენი** < **ბნელი** მეტათეზისით.

ფლ კომპლექსია სიტყვაში **ფლავი**, პარალელურად ფერეიდნელთა მეტყველებაში გვხვდება **ფელ** ფორმაც — **ფელოუ**.

ბრ მიმდევრობაა სიტყვებში: **ბრინჯი**, **ბრეწველი**. ხშირად ტექსტში **ბრინჯს** სიტყვა **ფლავის** მსგავსად ვხვდებით სპარსული გახმოვანებით, მაგალითად, **ბერენჯი**.

ფრ თანხმოვანთკომპლექსი გვაქვს სიტყვაში **ფრანგისთანყე**. არა იშვიათად **ფრ** კომპლექსი გახმოვანებული სახითაც გვაქვს: **ფრანგისთან** (სპ. „უცხოეთი“).

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში სონორთან მეზობლობაში /პ/ ბაგისმიერი ხშული შეგვხვდა ერთადერთ სიტყვაში **პრასა**.

სიტყვის შუა პოზიციაში ერთი მორფემის ფარგლებში ბაგისმიერი /ბფბ/ ხშულების კომბინაცია სონორებთან გამოვლინდა როგორც სპარსულ ნას-ესნობებში, ასევე საკუთრივ ქართულ სიტყვებში. სიტყვის ამ პოზიციაში ბაგისმიერების მეზობლობაში გვხვდება მხოლოდ /ლ რ ვ/ სონორი, /მ ნ/ კი მათთან კომპლექსს ვერ ქმნის; მაგ.:

ბლ: ყაბლამა (სპ. „ტაფა“);

ფლ: დიფლომი, თიფლისი;

პლ: წკეპლა;

ბრ: დაბრაწვა (და შესაბამისად, დაბრაწვა ზმნის ფორმები);

ფრ: უფროსი, სუფრა;

გამოვლინდა მეორეული **პვ** კომპლექსი: მოხაპვა (შდრ: ხაპავს).

ერთი მორფემის ფარგლებში ბოლოკიდურ პოზიციაში ამ რიგის თანხმოვანტკომპლექები ნაკლებად აქტიურია. მასალაში გამოვლინდა მხოლოდ **ბლ** მიმდევრობა სიტყვაში **შუბლი**.

2.1.3.2. კბილისმიერი ხშული + სონორი

ფერეიდნულ დიალექტში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში ერთი მორფემის ფარგლებში ბილისმიერ ხშულ /დთტ/-თან მეზობლობაში სონორებიდან თანხმოვანტკომპლექსს ქმნის მხოლოდ /მ რ/; კერძოდ, რეალიზებულია:

თმ: თმა...

თრ მიმდევრობა ფერეიდნულში სიტყვის თავკიდურად როგორც პირველადი კომპლექსი არ გვხვდება, ის არის მეორეული, ვინაიდან მიიღება სამკომპონენტური **თვრ** თანხმოვანტკომპლექსის გამარტივებით: **თრამეტი** < **თვრამეტი**.

/რ/ სონორი დადასტურდა როგორც /დ/ კბილისმიერთან, ასევე /ტ/-თან; მაგ.:

დრ: დრო, დროული;

ტრ: ტრანსპორტი, ტრედი (< მტრედი), ტრაქტორი და ტრიალი ზმნის ფორმებში. აღსანიშნავია, რომ ტრ კომპლექსი ხშირად წარმოდგენილია სპარსულის მსგავსი გახმოვანებით ტერ; მაგ.: ტერაქტორ.

კომბინაცია კბილისმიერი ხშული /დთტ/ + სონორი სიტყვის შუა პოზიციაში ხშირი რეალიზაციით არ გამოირჩევა. /დთტ/ ხშულთან მეზობლობაში დადასტურდა /ლ რ ნ/ სონორი; მაგ.:

თლ: მათლაბი (სპ. “მათლაბი“), სათლელი;

ტრ: პატრონი, მუტრუკი;

ტნ: პიტნა;

დნ: დაზიდნა ზმნის ფორმებში (დაჯიდნა, იზიდნების)...

სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში კბილისმიერ ხშულ /დთტ/-თან შეგვხვდა მხოლოდ /რ/ სონორი. მაგ.:

დრ: ჩადრი, ფუდრი;

თრ: მეთრი, თეთრი, ათრი;

ტრ: კიტრი...

2.1.3.3. წინანუნისმიერი ხშული + სონორი

ფერეიდნულ დიალექტში საკმაოდ აქტიურია კომბინაცია წინანუნისმიერი ხშული /ძცწ/ + სონორი /მლრნვ/.

ერთი მორფემის ფარგლებში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში /ნ/-ს გარდა ყველა სონორი ქმნის წინანუნისმიერ /ძ/-ს მეზობლობაში თანხმოვანთკომპლექსს. გამოვლინდა შემდეგი მიმდევრობები:

ძმ: ძმა;

ძლ: ძლივ, ძლივ-ძლიობით, ძლიერი. ხშირად გვხვდება ამ კომპლექსის სუპერაციის შემთხვევაც, მაგალითად, ძილიერი.

ძრ: ძრიალ, რომელიც მიღებულია მეტათეზისის შედეგად ძრიალი < ძლიერი (არ გამოირიცხება სხვა ფონეტიკური პროცესიც: წარმოების ადგილის მიხედვით /d/-ს ემსგავსება სონორი: ძლიერი > ძრეირი > ძრეელი||ძრიალი).

ძვ: ძველი||ძელი...

/d/-გან განსხვავებით /ც/ ხშირი სიტყვის თავში სონორებთან მეზობლობაში არ დადასტურდა; უფრო აქტიურად ჩანს სონორები წინანუნისმიერ /წ/ ხშირის მომდევნოდ; მაგ.:

წმ: წმინდა;

წლ კომპლექსი ვლინდება სიტყვა წლის მრავლობით ფორმაში წლები;

წრ გვხვდება როგორც მეორეული თანხმოვანთკომპლექსი სიტყვაში წრილი (< წვრილი).

წნ: წნური;

წლ: ნაწლევი;

წვ: დაბრაწვა, წვალება...

ბოლოკიდურ პოზიციაში ერთი მორფემის ფარგლებში არც ერთი შემთხვევა არ გამოვლინდა ამ რიგის თანხმოვანთკომპლექტებისა.

2.1.3.4. უკანანუნისმიერი ხშირი + სონორი

ფერეიდნულში სიტყვის თავიკიდურ პოზიციაში კომბინაცია უკანანუნის-მიერი -ხშირი /ჩჩჟ/ + სონორი არ დადასტურდა; მაგ., მოსალოდნელი ჩრ მიმდევრობა სიტყვაში (ჩრდილი) გახმოვანებულია: ჩირ (ჩირდილი).

სიტყვის თავიკიდურ პოზიციაში უკანანუნისმიერი ხშირების მომდევნოდ გამოვლინდა წყვილბაგისმიერი სონორი /ვ/; მაგ.:

ჯვ: ჯვარი;

ჩვ: ჩვარი;

ჭვ: ჭვავი...

ინტერვოკალურ პოზიციაშია გამოვლინდა შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები:

ჯლ: მაჯლესი;

ჭრ მიმდევრობაა გაჭრა ზმნის ფორმებში.

ჯმ: მაჯმა (სპ. "ჯამი")...

გვაქვს მეორეული ჯმ კომპლექსი: შაჯმა (შდრ: შეჯამს), ასევე ჯმ განხილულ მასალაში წარმოდგენილია როგორც პირველადი კომპლექსიც; მაგ., დაჯმუჭნა ზმნათა ფორმებში. სხვა შემთხვევაში კი ეს მიმდევრობა მორფმათა ზღვარზე გვაქვს; მაგ., ბიჯმა, გოჯმა.

ჭნ კომპლექსი გამოვლინდა დაჯმუჭნა ზმნათა ფორმებში.

2.1.4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი

2.1.4.1. კბილბაგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი

კბილბაგისმიერი ყრუ ნაპრალოვანი /ტ/ სონორთაგან თანხმოვანთკომპლექს ქმნის მხოლოდ /ლ/ ბგერასთან სპარსულ სიტყვაში ყაღლა.

2.1.4.2. წინანუნისმიერი ნაპრალოვანი + სონორი

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში წინანუნისმიერი ნაპრალოვან ბგერათაგან ლ ს/ სონორებთან კომბინაციაში არ შედის ს/.

ლ/ ნაპრალოვანთან მეზობლობაში დადასტურდა /ლ რ ვ/ სონორი ბგერები. შესაბამისად, გვხვდება ზლ, ზრ, ზვ თანხმოვანთკომპლექსები; მაგალითად, ზლ

მიმდევრობაა ერთადერთ სიტყვაში **ზლები**, სადაც **ზლ** მეორეული კომპლექსია, მიღებულია **რძალ** ფუძის გამარტივებით.

მასალაში ფიქსირებული **ზრ** თანხმოვანთკომპლექსიც მეორეულია. ფერეიდ-
ნულ დიალექტში **ძრ-ც** განიცდის დეზაფრიკატიზაციას და შესაბამისად, **ძრ-ს**
ნაცვლად არის **ზრ**; მაგ.: **ზროხა** < **ძროხა**.

ზვ თანხმოვანთკომპლექსი გამოვლინდა სიტყვაში: **ზვაფი**.

ინტერვოკალურ პოზიციაში შეგვხვდა კომბინაცია **წინანუნისმიერი**
ნაპრალოვანი /ზ ს/ + სონორი /მ/; მაგ.:

ზმ: სი**ზმ**არი;

სმ: ყეს**მ**ათი (სპ. „ნაწილი“)...

ასევე ამ პოზიციაში დადასტურდა **/ზს/ ნაპრალოვანს + /რ/ სონორი**;

მაგ.:

ზრ: ბა**ზრ**აქი, მა**ზრ**ა;

სრ: ხოს**რ**ოვი...

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში დადასტურდა **სვ** კომპლექსი:

სვ: ს**ვ**აფი...

მიმდევრობა **წინანუნისმიერი ნაპრალოვანი /ზს/ + სონორი /ლნვ/**.

აქტიურია ბოლოკიდურ პოზიციაში, მაგრამ უმეტესად ვლინდება სპარსულიდან
ნასესხებ სიტყვებში; მაგ.:

ზმ: ჯა**ზმ**ი (სპ. „ძლიერი, მაგარი“);

სმ: რა**სმ**ი (სპ. „წესი, ჩვეულება“);

სლ: ა**სლ**ი (სპ. „ძირი, მოდგმა“), თე**სლ**ი (მორფ. ზღვარი);

სრ: ყა**სრ**ი;

2.1.4.3. უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი + სონორი

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში /ჟ/ ნაპრალოვანი სონორებთან კომბინაციაში არ შედის, ხოლო /ზ/ ბგერა ერთადერთ სონორთან მეზობლობაში გვხვდება, ეს არის /ვ/, მაგალითად, **შვ** კომპლექსია სიტყვაში **შვილი**.

სიტყვის თავკიდური პოზიციისაგან განსხვავებით კომბინაცია **უკანანუნის-მიერი ნაპრალოვანი + სონორი** სიტყვის შუაში შედარებით აქტიურობით გამოირჩევა. უნდა აღინიშნოს, რომ უკანანუნისმიერი ნაპრალოვნებიდან სონორებთან მეზობლობაში დადასტურდა მხოლოდ /ზ/ ბგერა, /ჟ/ ნაპრალოვანი არც ამ პოზიციაში გვხვდება. ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსთა უმრავლესობა გამოვლენილია სპარსულ სიტყვებში; მაგ.:

შმ: დუშმანი (სპ. „მტერი“), ფაშმობა (შდრ: სპ. ფაშე შამ „გარიჟრაჟი“);

შრ: აშრაფი;

შრ თანხმოვანთკომპლექსი გამოვლინდა ასევე მორფემათა ზღვარზეც სიტყვაში ფიშრაქთი;

შლ: ყიშლადი და გაშლა ზმნის ფორმებში, მაგალითად, გაშლებიან, ოშლით.

შნ მიმდევრობაა ნიშნობა ზმნის ფორმებში, მაგალითად, ნიშნავს, დადნიშნიან...

შვ თანხმოვანთკომპლექსი სიტყვის შუა პოზიციაში მხოლოდ ადამიანთა გვარებში დადასტურდა, მაგალითად, ხუციშვილი, ონიკაშვილი და ა.შ.

ბოლოკიდურ პოზიციაში მიმდევრობა **უკანანუნისმიერი ნაპრალოვანი + სონორი** ძალზედ პასიურია. ერთი მორფემის ფარგლებში შეგვხვდა მხოლოდ **შლ** კომპლექსი სიტყვაში ვაშლი.

მორფემათა ზღვარზე მსგავსი თანხმოვანთკომპლექსები არ იკრძალება; მაგ.:

შმ: წარაშმა...

2.2. სონორი + II რიგისმიერი

2.2.1. სონორი + II რიგისმიერი ხშული

2.2.1.1. სონორი + უკანაენისმიერი ხშული

ფერეიდნულ დიალექტში სიტყვის თავიდან პოზიციაში არ გვხვდება მიმდევრობა **სონორი + უკანაენისმიერი ხშული**.

ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსები სიტყვის შუაში ხშირი რეალიზაციით ხასიათდება, მაგრამ /მ/ სონორი სხვა სონორებისაგან განსხვავებით უკანაენისმიერებთან კომბინაციაში შედარებით პასიურია. ერთი მორფემის ფარგლებში ის გამოვლინდა მხოლოდ /გ/ ბგერასთან მეზობლობაში; ნამგალი||ლამგალი; მორფემათა ზღვარზე დაფიქსირდა /კ/ უკანაენისმიერთან მეზობლობაში ზმნურ ფორმებში: მამკლარან, მამკლავს, დამკვლელები...

/ლ/ სონორი /ვ/ ხშულის გარდა სამივე უკანაენისმიერთან შედის კომბინაციაში; კომპლექსი ძირითადად ვლინდება მორფემათა ზღვარზე:

ლგ: ყოლგან||ყელგან, ახალგაზდა;

ლქ: ქილქიტი (ქსელის საქსოვი ბეჭი. ამზადებენ კაკლის ხისაგან); მაგ.: „ქილქიტს დაჭცხეფთ, ჩაენაყავთ იმასა“... (მ.მაჭავარიანი, 1985).

ერთი მორფემის ფარგლებში **ლგ** კომპლექსი წარმოდგენილია სიტყვაში: ქოლგა..

ლკ კომპლექსი გვაქვს ცალკე და განცალკავება ფორმებში.

მიმდევრობიდან /რ/ + უკანაენისმიერი ხშული ჩანს შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები:

რქ: სარქელი (მეორეული კომპლქსი), თურქული, შერქათი (სპ. „გაერთიანება“); მორფემათა ზღვარზე მოდირქოლი (შდრ: სპ. მადირე ქოლლ „მმართველი, უფროსი“);

რგ არის დაკარგვა ზმნის ფორმებში, მაგალითად, დავკარგე, დავკარგოს...

რკ: სარკე...

/ნ/ სონორი ერთი მორფემის ფარგლებში სამივე უკანაენისმიერ ხშულთან შედის კომბინაციაში; მაგ.:

ნგ: ჩანგალი, სანგარი, რანგიანი (შდრ: სპ. რანგ “ფერი”), თანგი (სპ. “ვიწრო”); მაგ.: “გული თანგი აქ დაღონებულია“... (მ. მაჭავარიანი, 1975);

ნქ: ქონქურჩი, ანქით, მანქანა;

ნკ: ანკისი, კინკლაობა...

სიტყვის შუა პოზიციაში /ვ/ სონორი უკანაენისმიერ ხშულთაგან მხოლოდ /ქ/ და /კ/-თან მეზობლობაში გამოვლინდა მორფემათა ზღვარზე (ერთი მორფემის ფარგლებში ეს კომბინაცია არ გვხვდება); მაგ.:

ვქ: მოვქსოვთ, დავქსოვთ, დავქუჩდით, შავქენ, დოვთავქევ...

ვკ: მოვკლავთ, გავკრავთ, დავკრეფთ, ავკიდავთ, შავკრავთ...

ფერეიდნულ დიალექტში სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში /მ/ სონორის კომბინაცია უკანაენისმიერ /გქკქ/ ხშულებთან არც მორფემის ფარგლებში და არც მორფემათა ზღვარზე არ გამოვლინდა.

/ლ/ სონორი უკანაენისმიერ ხშულთაგან თანხმოვანთკომპლექსს ქმნის /ქ/ ფშვინვიერთა და ისიც მხოლოდ სპარსულ სიტყვაში; მაგ.: ბალქი (სპ. „ვინაიდან“).

/რ/ სონორი უკანაენისმიერ ხშულებთან კომბინაციაში საკმაოდ ხშირად ჩანს; მაგ.:

რგ: კარგი, ბარგი, ზინაბარგი (სპ. “უნაგირი”);

რქ: ჩირქი;

რკ: პარკი...

მიმდევრობა სონორი /ნ/ + უკანაენისმიერი ხშულები ძირითადად წარმოდგენილია სპარსულ სიტყვებში; მაგ.:

ნგ: ბანგი (სპ. “ზმა”), რანგი, თანგი, ჰარანგი, პერანგი;

ნქ: ანქ, ინქ;

ნკ: ჭენკი...

/ვ/ ბგერა სიტყვის ბოლოკიდურ პოზიციაში უკანაენისმიერ ხშულებთან მეზობლობაში არც მორფემის ფარგლებში და არც მორფემათა ზღვარზე არ გამოვლინდა.

2.2.2. სონორი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი

2.2.2.1 სონორი + უკანაენისმიერი ნაპრალოვანი

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში არც ერთი შემთხვევა არ გამოვლინდა კომბინაციისა **სონორი + უკანაენისმიერი ნაპრალოვანი**.

სიტყვის შუაში სონორი /მ/ სამივე უკანაენისმიერ ნაპრალოვანთან შედის კომბინაციაში და ქმნის შემდეგ თანხმოვანთკმპლექსებს:

მხ: ამხანაგი, სომხები (< სომეხი);

მყ: ამყოლი...

მღ შეგვხვდა სიტყვაში დამღონებელი და ზმნის ფორმებში: იმღერის, იმღერებენ...

მორფემათა ზღვარზე უფრო ხშირია ეს მიმდევრობები; მაგ.:

მხ: ეკლამხალა, ასევე ზმნის ფორმებში შამამხვია, შამამხვიოს...

მყ: მამყუანდა, მამყევით...

სონორი /ლ/ უკანაენისმიერი ნაპრალოვნებიდან ერთი მორფემის ფარგლებში მხოლოდ /ლ/-თან ქმნის კომპლექსს: ავლანთა**ლხი**, **ლხ** მიმდევრობა მორფემათა ზღვარზეც დადასტურდა; კერძოდ, გვაქვს შემდეგ სიტყვებში: საყა**ლხ**ანა, ხა**ლხ**-ალი.

ლ/ სონორი /ყ/ ნაპრალოვანთან მეზობლობაში გამოვლინდა მორფემათა ზღვარზე: სულყოლგან.

სიტყვის შუაში სონორი /რ/ უკანაენისმიერი ნაპრალოვნებიდან /ხ/-თან და /ჰ/-თან ქმნის თანხმოვანთკომპლექსს; მაგ.:

რხ: ქარხანა, ჭარხალი;

რჰ: ზირფირჰანი (სპ. „ქვედა საცვალი“), წარჰანგი (სპ. „კულტურა, მეცნიერება“)...

/ნ/ სონორი კომპლექსს ქმნის /ყ/ ნაპრალოვანთან: მანყალი.

/ვ/ სონორი უკანაენისმიერი ნაპრალოვნებიდან ერთი მორფემის ფარგლებში შეგვხვდა /ლ/-თან ერთადერთ სპარსულ ნასესხობაში ავლანთალხობა. /ვ/ უმეტესად კომპლექსს ქმნის მორფემათა ზღვარზე, სადაც ის არის პირველი სუბიექტური პირის ნიშანი; მაგ.:

ვლ: ჩავლრი, დავლრი, დავლონდი;

ვხ: მივხედოთ, გავხედი, დავხურკლავ, გოვხარდაყე;

ვყ: დავყრით, ჩავყრით...

ბოლოკიდურ პოზიციაში ერთი მორფემის შიგნით მიმდევრობა სონორი + უკანაენისმიერი ნაპრალოვანი გამოვლინდა მხოლოდ სპარსული სიტყვებში; თანაც, ყველა სონორი თანხმოვანთკომპლექსს ვერ ქმნის. არც ერთი შემთხვევა არ არის სონორი /მრვ/ + უკანაენისმიერი ნაპრალოვანი /ღხყ/.

/ლ/ სონორი თანხმოვანთკომპლექსს ქმნის /ლ/ და /ყ/ ნაპრალოვანთან; მაგ.:

ლღ: ხაღღი||ხაღღი;

ლყ: ჰაღღი, ჰოღღი...

/რ/ სონორი ერთადერთ უკანაენისმიერ ნაპრალოვანთან შეგვხვდა. ეს არის /ყ/: წარყი (სპ. „სხვაობა“), ბარყი (სპ. “შუქი“)...

მორფემათა ზღვარზე ყველა სონორი ქმნის თანხმოვანთკომპლექსებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახელის ფუძეს დაერთვის /-ლა/ ან /-ყე/ ნაწილაკი; მაგ.:

მღ: ემაღლა;

მყ: ჩემყე;

ლლ: წახოლლა, მოხოლლა;

რყ: უთხარყე;

ნყ: აჰკიდიანყე, ჩვენყე;

ვლ: გყოვლა;

ვყ: უკავყე, ჰყავყე...

2.2.3. II რიგისმიერი ხშული + სონორი

2.2.3.1. უკანაენისმიერი ხშული + სონორი

ფერეიდნული დიალექტში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში თანხმოვანთკომპლექსთან მოშლის ტენდენცია ვლინდება, მაგრამ იმ შემთხვევაში თუკი კომპლექსში მეორე კომპონენტი სონორია, თანხმოვანთკომპლექსი უმეტესად წარმოდგენილია სრული სახით.

სიტყვის თავში უკანაენისმიერი /გ/ ხშული მხოლოდ /ვ/ სონორთან მეზობლობაში ქმნის თანხმოვანთკომპლექსს, მაგალითად, **გვ** დადასტურდა სიტყვაში **გვარი**.

უკანაენისმიერი /ქ/ გვხვდება /მ/ სონორთან სიტყვაში **ქმარი**, ხოლო /ნ/-თან მეზობლობაში ის დაფიქსირდა **ქნა** (< **ქნა**), **ქნდეს** ზმნურ ფორმაში:

ქვ მიმდევრობაა სპარსულ ნასესხობაში **ქვიშხედმათი** (შდრ: სპ. ხედმათ “სამსახური”).

უკანაენისმიერი /კ/ ხშული სიტყვის თავკიდურ პოზიციაში თანხმოვანთკომპლექსს ქმნის /მ ლ ვ/ სონორებთან:

კმ: კმარა;

კლ: კლავს ზმნის აწმყო დროის მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირის ფორმებში: **კლავ**, **კლავს**, **კლავთ**, **კლავენ**...

კვ: კვამლი, კვანთი (< **კვანტი**)...

გამოვლინდა ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსთა სუბერაციის შემთხვევაც, ეს პროცესი ბუნებრივია ფერეიდნულ დიალექტისათვის სიტყვის თავკიდურად; მაგ.:

ქმ: ქმარი > ქუმარი.

კლ: კლასი > ქელასი.

/ვ/ ფონემა საკმაოდ აქტიურად გამოვლინდა ამ დიალექტში, მაგრამ უმეტესად გვხვდება ხმოვნებთან და სონორებთან მეზობლობაში. სიტყვის თავკიდურ პოზიციაში /ვ/ ფონემა კომბინაციაში შედის /მ ნ რ/-თან და შესაბამისად, დასტურდება შემდეგი თანხმოვანთკომპლექსები:

ვმ: ვმა, ვმალი, ვმელი;

ვრ: ვრელი (ვვრელი);

ვნ: ვნა...

კომბინაცია უკანაენისმიერი ხშული /გქკვ/ + სონორი ინტერვოკალურ პოზიციაში:

გვ: დაგავა ზმნის ფორმებში — დაგვა, დადგვის;

გრ: გოგრა, ელეგრე, ეგრე და დაგრება ზმნის ფორმებში — დადგრეს, დაგრიხო;

კრ: მაკრატელი;

ქმ: საქმე, საქმიანობა;

ქლ: შიქლობა;

კლ: ეკლამხალა;

კვ: ნაკვესი...

ბოლოკიდურ პოზიციაში უკანაენისმიერ ხშულთაგან /ლ/ სონორი გვხვდება მხოლოდ /ვ/-ს მომდევნოდ: მუჭლი; იშვიათია მიმდევრობა უკანაენისმიერი ხშული /გქკვ/ + სონორი: ვნ : წიგნი...

2.2.4. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი

2.2.4.1. უკანაენისმიერი ნაპრალოვანი + სონორი

ფერეიდნულ დიალექტში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში დადასტურდა მიმდევრობა უკანაენისმიერი ნაპრალოვანი /ღხყჭ/ + სონორი, მაგრამ ამ კომბინაციის შედეგად მიღებული თანხმოვანთკომპლექსების პარალელურად გვხვდება პარალელური ფორმებიც; მაგ.:

ღმ: ღმერთი||მერთი;

ხმ: ხმა, ხმარება;

ღვ: ღვინო||ლინო;

ხვ: ხვალ, ხვათი, ხვადაგი;

ყვ: ყველი, ყველა||ყელი;

ყმ: ყმაწილი||ყუმაწილი...

გამოვლინდა ყრ მეორეული თანხმოვანთკომპლექსი სიტყვაში ყრალი, რომელიც მიღებულია სამკომპონენტური მყრ კომპლექსის გამარტივებით.

სონორი /ლ/ არც ერთ უკანაენისმიერ ნაპრალოვანთან არ ქმნის თანხმოვანთკომპლექსს სიტყვის თავკიდურ პოზიციაში.

ამ მიმდევრობის თანხმოვანთკომპლექსები ხშირია სიტყვის შუა პოზიციაში; მაგ.:

ღმ: შუაღმობა, შოვპირაღმათა;

ხმ: თოხმალუ და მოხმარება ზმნის ფორმებში;

ხნ: სახნავი;

ღრ: ჩუღრუთი, ჩუღრუმთელი;

ხრ: მოხრა ზმნის ფორმებში;

ყრ: თაყრიბან, გაყრა, გაყრილი და ჩაყრა ზმნის ფორმებში;

ღლ: მაღლა, დაღლა, დაღლილობა, ამოღლობა, იღლია...

ამ პოზიციაში წარმოდგენილია მეორეული თანხმოვანთკომპლექსი **ხლ**: ახ-
ლუები.

ულ: გაულეფა, გაულეფს (< გაულეფს).

/ვ/ სონორი უკანაენისმიერ ნაპრალოვნებთან მეზობლობაში არც თუ ისე ხშირად გვხვდება; **ვვ** კომპლექსი გამოვლინდა წაყვანა, მოყვანა ზმნათა ფორმებში.

მორფემათა ზღვარზე **ღვ** მიმდევრობა გვაქვს ერთადერთ სიტყვაში დაყონაღვა.

განსაკუთრებით საყურადღებოა **ხვ** თანხმოვანთკომპლექსის შემცველი ქართული სიტყვები ფერეიდნულ დიალექტში და მასთან დაკავშირებული ფონეტიკური ხასიათის ცვლილებები:

სპარსულ ენაში **ხვ** და **ხვი** წარმოითქმის როგორც **ხ** და **ხი**; /ვ/ ბგერა ამ კომპლექსში, როგორც წესი, არ გამოითქმება; მაგ.: **ხვ** > **ხ**, **ხვ** > **ხ**, **ხვი** > **ხი**, **ხვი** > **ხი**...

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა ახსნილია: **ხვ** კომპლექსის წარმოთქმა გამარტივდა, ხოლო დამწერლობა ძველი დარჩა; შდრ: სპარსული **ხვ**, რომლის ადრინდელი წაკითხვა შემოგვინახა ქართულმა **ხვ**არაზში (გ. გიუნაშვილი, 1987, გვ. 137).

ვინაიდან სპარსული ენისათვის დამახასიათებელი არ არის **ხვ** თანხმოვანთკომპლექსი, ამიტომ ფერეიდნულ დიალექტშიც, შესაბამისად, მოშლილია ეს კომბინაცია; მაგ.:

შეხწევა < შეხვეწევა (ეხწევა, მეხწევა...);

მოხეტა < მოხვეტა (დამიხეტა, დადხეტა...);

მომსხილო < მომსხვილო;

ჭიხინი < ჭიხვინი;

ხიხინი < ხვიხვინი||კვიკვინი...

სამეცნიერო ლიტერატურაში /ვ/-ს დაკარგვა ახსნილია ენობრივი თვითიმუნიაციის მოვლენითაც (იხ. ტ. ფუტკარაძე, 1996, გვ. 21-25). საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ფერეიდნულში **ხვა**ვი, **ხვალ** ტიპის ფუძეთა ჩვენებას. ჩვენ მიერ განხილულ ტექსტებში გამოვლინდა **ხვა** კომპლექსი სიტყვაში: **ხვალ**; თუ მხოლოდ ვე, ვი კომპლექსის დელაბიალიზაცია ხდება /ვ/-ს დაკარგვის ახსნა თვითიმუნიაციით უფრო ლოგიკურია (ეს ფაქტი კიდევ ერთი საფუძველია /ვ/-ს წყვილბაგისმიერ სონორად მიჩნევისათვის).

სონორები კომპლექსს ქმნიან /ჰ/ ნაპრალოვანთან მეზობლობაშიც. კომბინაცია /ჰ/ **ნაპრალოვანი** + **სონორი** გამოვლინდა მხოლოდ სპარსულიდან ნასესხებ სიტყვებში, როგორც აღვნიშნეთ, ქართულში ერთი მორფემის ფარგლებში ის არ გვხვდება (იხ. ზემოთ).

ჰმ: ბაჰმანი, მაჰმადი, მეჰმანი (სპ. „სტუმარი“), რაჰმათოლა;

ჰლ: ფაჰლავი (1925 წლიდან ირანის სამეფო დინასტია);

ჰრ: ზოჰრა (ადამიანის საკუთარი სახელი), თეჰრანი (თეჰრანელი), ქაჰრიზი (სპ. „მიწისქვეშა არხი“), შაჰრესთანი (სპ. „ოლქი, მხარე“), ეჰრამი (ჰაჯის მოსასხამი ქსოვილი);

ჰნ: ლოჰნე (სპ. „ცხიმი, მაზი“);

ჰვ: თაჰველი (შდრ; სპ. „დროის შეცვლა, ახალი წლის დადგომა“), აჰვალი (სპ. „მდგომარეობა“).

/ჰ/ ნაპრალოვანის შემცველი კომპლექტები ძირითადად გვხვდება ადამიანთა საკუთარ სახელებში, ყოველთვის სონორის მეზობლობაში.

ფერეიდნული დიალექტისათვის უფრო ბუნებრივია ისეთი თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც შედგება ნაპრალოვანისა და სონორისაგან, ამიტომ კომბინაცია **უკანაენისმიერი ნაპრალოვანი /ღხყჰ/ + სონორი** ბოლოკიდურ პოზიციაშიც აქტიურია; გამოვლინდა შემდეგი მიმდევრობები:

ღრ: ნოღრი (სპ. „თავდასხმა“);

ღლ: შოღლი (სპ. „საქმიანობა“), ძაღლი, მამაძაღლი;

ხმ: თოხმი (სპ. „ჰვერცხი“), ასევე დადასტურდა მორფემათა ზღვარზეც, მაგალითად, ოჯახმა.

ხრ: მოხრა ზმნის ფორმებში (მოხრის, დახრის...);

ყრ: ნაყრი (სპ. „ცოტა“);

ჰრ: ნეჰრი (სპ. „სადღვებელი“), შაჰრი||შარი (სპ. „ქალაქი“);

ჰლ: სოჰლი (სპ. „ადვილი“);

ჰნ: ქოჰნი (სპ. „ძველი“)...

2.3. სონორი + სონორი

2.3.1. სონორი /მლრნვ/ + სონორი მ

ფერეიდნულ დიალექტში ხშირია კომბინაცია **სონორი + სონორი** და დასტურდება როგორც სპარსულიდან ნასესხებ სიტყვებში, ასევე ქართულშიც.

სიტყვის თავკიდურ პოზიციაში სონორთაგან შედგენილი თანხმოვანთკომპლექსები არ გამოვლინდა, ამიტომ, შესაბამისად, არ გვაქვს **სონორი /მლრნვ/ + სონორი /მ/**.

სიტყვის შუაში კი სონორი /მ/ სონორთაგან /ლ რ მ/-თან გვხვდება; მაგ.:

ლმ: მუსულმანი, ქალმანი;

რმ: ხურმა, რეფორმა;

მმ: ჯათამმალა, ცამმეტი, ცხრამმეტი...

ბოლოკიდურ პოზიციაში /მ/ დავადასტურეთ /რ/ სონორთან: **ნარმი**. გვხვდება ასევე გემინირებული **მმ** თანხმოვანთკომპლექსი სიტყვაში: **სამმი**.

2.3.2. სონორი /მლრნვ/ + სონორი /ლ/

ინტერვოკალურ პოზიციაში სონორი /ლ/ /რ/-ს გარდა ყველა სონორთან დასტურდება:

მლ: მამლაქათი (სპ. „სახელმწიფო“), ემლაზე (შდრ: არაბ. ემლაც „სასკოლო წერა, ორთოგრაფია“);

ნლ: ავადანლული (შდრ: თურქ. აბადანლიქ „სოფელი“);

ვლ: მასწავლებელი, დოვლათი, ჰოვლა (სპ. „პირსახოცი“), თავლა;

ლლ: მოლლა, აველლა (შდრ: სპ. ავეალ „პირველი“), ქალლა, ვალლა (სპ. „მაგრამ“), ჯალლათი, ჰალლაბი...

ბლოკიდურ პოზიციაში ერთი მორფემის შიგნით გამოვლინდა მხოლოდ ვლ თანხმოდგენილობა: თოვლი, ყარავლი, ზამთრევილი.

2.3.3. სონორი /მლრნვ/ + სონორი /რ/

ინტერვოკალურ პოზიციაში ერთი მორფემის ფარგლებში /რ/ სონორი /მ რ ვ/ სონორებთან გვხვდება:

მრ: ხუმრობა, გემრიელი;

რრ: ფორრუ;

ვრ: იქავრობა...

მორფემათა ზღვარზე /რ/ კომბინაციაში შედის /ლ/ სონორთან, კერძოდ, ის წარმოდგენილია სპარსული სიტყვის კომპოზიტში: ჩეჰელრუზ (სპ. „ორმოცი დღე“).

სიტყვის ბლოკიდურ პოზიციაში /რ/ სონორი მხოლოდ /მ/ და /ვ/ ბგერებთან მეზობლობაში რეალიზდება:

მრ: ომრი (სპ. „სიცოცხლე“);

ვრ: კევრი, ბევრი, ექავრი, ზეზევრი...

2.3.4. სონორი /მლრნვ/ + სონორი /ნ/

სიტყვის შუა პოზიციაში /ნ/ თითქმის ყველა სონორთან გვაქვს; მაგ.:

მნ: მა**მ**ნუნი (სპ. “მადლობა”);

ლნ: საბა**ლ**ნე||საბანე;

რნ: თორ**ნ**ე;

ნნ: ა**ნ**ნაფი. ეს კომპლექსი გამოვლინდა ასევე მორფემათა ზღვარზე სპარსულ ნასესხობაში როგორც **ნნ**აბათი.

ბოლოკიდურ პოზიციაში /ნ/ სონორი მხოლოდ /ვ/-თან შედის კომბინაციაში. **ვნ** თანხმოვანთკომპლექსი წარმოდგენილია ერთადერთ სიტყვაში საბ**ო**ვნი (< საბონი), სადაც /ვ/ განვითარებულია.

2.3.5. სონორი /მლრნვ/ + სონორი /ვ/

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფერეიდნულ დიალექტში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში სონორთაგან შედგენილი თანხმოვანთკომპლექსები არ გვხვდება, გარდა ერთი შემთხვევისა, ეს არის კომპლექსი **რვ**, რომელიც წარმოდგენილია სიტყვაში **რვა**||რუა.

გ.კლიმოვმა **რვა** ჩრდილო-სემიტური წარმომავლობისად მიიჩნია (გ. კლიმოვი, 1971, გვ. 52) შდრ., ქართულში არსებული **რვ** კომპლექსი სხვა შემთხვევაშიც ნასესხებ სიტყვებშია; მაგ., **რვა**ლი ფალაურიდან ნასესხებია, “არ არის გამორიცხული ახალი სპარსულიდან სესხებაც“ (თ. უთურგაიძე, 1979, გვ. 101-102).

/ვ/ სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსი სიტყვის შუა პოზიციაში ყველა სონორთან მეზობლობაში დადასტურდა; მაგ.:

ნვ: სუნ**ვ**ენი;

რვ: სამგორველა, პირველი, საბერველი; ასევე მორფემათა ზღვარზე სპარსული სიტყვის კომპოზიტი: სარვაზი;

ვვ: ავვალ (სპ. "პირველი"), ავველან;

მვ თანხმოვანთკომპლექსი მხოლოდ მორფემათა ზღვარზე გამოვლინდა: გამვარდნია, ჩამვარდნია...

ბოლოკიდურ პოზიციაში /რ/ სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსი არ გამოვლინდა, შეგვხვდა მხოლოდ რვ კომპლექსი, ფერეიდნული დიალექტისათვის ეს კომპლექსი ბუნებრივია, მაგალითად, დაწერვა, ამ სიტყვაში /ვ/ სონორი განვითარდა.

2.4. II თავში წარმოდგენილი მასალის ანალიზი

2.4.1. ბუნებრივი, დასაშვები და აკრძალული თანხმოვანთმიმდევრობები

ფერეიდნული ტექსტების მასალაში სონორის შემცველი ორწევრა თანხმოვანთკომპლექსთა ცხრა სახის კომბინაცია გამოვლინდა: სულ 146 კომპლექსი (მოგვეყავს მხოლოდ ერთი მორფემის ფარგლებში არსებული მიმდევრობანი); მათი პროცენტული მაჩვენებელი ასეთია:

1. I რიგისმიერი ხშული + სონორი — 20,2 %;
2. სონორი + I რიგისმიერი ხშული — 18,8 %;
3. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი — 12,5 %;
4. სონორი + სონორი — 11,1 %;
5. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი — 9,7 %;
6. II რიგისმიერი ხშული + სონორი — 9 %;
7. სონორი + II რიგისმიერი ხშული — 6,9 %;
8. სონორი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი — 6,2 %.
9. სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 5,5 %.

ყველაზე აქტიური ჩანს: I რიგისმიერი ხშული + სონორი (20,2 %), ასევე სონორი + I რიგისმიერი ხშული (18,8 %), ხშირია ასევე კომბინაციები: II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი (12,5 %); სონორი + სონორი (11,1 %), ამდენად, ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსებს მივიჩნევთ ფერეიდნულისათვის უფრო ბუნებრივად.

შესწავლილი მასალის მიხედვით სონორის შემცველ დასაშვებ თანხმოვანთკომპლექსად შეიძლება მივიჩნიოთ ის კომპლექსები, რომელთა პროცენტული მაჩვენებელი შედარებით დაბალია; კერძოდ:

1. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი — 9,7 %;
2. II რიგისმიერი ხშული + სონორი — 9 %;
3. სონორი + II რიგისმიერი ხშული — 6,9 %;
4. სონორი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი — 6,2 %.
5. სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 5,5 %.

ფერეიდნულ დიალექტში არ იკრძალება სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსები.

2.4.2. თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე

2.4.2.1. თანხმოვანთკომპლექსთა სიხშირე თითოეული მიმდევრობის შიგნით

ნაშრომში შესწავლილი გვაქვს თითოეული სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე, რაც პროცენტულად ასე გამოიყურება:

კომბინაციიდან სონორი + I რიგისმიერი ხშული დადასტურდა მბ, მპ, მფ; ლბ, ლფ, ლპ; რბ; მთ, ლტ, ლთ; რდ, რთ, რტ; ნდ, ნთ; ვთ; რძ; ნძ, ნწ; მჭ, რჭ, რჩ, ვჭ; ნჭ, ნჭ თანხმოვანთკომპლექსები. მბ - 9,5 %; მპ - 1,1 %; მფ - 2,3 %; ლბ - 7,1 %; ლფ - 1,1 %; ლპ - 1,1 %; რბ - 5,9 %; მთ - 4,7 %; ლტ - 2,3 %; ლთ - 2,3 %; რდ - 5,9 %; რთ - 7,1 %; რტ - 4,7 %; ნდ - 13,1 %; ნთ - 2,3 %; ვთ - 1,1 %; რძ - 1,1 %; ნძ - 2,3 %; ნწ - 1,1 %; მჭ - 1,1 %; რჭ - 5,9 %; რჩ - 2,3 %; ვჭ - 2,3 %; ნჭ - 2,3 %; ნჭ - 1,1 %. აქედან გა-

მომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს **ნდ** (13,1 %), **მბ** (9,5 %); **რთ**; **ლბ** (7,1 %) თანხმოვანთკომპლექსები. დანარჩენი კი რეალიზაციით მეტნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

კომბინაციიდან **სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი** დაჩნდება **მზ, ნზ, რზ, რს, მზ, ნზ, რზ, ვზ** თანხმოვანთკომპლექსები. **მზ** - 21 %; **ნზ** - 10,5 %; **რზ** - 21 %; **რს** - 10,5 %; **მზ** - 15,7 %; **ნზ** - 5,2 %; **რზ** - 10,5 %; **ვზ** - 5,2 %. აქედან გამომდინარე აქტიურობით გამოირჩევა **მზ, რზ** (21 %) თანხმოვანთკომპლექსები.

კომბინაციიდან **I რიგისმიერი ხშული + სონორი** გამოვლინდა **ბლ, ბრ, ფლ, ფრ, პლ, პრ, პვ, თმ, თრ, დრ, ტრ, თლ, ტნ, ძმ, ძლ, ძრ, ძვ, წმ, წლ, წრ, წნ, წვ; ჯლ, ჯმ, ჯრ, ჯმ, ჯნ, ჯვ, ჯვ, ჩვ** თანხმოვანთკომპლექსები. **ბლ** - 5,5 %; **ბრ** - 5,5 %; **ფრ** - 5,5 %; **ფლ** - 5,5 %; **პრ** - 1,8 %; **პვ** - 1,8 %; **პლ** - 1,8 %; **თმ** - 7,4 %; **თრ** - 7,4 %; **დრ** - 7,4 %; **ტრ** - 12,9 %; **თლ** - 3,7 %; **ტნ** - 1,8 %; **ძმ** - 1,8 %; **ძლ** - 3,7 %; **ძრ** - 1,8 %; **ძვ** - 1,8 %; **წმ** - 1,8 %; **წლ** - 3,7 %; **წრ** - 1,8 %; **წნ** - 1,8 %; **წვ** - 1,8 %; **ჯლ** - 1,8 %; **ჯმ** - 1,8 %; **ჯრ** - 1,8 %; **ჯმ** - 5,5 %; **ჯნ** - 3,7 %; **ჯვ** - 1,8 %; **ჯვ** - 1,8 %; **ჩვ** - 1,8 %; **ტრ** (12,9 %).

კომბინაციიდან **I რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი** შეგვხვდა **წლ, ზრ, ზმ, ზლ, ზვ, სმ, სლ, სრ, სვ, შმ, შრ, შლ, შნ, შვ** თანხმოვანთკომპლექსები. **წლ** - 4,3 %; **ზრ** - 13 %; **ზმ** - 8,6 %; **ზლ** - 4,3 %; **ზვ** - 4,3 %; **სმ** - 8,6 %; **სლ** - 8,6 %; **სრ** - 8,6 %; **სვ** - 4,3 %; **შმ** - 8,6 %; **შრ** - 4,3 %; **შლ** - 13 %; **შნ** - 4,3 %; **შვ** - 4,3 %.

კომბინაციიდან **სონორი + II რიგისმიერი ხშული** გვხვდება **მგ; ლგ, ლქ, ლკ; რქ, რგ, რკ; ნგ, ნქ, ნკ** თანხმოვანთკომპლექსები. **მგ** - 2,9 %; **ლგ** - 8,8 %; **ლქ** - 5,8 %; **ლკ** - 5,8 %; **რქ** - 11,7 %; **რგ** - 11,4 %; **რკ** - 2,9 %; **ნგ** - 26,4 %; **ნქ** - 14,7 %; **ნკ** - 8,8 %. აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს **ნგ** (26,4 %) თანხმოვანთკომპლექსი.

კომბინაციიდან **სონორი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი** დადასტურდა **მხ, მყ, მღ; რხ, რყ, რჰ; ლყ; ნყ** თანხმოვანთკომპლექსები. **მხ** - 14,2 %; **მყ** - 7,1 %; **მღ** - 14,2 %; **რხ** - 14,2 %; **რყ** - 14,2 %; **რჰ** - 14,2 %; **ლყ** - 14,2 %; **ნყ** - 7,1 %. აქედან გამომდინარე გარდა **მყ; ლლ** (7,1 %) თანხმოვანთკომპლექსებისა, ყველა კომპლექსი თანაბარი მაჩვენებელით ხასიათდება (14,2 %).

კომბინაციიდან **II რიგისმიერი ხშული + სონორი** გამოვლინდა **გრ, გვ, გნ; ქმ, ქლ, ქნ, ქვ; კმ, კლ, კრ, კვ; ვმ, ვრ, ვნ, ვლ** თანხმოვანთკომპლექსები. **გრ** - 19 %; **გვ** - 4,3 %; **გნ** - 4,3 %; **ქმ** - 14,1 %; **ქნ** - 4,3 %; **ქლ** - 4,3 %; **ქვ** - 4,3 %; **კმ** - 4,3 %; **კლ** - 9,5 %; **კრ** - 4,3 %; **კვ** - 4,3 %;

გმ - 14,1 %; ვრ - 4,3 %; ვნ - 4,3 %; ვლ - 4,3 %. აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს გრ (19 %), ხოლო მისი მომდევნოა ქმ; გმ (14,1 %) თანხმომავანთკომპლექსები.

კომბინაციიდან II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი დადასტურდა ღვ, ღრ, ღმ, ღლ; ხმ, ხლ, ხნ, ხრ, ხვ; ყვ, ყმ, ყრ; ჰრ, ჰმ, ჰლ, ჰნ, ჰვ თანხმომავანთკომპლექსები. ღვ - 4 %; ღრ - 6 %; ღმ - 6%; ღლ - 16 %; ხმ - 8 %; ხლ - 2 %; ხნ - 2 %; ხრ - 2 %; ხვ - 6 %; ყვ - 4%; ყმ - 2 %; ყრ - 14 %; ჰრ - 14 %; ჰმ - 8 %; ჰლ - 4 %; ჰნ - 4 %; ჰვ - 4 %; აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს ღლ (16 %) თანხმომავანთკომპლექსი, ხოლო მისი მომდევნოა ყრ, ჰრ (14%) თანხმომავანთკომპლექსები

კომბინაციიდან სონორი + სონორი გამოვლინდა ღმ, რმ; რრ; მმ; მლ, ნლ, ვლ, ღლ; მრ, ვრ; მნ, ღნ, რნ, ნნ, ნვ, ვნ; რვ, ვვ თანხმომავანთკომპლექსები. ღმ - 6,8 %; რმ - 6,8 %; რრ - 2,4 %; მმ - 9 %; მლ - 4,7 %; ნლ - 2,4 %; ვლ - 6,8 %; ღლ - 13,4 %; მრ - 6,8 %; ვრ - 11,5 %; მნ - 2,4 %; ღნ - 2,4 %; რნ - 2,4 %; ნნ - 2,4 %; ნვ - 2,4 %; ვნ - 2,4 %; რვ - 11,5 %; ვვ - 2,4 %. ამათგან აქტიურობით გამოირჩევა ღლ (13,4 %) გემინირებული თანხმომავანთკომპლექსი, ხოლო მისი მომდევნოა ვრ, რვ (11,5 %) კომპლექსები.

2.4.2.2. თანხმომავანთკომპლექსთა სიხშირე სონორის შემცველ თანხმომავანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით

სონორის შემცველ თანხმომავანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით სონორი + I რიგისმიერი ხშირი მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: მბ - 5,5 %; მვ - 0,6 %; მგ - 1,2 %; ლბ - 4,1 %; ლვ - 0,6 %; ლვ - 0,6 %; რბ - 3,4 %; მთ - 2,7 %; ლტ - 1,2 %; ლთ - 1,2 %; რდ - 3,4 %; რთ - 4,1 %; რტ - 2,7 %; ნდ - 7,6 %; ნთ - 1,2 %; ვთ - 0,6 %; რძ - 0,6 %; ნძ - 1,2 %; ნწ - 0,3 %; მჯ - 0,3 %; რჯ - 3,4 %; რჩ - 1,2 %; ვჯ - 1,2 %; ნჯ - 1,2 %; ნვ - 0,6 %.

სონორის შემცველ თანხმომავანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: მზ - 2,7 %; ნზ - 1,2 %; რზ - 2,7 %; რს - 1,2 %; მშ - 2 %; ნშ - 0,6 %; რშ - 1,2 %; ვშ - 0,6 %.

სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ხშული + სონორი მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: ბლ - 2 %; ბრ - 2 %; ფრ - 2 %; ფლ - 2 %; პრ - 0,6 %; პლ - 0,6 %; პვ - 0,6 %; თმ - 2 %; დრ - 2,7 %; ტრ - 4,8 %; თლ - 1,2 %; ტნ - 0,6 %; ძმ - 0,6 %; ძლ - 1,2 %; ძრ - 0,6 %; ძვ - 1,2 %; წმ - 0,6 %; წლ - 1,2 %; წრ - 0,6 %; წნ - 0,6 %; წვ - 0,6 %; ჯლ - 0,6 %; ჯმ - 0,6 %; ჯრ - 0,6 %; ჯმ - 2 %; ჯნ - 1,2 %; ჯვ - 0,6 %; ჯვ - 0,6 %; ჩვ - 0,3 %.

სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: ფლ - 0,6 %; ზრ - 2 %; ზმ - 2 %; ზლ - 1,2 %; ზვ - 0,6 %; სმ - 1,2 %; სრ - 1,2 %; სლ - 1,2 %; სვ - 0,6 %; შმ - 1,2 %; შრ - 0,6 %; შლ - 2 %; შნ - 0,6 %; შვ - 0,6 %.

სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით სონორი + II რიგისმიერი ხშული მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: მგ - 0,6 %; ლგ - 2 %; ლქ - 1,2 %; ლკ - 1,2 %; რქ - 2,7 %; რგ - 2,7 %; რკ - 0,6 %; ნგ - 6,2 %; ნქ - 3,4 %; ნკ - 2 %.

სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით სონორი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: მხ - 1,2 %; მყ - 0,6 %; მლ - 1,2 %; რხ - 1,2 %; რყ - 1,2 %; რჰ - 1,2 %; ლლ - 0,3 %; ლყ - 0,6 %; ნყ - 0,6 %.

სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით II რიგისმიერი ხშული + სონორი მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: გრ - 2,7 %; გვ - 0,6 %; გნ - 0,6 %; ქმ - 2 %; ქნ - 0,6 %; ქლ - 0,6 %; ქვ - 0,6 %; კმ - 0,6 %; კლ - 1,2 %; კრ - 0,6 %; კვ - 0,6 %; ჳმ - 2 %; ჳრ - 0,6 %; ჳნ - 0,6 %; ვლ - 0,6 %.

სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: ლვ - 1,2 %; ლრ - 2 %; ლმ - 0,6 %; ლლ - 5,5 %; ხმ - 2,7 %; ხნ - 0,6 %; ხრ - 0,6 %; ხლ - 0,6 %; ხვ - 2 %; ყვ - 1,2 %; ყმ - 0,6 %; ყრ - 4,8 %; ჰრ - 4,8 %; ჰმ - 2,7 %; ჰლ - 1,2 %; ჰნ - 1,2 %; ჰვ - 1,2 %.

სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით სონორი + სონორი მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: ლმ - 2 %; რმ - 2 %; რრ - 0,6 %; მმ - 2,7 %; მლ - 1,2 %; ნლ - 0,6 %; ვლ - 4,8 %; ლლ - 4,1 %; მრ - 2 %; ვრ - 3,4 %; მნ - 0,6 %; ლნ - 0,6 %; რნ - 0,6 %; ნნ - 0,6 %; ნვ - 0,6 %; ვნ - 0,6 %; რვ - 3,4 %; ვვ - 0,6 %.

2.4.3. ცალკეულ სონორთა სინტაგმატური მახასიათებლები

2.4.3.1. ვ სონორი

ვ სონორი ერთი მორფემის ფარგლებში არ ჩანს ლაბიალური ჩქამიერ თანხმოვანთა გვერდით.

ფერეიდნულისათვის არაბუნებრივი მიმდევრობა სონორი ვ + ხშული დაფიქსირდა სპარსული ენიდან შემოსულ სიტყვებში, კერძოდ, ჩქამიერ თანხმოვანთა წინა პოზიციაში ვ სონორთან გვხვდება: თ (ნავთი), ჯ (გოჯა, თავჯდომარე);

ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში ერთი მორფემის ფარგლებში ვ სონორი ეთავსება:

I. რიგისმიერ /ბ ძ წ ჯ ჭ ჩ / ხშულებს (მოხაბვა, ძველი, დაბრაწვა, ჯვარი, ჭვავი, ჩვარი);

II რიგისმიერ /გ ქ კ/ ხშულებს (გვარი, ქვიშხედმათი, ნაკვესი); ასევე /ხ/ ნაპრალოვანს (ხვალ, ხვავი).

ნაპრალოვანთა წინა პოზიციაში ვ სონორი არ ვლინდება, ხოლო მათ მომდევნოდ დაჩნდება როგორც I რიგისმიერებთან, ასევე II რიგისმიერებთან, მაგალითად, ზვ: ზვავი, სვ: სვავი, შვ: შვილი, ღვ: ღვინო||ლინო, დაყონაღვა, ყვ: ყველა||ყელი, ყველი||ყელი, ჰვ თანხმოვანთკომპლექსი კი გვხვდება მხოლოდ სპარსულ ნასესხობებში: თაჰველი, აჰვალი, ვინაიდან /ჰ/ მორფემის ფარგლებში ქართულმა ენამ არ იცის (იხ. ზემოთ).

2.4.3.2. მ სონორი

ნაზალური მ სონორი I რიგისმიერი ხშულების წინა პოზიციაში გამოვლინდა ბ ფ დ თ ბგერებთან: ამბავი, ბამბა... ჩუმფარა, ფამფარა... რამდენი... მამამთილი, ზამთარი...

სონორი მ II რიგისმიერი ხშულთაგან დაჩნდება /გ/-ს წინა პოზიციაში (ნამგალი).

I რიგისმიერი ნაპრალოვნების წინა პოზიციაში მ სონორი გვხვდება /ზ შ/-ს მეზობლობაში, მაგალითად, მზ: მზე, სამზადისი... შშ: შიმშილი, შემშა...

II რიგისმიერი ნაპრალოვნებიდან მ სონორი სამივე უკანაენისმიერთან შეგვხვდა, მაგალითად, მხ: ამხანაგი, მხალი... მყ: ამყოლი (მორფ. ზღვარი)... მღ: დამღონებელი (მორფ. ზღვარი)...

I რიგისმიერების მომდევნო პოზიციაში სონორი მ ბაგისმიერების გარდა ყველა ლოკალური რიგის თანხმოვანთან გამოვლინდა; მაგ.: კბილისმიერებიდან /თ/ ხშულთან — თმა, წინანუნისმიერებიდან /ძ/-თან — ძმა და /წ/-თან — წმიდა; უკანანუნისმიერებიდან /ჭ ჳ/ ხშულებთან — მაჯმა (სპ. ჯამი), დაჭმუჭნა, შაჭმა...

II რიგისმიერების მომდევნო პოზიციაში მ რეალიზდება /კ ჳ/ ხშულებთან მეზობლობაში, მაგალითად, კმარა, ვმა, ვმალი, ვმელი...

აღსანიშნავია, რომ მ სონორის შეთავსებადობა წინა და უკანა ნუნისმიერ ხშულებთან დაბალი სიხშირით გამოირჩევა როგორც წინა პოზიციაში, ასევე მის მომდევნოდაც.

I რიგისმიერი ნაპრალოვნების მომდევნო პოზიციაში მ სონორი /ქ/-ს გარდა ყველას ეთავსება და ქმნის თანხმოვანთკომპლექსს, მაგალითად, ზმ: სიზმარი, ჯაზმი; სმ: ყესმათი, რასმი; შმ: დუშმანი, ფაშმოზა...

II რიგისმიერი ნაპრალოვნების მომდევნო პოზიციაში მ სონორი გამოვლინდა სამივე უკანაენისმიერ ნაპრალოვანთან, მაგალითად, ღმ: ღმერთი||მერთი;

ხმ: ხმა, ხმარება; **ყმ:** ყმაწილი||ყუმაწილი, ხოლო **ჰმ** თანხმოვანთკომპლექსი როგორც მოსალოდნელი იყო მხოლოდ სპარსულ სიტყვებში დაჩნდება — ბაჰ-მანი, მაჰმადი, მაჰმანი...

2.4.3.3. ლ სონორი

ლ სონორი I რიგისმიერი ხშულების წინა პოზიციაში ვლინდება, მაგრამ არც თუ ისე ხშირად. ძირითადად ის გვხვდება სპარსულ ნასესხობაში ბაგისმიერ და კბილისმიერ ხშულებთან. **ლბ, ლფ, ლპ** თანხმოვანთკომპლექსებიდან ფიქსირდება **ლბ:** ყოლბაქი, ალბათა... **ლპ:** პილპილი, დალპობა, ხოლო **ლდ, ლთ, ლტ** თანხმოვანთკომპლექსებიდან წარმოდგენილია **ლტ** კულტურა, ოლტაში...

II რიგისმიერი ხშულების წინა პოზიციაში ლ სონორი შედარებით აქტიურია, ის სამივე უკანაენისმიერ ხშულებთან გვხვდება, მაგალითად, **ლგ** კომპლექსი წარმოდგენილია სიტყვებში ახალგაზდა, ქოლგა; **ლქ:** ქილქიტი, ბალქი... **ლკ:** ცალკე, გაცალკეება ზმნის ფორმებში.

I რიგისმიერი ნაპრალოვნების წინა პოზიციაში ლ სონორი არ რეალიზდება, ხოლო II რიგისმიერი ნაპრალოვნებიდან სამივე უკანაენისმიერთან გვხვდება, მაგრამ მხოლოდ სპარსულ სიტყვებში, მაგალითად, **ლდ:** ხალდი||ხალხი; **ლხ:** ავღანთალხობა; **ლყ:** ფარყი, ბარყი...

I რიგისმიერი ხშულების მომდევნოდ ლ სონორი არც თუ ისე აქტიურია. იგი ყველა ლოკალური რიგის ხშულთა მომდევნოდ ფიქსირდება, მაგრამ ძირითადად სპარსულ ნასესხობებში. ეს კომბინაციები იშვიათია, ბაგისმიერებიდან მხოლოდ /ფ/-ს მომდევნოდ დასტურდება, მაგალითად, დიფლომი (სპ. “დიპლომი”), ფლავი... კბილისმიერებიდან /თ/-ს შემდეგ — მათლაბი (სპ. “საკითხი”),

სათლელი... წინანუნისმიერებიდან /წ/-თან — ნაწლვევი, უკანანუნისმიერებიდან /ჯ/-თან — მაჯლესი.

II რიგისმიერი ხშულთაგან ლ სონორი გამოვლინდა /კ/-თან; გვაქვს მეორეული კლ კომპლექსი, რომელიც მიღებულია ხმოვნის რედუქციით: ეკალი > ეკლის, ეკლამხალა.

I. რიგისმიერი ნაპრალოვნების მომდევნოდ ლ სონორი უმეტესად სპარსულ სიტყვებში ვლინდება, მაგალითად, ის დაფიქსირდა /ს/ და /შ/-ს მომდევნოდ: სლ: ასლი, თესლი... შლ: ყიშლადი.

II რიგისმიერი ნაპრალოვნების მომდევნო პოზიციაში ლ სონორი მეტად აქტიურია, ის მხოლოდ /ყ/-სთან არ გვხვდება, მაგალითად, ღლ: შოღლი, ძაღლი... ხლ: ახლუები (მეორეული კომპლექსი); ჰლ როგორც მოსალოდნელი იყო გამოვლინდა სპარსულ ნასესხობაში: ფაჰლავი.

2.4.3.4. რ სონორი

რ სონორი შემდეგ I რიგისმიერ ხშულთა წინა პოზიციაში დაჩნდება: ბაგისმიერ ხშულებიდან ის მხოლოდ /ზ/-ს წინ გვხვდება და საკმაოდ ხშირი რეალიზაციაც გააჩნია — ხორბალი, ერბო, ყურბანი... რ სონორი ყვალაზე აქტიურია კბილისმიერი ხშულების წინ, მაგალითად, რდ: ფარდაგი, ხურდა... რთ: მართალი, ქურთი... რტ: კარტოფილი, სარტყელი... წინანუნისმიერებიდან წარმოდგენილია /ძ/-ს წინ — კერძი, ხოლო უკანანუნისმიერებიდან /ჯ ზ/-თან — ბურჯი, გორჯი... ფარჩა, ფარჩილი...

II რიგისმიერებიდან რ სონორი გამოვლინდა /ქ/-ს წინა პოზიციაში — თურქი, შერქათი...

I რიგისმიერი ნაპრალოვნების წინ **რ** სონორი /ჟ/-ს გარდა ყველა ნაპრალოვანთან დადასტურდა, მაგალითად, **რზ**: ყურზენი, არზი... **რს**: პარსელი, მარსუმი... **რშ**: ხორშიდა, შარშან...

II რიგისმიერი ნაპრალოვნებიდან **რ** სონორი ვლინდება /ყ/-ს წინა პოზიციაში მხოლოდ სპარსულ ნასესხობებში — ფარყი, ბარყი...

I რიგისმიერი ხშულთა მომდევნო პოზიციაში **რ** სონორი აქტიურობით გამოირჩევა ბაგისმიერებთან და კბილისმიერებთან. ის ვლინდება სამივე ბაგისმიერ /ბფბ/ ხშულის მომდევნოდ, მაგალითად, **ბრ**: ბრინჯი; **ფლ**: ფლავი, დიფლომი, **პრ**: პრასა და სამივე კბილისმიერ /დთტ/ ხშულთან: **დრ**: დრო, ჩადრი... **თრ**: მეთრი, თეთრი... **ტრ**: ტრანსპორტი, ტრედი...

რ -სონორი წინანუნისმიერი ხშულების მომდევნოდ გვხვდება /ძ წ/-თან: ძრიელი... წრილი... უნდა აღინიშნოს, რომ ძრ, წრ კომპლექსები აქტიურობით არ გამოირჩევა.

იშვიათია **რ** სონორი უკანანუნისმიერების მომდევნოდ, დასტურდება გაჭრა ზმნის ფორმებში.

I რიგისმიერი ნაპრალოვნების მომდევნო პოზიციაში **რ** სონორი /ჟ/-ს გარდა ყველა ნაპრალოვანთან გამოვლინდა, მაგრამ არა ქართულ სიტყვებში, არამედ სპარსულში; კერძოდ: **ზრ**: ბაზრაქი, მაზრა. ფიქსირებულ სიტყვაში ზროხა **ზრ** მეორეული კომპლექსია (< ძროხა); **სრ**: ხოსროვო, ყასრი... **შრ**: აშრაქი...

II რიგისმიერი ნაპრალოვნების მომდევნოდ **რ** სონორი /ზ/-ს გარდა ყველა ნაპრალოვანთან გვხვდება, მაგრამ უმეტესად ვლინდება სპარსულ სიტყვებში, მაგალითად, **ღრ**: ჩუღრუთი, ნოდრი... **ყრ**: თაყრიბან, ნაყრი, გაყრა... **ჰრ**: ზოჰრა, შაჰრი, თეჰრანი...

2.4.3.5. ნ სონორი

ფერეიდნულ დიალექტში ნაზალური ნ სონორი თანხმოვანთკმპლექსებში იგივე თვისებების მატარებელია როგორც მ სონორი, მაგრამ ერთი განსხვავებით, ბაგისმიერ ხშულთა წინა პოზიციაში ის არ გვხვდება, ხოლო დანარჩენი I რიგისმიერებიდან ის გამოვლინდა შემდეგი ლოკალური რიგის თანხმოვნებთან: კბილისმიერ /დ თ/ ხშულთან; ნდ კომპლექსი წარმოდგენილია სიტყვებში: მინდორი, წინდა... ნთ: ქუნთრუშა, ტინთუკანა; წინანუნისმიერი ხშულებიდან მხოლოდ /d/-თან: ძონძი, ხოლო უკანანუნისმიერებიდან /ჯ ჳ/-თან: ბრინჯი, იონჯა, ხინჯა...

II რიგისმიერი ხშულებიდან სამივე უკანანუნისმიერის წინ დაფიქსირდა; მაგ.: ნგ: სანგარი, რანგი, თანგი... ნქ: ქონქურჩი, ანქით, მანქანა... ნკ: ანკესი, კინკლაობა...

სონორი ნ არც I რიგისმიერი და არც II რიგისმიერი ნაპრალოვნების წინა პოზიციაში არ გამოვლინდა, თუ არ ჩავთვლით ნშ მიმდევრობას ერთადერთ სპარსულ სიტყვაში ინშალა.

ფერეიდნულ დიალექტში აქტიურობით არ გამოირჩევა კომბინაცია ხშული (I რიგისმიერი, II რიგისმიერი) + ნ სონორი. ბაგისმიერის მომდევნოდ შეგვხვდა ერთადერთ სიტყვაში: ბნელი||ბლენი; ასევე თითო შემთხვევა ფიქსირდება კბილისმიერ, წინანუნისმიერ და უკანანუნისმიერ ხშულს + ნ სონორი: პიტნა; წნური; დაჭმუჭნა...

II რიგისმიერი ხშულების მომდევნოდ ნ სონორი ვლინდება მხოლოდ /გ/ და /ვ/ ხშულებთან, ისიც თითო მაგალითში: წიგნი, ვნა.

ნ სონორი არც ერთ I რიგისმიერ ნაპრალოვანთა მომდევნო პოზიციაში არ რეალიზდება, ხოლო II რიგისმიერი ნაპრალოვნებიდან /ნ/ და /წ/-თან არის, მაგალითად, სახნავი, დაწნა...

2.5. ფერეიდნული დიალექტის სონორის შემცველი თანხმოვან-კომპლექსთა შემაჯამებელი სქემები (ერთი მორფემის ფარგლებში)

2.5.1. სონორი + I რიგისმიერი ხშული

I რიგი სონორი	ბ	ფ	პ	ღ	თ	ტ	ძ	ც	წ	ჭ	ჩ	კ
მ	+	+	+	-	+	-	-	-	-	+	-	-
ლ	+	+	+	-	+	+	-	-	-	-	-	-
რ	+	-	-	+	+	+	+	-	-	+	+	-
ნ	+	-	-	+	+	-	+	-	+	+	-	+
ვ	-	-	-	-	+	-	-	-	-	+	-	-

2.5.2. სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

I რიგი სონორი	ფ	ზ	ს	შ	ჰ
მ	-	+	-	-	+
ლ	-	-	-	-	-
რ	-	+	+	-	+
ნ	-	+	-	-	+
ვ	-	-	-	-	+

2.5.3. I რიგისმიერი ხშული + სონორი

სონორი I რიგი	მ	წ	რ	ნ	ვ
ბ	-	+	+	-	-
ფ	-	+	+	-	-
პ	-	+	+	-	+
ღ	-	-	+	-	-
თ	+	+	+	-	-
ტ	-	-	+	+	-
ძ	+	+	+	-	+
ც	-	-	-	-	-
წ	+	+	+	+	+
ჭ	+	+	-	-	+
ჩ	-	-	-	-	+
ჭ	+	-	+	+	+

2.5.4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი

სონორი I რიგი	მ	წ	რ	ნ	ვ
ფ	-	+	-	-	-
ჭ	+	+	+	-	+
ს	+	+	+	-	+
შ	-	-	-	-	-
შ	+	+	+	+	+

2.5.5. სონორი + II რიგისპიერი ხშული

II რიგი სონორი	ბ	ქ	კ	ღ
ბ	+	-	-	-
მ	+	+	+	-
ნ	+	+	+	-
ნ	+	+	+	-
ვ	-	-	-	-

2.5.6. სონორი + II რიგისპიერი ნაპრალოვანი

II რიგი სონორი	მ	ნ	ყ	ჴ
ბ	+	+	+	-
მ	-	+	+	-
ნ	-	+	+	+
ნ	-	-	+	-
ვ	-	-	-	-

2.5.7. II რიგისმეორე სწული + სონორი

სონორი II რიგი	მ	მ	რ	ნ	ვ
ბ	-	-	+	+	+
ქ	+	+	-	+	+
კ	+	+	+	-	+
ვ	+	+	+	+	-

2.5.8. II რიგისმეორე ნაპრალოვანი + სონორი

სონორი II რიგი	მ	მ	რ	ნ	ვ
მ	-	+	+	-	+
ნ	+	+	+	+	+
ც	+	+	+	-	+
ჯ	+	+	+	+	+

2.5.9. ՆՈՒՆԴՈՒՄ + ՆՈՒՆԴՈՒՄ

ՆՈՒՆԴՈՒՄ / ՆՈՒՆԴՈՒՄ	ա	բ	գ	դ	ե
ա	+	+	+	+	-
բ	+	+	-	+	-
գ	+	-	+	+	+
դ	-	+	-	+	+
ե	-	+	+	+	+

თავი III

სამწვერა და ოთხწვერა თანხმოვანთკომპლექსები

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ქართული ენისათვის დამახასიათებელია თანხმოვანთმიმდევრობათა სირთულე და მრავალფეროვნება (ბაბლუანი, 1985; კიზირია, 1980; ქუთელია, 1979, 1985, 1986, 2005; ჯორბენაძე, 1998).

ქართულ ენაში ერთი მორფემის ფარგლებში შესაძლოა ორი, სამი, ოთხი და ხუთი თანხმონის შემცველი მიმდევრობები. ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში კი მაქსიმალური სიგრძის თანხმოვანთკომპლექსი მორფემის ფარგლებში შეიცავს ოთხ წვერს, მაგრამ ეს უკანასკნელიც სიხშირით არ გამოირჩევა. გამოვლენილი სამწვერა თანხმოვანთკომპლექსების უმეტესობას სონორი ბგერები ქმნის, ხოლო არასონორი ბგერების შემცველი მიმდევრობები ძალზედ მცირე რაოდენობით დადასტურდა.

3.1. სამწვერა თანხმოვანთკომპლექსები

3.1.1. ჩქამიერ თანხმოვანთა შემცველი სამწვერა თანხმოვანთკომპლექსები

3.1.1.1. I რიგისმიერი + II რიგისმიერი + I რიგისმიერი

3.1.1.1.1. I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული

შესწავლილ მასალაში კომბინაციიდან I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული ვხვდებით მხოლოდ ტკ თანხმოვანთკომპლექსს, მაგალითად, ტკილი და ტკობა (ტკების, გატკების).

3.1.1.1.2. I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული

მიმდევრობიდან I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული დადასტურდა ერთი შემთხვევა; კერძოდ, მეორეული წყტ კომპლექსი (< წყვეტ): გაწყტომა (გაწყტების); ამ სამწევრა თანხმოვანთ-კომპლექსში პირველი და მეორე წევრი ქმნის ჰარმონიულ კომპლექსს — წყ.

3.1.1.1.3. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული

კომბინაციიდან I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული გამოვლინდა მხოლოდ სხდ თანხმოვანთკომპლექსი: შემოსხდებით, დასხდებით...

3.1.1.1.4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი

კომბინაციიდან I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი შეგვხვდა სწყ თანხმოვანთკომპლექსი, მაგრამ არა ერთი მორფემის ფარგლებში, არამედ მორფემათა ზღვარზე, კერძოდ, ის წარმოდგენილია ზმნაში ამოსწყითეო, სადაც სწყ კომპლექსის პირველი კომპონენტი ს/ არის მეორე სუბიექტური პირის ნიშანი, ხოლო მეორე და მესამე კომპონენტი — ჰარმონიული კომპლექსი წყ.

3.1.1.2. I რიგისმიერი + I რიგისმიერი + II რიგისმიერი

I რიგისმიერი + I რიგისმიერი + II რიგისმიერი კომბინაციით მიღებული სამწვევრა თანხმოვანთკომპლექსებიდან შესწავლილ მასალაში გამოვლინდა მიმდევრობა I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული; კერძოდ, პტკ და პწკ სამწვევრა თანხმოვანთკომპლექსები:

პტკ: ნაპტკენი, საპტკაპაევი;

პწკ: მიწკაპწკაპება ზმნის ფორმებში (მიაწკაპწკაპებს)...

3.1.2. სონორის შემცველი სამწვევრა თანხმოვანთკომპლექსი

განალიზებულ ფერეიდნულ ტექსტებში სონორის შემცველი სამწვევრა თანხმოვანთკომპლექსები არაერთგვაროვანია; ამ რიგის თანხმოვანთკომპლექსები პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

- ა) ერთი სონორის შემცველი სამწვევრა თანხმოვანთკომპლექსები;
- ბ) ორი სონორის შემცველი სამწვევრა თანხმოვანთკომპლექსები;
- გ) სამი სონორის შემცველი სამწვევრა თანხმოვანთკომპლექსები.

3.1.2.1. ერთი სონორის შემცველი სამწვევრა თანხმოვანთკომპლექსები

3.1.2.1.1. სონორი + I რიგისმიერი + I რიგისმიერი:

მიმდევრობიდან სონორი + I რიგისმიერი + I რიგისმიერი ფერეიდნულ დიალექტში დადასტურდა კომბინაცია სონორი + I რიგისმიერი ნაპრალღვანი + I რიგისმიერი ხშული, მაგრამ არა ერთი მორფემის ფარგლებში, არამედ მორფემათა ზღვარზე; კერძოდ, ნზდ სამწვევრა თანხმოვანთკომპლექსი წარმოდგენილია სპარსულიდან ნასესხებ სიტყვებში: ფუნზდა, სინზდა

(< ფუნზდაჰ, სინზდაჰ); აგრეთვე, მორფემათა ზღვარზე შეგვხვდა მიმდევრობა სონორი + I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული; კერძოდ, ვჰდ კომპლექსი სიტყვაში თავჯდომარე.

3.1.2.1.2. სონორი + I რიგისმიერი + II რიგისმიერი.

კომბინაციიდან სონორი + I რიგისმიერი + II რიგისმიერი განხილულ მასალაში ვხვდებით მიმდევრობას სონორი + I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული (მორფემათა ზღვარზე); კერძოდ, რდგ მეორეული თანხ-მოვანთკომპლექსს სიტყვაში ერდგან; აქ მეორე კომპონენტი /დ/ მიღებულია /თ/-ს გამჟღერებით (გ ბგერის გავლენით).

ფერეიდნულ დიალექტში აქტიურია კომბინაცია სონორი + I რიგის-მიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი; მაგ.: ერთი მორფემის ფარ-გლებში წარმოდგენილია შემდეგი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები:

ნჩხ: კონჩხელა, მოკუნჩხული;

რწყ: სარწყავი;

რცხ: სავარცხელი;

რტყ: მარტყოფი, სარტყელი...

ასევე მორფემათა ზღვარზე შეგვხვდა მცხ კომპლექსი: დამცხის...

ამ მოდელის განხილვისას უნდა აღინიშნოს: ვერ დავადასტურეთ /ლ/ და /ვ/ სონორთა შემცველი თანხმოვანთკომპლექსები; მეორე და მესამე წევრები ქმნიან დეცესიურ ჰარმონილ კომპლექსებს ჩხ წყ ცხ ტყ.

განხილულ მასალაში ერთადერთი მაგალითი დადასტურდა მიმდევრობიდან სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული, მაგალითად, ეს არის კომპლექსი მზგ, რომელიც ვლინდება ზმნის ფორმაში

ამზავსოს. ასიმილაციის საფუძველზე /გ/ მჟღერის გავლენით მოხდა /ს/-ს გამ-
ჟღერება.

კომბინაცია სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი
ნაპრალოვანი ერთი მორფემის ფარგლებში არ გამოვლინდა, შეგვხვდა მხოლოდ
მორფემათა ზღვარზე; მაგ.:

მსხ: ამსხო, ამსხოვან...

3.1.2.1.3 I რიგისმიერი + I რიგისმიერი + სონორი

I რიგისმიერი + I რიგისმიერი + სონორი მოდელი გამოვლინდა
მხოლოდ I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული + სონორი
(შპრ) სამწევრა თანხმოვანთკომპლექსის სახით:

3.1.2.1.4. I რიგისმიერი + II რიგისმიერი + სონორი

მიმდევრობიდან I რიგისმიერი + II რიგისმიერი + სონორი ფერეიდ-
ნულ დიალექტში შედარებით ხშირია კომბინაცია I რიგისმიერი ხშული + II
რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი; განხილულ მასალაში გამოვლინდა
შემდეგი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები:

თხმ: ოთხმოცი;

თხრ: მითხრეს, გამოთხრილი;

თხვ: კითხვა;

ტყვ: შაიტყვისყე;

წყვ: დაიწყვეს;

ცხლ: ცეცხლი, ფიცხლავ...

კომბინაციაში I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი ოთხი სახის სონორი ბგერა წარმოდგება, ხოლო მიმდევრობა I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი ქმნის დეცესიურ ჰარმონიულ კომპლექსებს; კერძოდ, თხ ტყ წყ ცხ.

განხილულ ტექსტებში ასევე გამოვლინდა კომბინაცია I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული + სონორი; მასალაში დადასტურდა ორი შემთხვევა, სადაც ჩანს მხოლოდ /ნ/ და /რ/ ბგერები; დანარჩენი სონორები ამ მოდელში არ შეგვხვდა; მაგ.:

სპნ: ისპნელი;

სკრ: იკრუსკრუსებს...

მიმდევრობიდან I რიგისმიერი + II რიგისმიერი + სონორი გვხვდება კომბინაცია I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი, რომელიც დადასტურდა შემდეგი თანხმომავანტკომპლექსების სახით:

სხლ: სისხლი;

სხნ: დესხნების, გასხნა, გასხნან, დნსხნენ... მოცემულ სიტყვებში ეს კომპლექსი მეორეულია, ვინაიდან ამოსავალია ხსნ ფორმა, მეტათეზისის შედეგად კომპლექსში პირველი და მეორე კომპონენტი წარმოდგენილია არა როგორც ხს, არამედ სხ.

3.1.2.1.5. სონორი + II რიგისმიერი + I რიგისმიერი

კომბინაციიდან სონორი + II რიგისმიერი + I რიგისმიერი მასალაში გამოვლინდა მიმდევრობა სონორი + II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული: მკდ: მკდარი, მამკდარა, სადაც მკდ მეორეული კომპლექსია, ვინაიდან მიღებულია ოთხწევრა თანხმომავანტკომპლექსიდან /ვ/ სონორი ბგერის ამოვარდნით (მკვდ > მკდ).

3.1.2.1.6. II რიგისმიერი + სონორი + I რიგისმიერი

მიმდევრობიდან II რიგისმიერი + სონორი + I რიგისმიერი მასალაში გამოვლინდა მხოლოდ II რიგისმიერი ხშული + სონორი + I რიგისმიერი ხშული: კრძ: დაკრძალვა (დაკრძალეს, დადკრძალა); გვხვდება პარალელური ფორმებიც: დაკრძალვა||დაკძალვა, დაკრძალეს||დაკძალეს, დადკრძალა||დადკძალა. /რ/ სონორის ამოვარდნით ხდება კრძ სამწევრა თანხმოვანთკომპლექსის გამართივება (კრძ||კძ).

3.1.2.2. ორი სონორის შემცველი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები

ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებს შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან სონორთა შემცველი ბგერათმიმდევრობანი.

ჩვენ მიერ განხილულ მასალაში გამოვლინდა შემდეგი სამწევრა მოდელები: C S S; C₀ S S; S C S; S C₀ S; S S C; არ დადასტურდა მიმდევრობა S S C₀.

3.1.2.2.1. I რიგისმიერი + სონორი + სონორი

შესწავლილ ფერეიდნულ ტექსტებში მოდელი I რიგისმიერი + სონორი + სონორი წარმოდგენილია სვლ და შნვ კომპლექსებით. სვლ გვაქვს შასვლა (<შესვლა) ზმნის ფორმებში. შნვ თანხმოვანთკომპლექსია დანიშვნა ზმნის ფორმებში (დადნიშნვენ, ინიშვნის), სადაც ხდება ვ და ნ სონორი ბგერების მეტათეზისი.

3.1.2.2.2. II რიგისმიერი + სონორი + სონორი

კომბინაციიდან II რიგისმიერი + სონორი + სონორი გვხვდება მიმდევრობა II რიგისმიერი ხშული + სონორი + სონორი, კერძოდ, გამოვლინდა კრვ თანხმოვანთკომპლექსი დაკრვა ზმნის ფორმებში (უკრვენ), სადაც კრვ კომპლექსი ასახავს არქაულ ვითარებას; შდრ.: უკრავს > დაკრვა > დაკვრა...

ფერეიდნულ ტექსტებში ასევე გამოვლინდა მიმდევრობა II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი + სონორი, კერძოდ, ყვნ და ღრმ სამწევრა კომპლექსები. ყვნ წარმოდგენილია ზმნის ფორმაში იყვნის; ღრმ კი სიტყვაში ღრმა.

3.1.2.2.3. სონორი + I რიგისმიერი + სონორი

ფერეიდნულ ტექსტებში კომბინაციიდან სონორი + I რიგისმიერი + სონორი აქტიურად ვლინდება მიმდევრობა სონორი + I რიგისმიერი ხშული + სონორი. გვაქვს შემდეგი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები:

მძლ: დამძლივეს;

მთრ: ზამთრეული;

მტრ: მომტრეული, დამტრეული...

მჭრ სამწევრა თანხმოვანთკომპლექსი დადასტურდა მორფემათა ზღვარზე, კერძოდ, ზმნის ფორმაში მამჭრას. ერთი მორფემის ფარგლებში ეს კომპლექსი არ გვხვდება.

ნდლ: სანდლები;

ნდრ წარმოდგენილია მორფემათა ზღვარზე სპარსული სიტყვის კომპოზიტიში: აზმანდრობა;

ნთრ: ქუნთრუშა;

ნწვ: დაკენწვა;

რთხ: ერთნაირი;

რთლ: მართლა, სამართლის (სამართალი);

რთმ: ერთმანერთი, თერთმეტი;

რთვ: ქართველი, საქართველო;

რდნ: დავარდნილი;

რდლ: ჩირდლოს;

რდმ: გარდმაყრის (ამ ფორმაში სონორი /რ/ არის განვითარებული);

რდვ: გარდვინა (სპ. „ირგვლივ“);

რფლ: ფირფლი (< ფერფლი);

რჭმ: დარჭმული (ამ ფორმაშიც სონორი /რ/ არის განვითარებული)...

გაანალიზებულ ტექსტებში შეგვხვდა აგრეთვე მიმდევრობა **სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი**, კერძოდ, **ვშვ** კომპლექსი სიტყვაში **ბავშვობა**.

განხილულ ტექსტებში **S C S** მოდელის განსხვავებული მიმდევრობები დადასტურდა. განსხვავებას სონორები ქმნიან. სამწვერა თანხმოვანთკომპლექსის შექმნაში არ მონაწილეობს პირველ კომპონენტად /ლ/ სონორი, ხოლო განსაკუთრებული აქტიურობით ხასიათდება /რ/ სონორი.

3.1.2.2.4. სონორი + II რიგისმიერი + სონორი

კომბინაციიდან **სონორი + II რიგისმიერი + სონორი** მასალაში გამოვლინდა მიმდევრობა **სონორი + II რიგისმიერი ხშული + სონორი**. ამ რიგის სამწვერა თანხმოვანთკომპლექსებიდან შეგვხვდა:

მვმ: გამვმარა;

მვრ: სამვრეთი;

მკლ: მამკლან (მორფემათა ზღვარი);

ნკლ: იკანკლიან (< იკლაკნიან);

რქმ გვაქვს არქმევს ზმნის ფორმებში, მაგალითად, დეერქმის.

მასალაში დაგვიდასტურდა მიმდევრობა **სონორი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი**, მაგრამ არა ერთი მორფემის ფარგლებში, არამედ მორფემათა ზღვარზე; მაგ.: **ლღნ||ლხნ** პარალელური ფორმებია სიტყვაში **ხაღ-ღნ||ხაღხნი**.

3.1.2.2.5. სონორი + სონორი + I რიგისმიერი

მოდელში **სონორი + სონორი + I რიგისმიერი** კომპონენტები შემდეგნაირადაა განაწილებული: **სონორი + სონორი + I რიგისმიერი ხშული**. ამ რიგის სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებიდან გამოვლინდა **მრდ** და **ვრდ** მიმდევრობები: **გაჰამრდების** (შდრ: სპ. ჰარამ “აღკვეთილი“), **გაჯავრდების**.

3.1.2.3. სამი სონორის შემცველი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსი

განხილულ მასალაში მოდელი **S S S** პირველადი თანხმოვანთკომპლექსის სახით არ გვხვდება; გამოვლენილ **ვლვ** მიმდევრობაში **/ვ/** ბგერა განვითარებულია: **დასწავლვა < დასწავლა**.

3.2. ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები

სხვა ქართული კილოებისაგან განსხვავებით ფერეიდნულ დიალექტში ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსების გაცილებით მცირე რაოდენობა დასტურდება. ეს აიხსნება იმით, რომ სპარსული ენისათვის დამახასიათებელი არ არის მრავალწევრიანი კომპლექსები, ამიტომ, შესაბამისად, ფერეიდნულშიც ნაკლებად ჩანს

ისინი. განხილულ მასალაში გამოვლენილი თანხმოვანთკომპლექსთა ნიმუში ან მეორეულია, ან მორფემათა ზღვარზე დასტურდება; კერძოდ:

1. სონორი + I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი:

რწყვ: მორწყვა (< მორწყავს);

რტყმ: დარტყმა (< არტყამს);

2. სონორი + I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული + სონორი:

მთქმ: მთქმელი || თქმელი

3. სონორი + I რიგისმიერი ხშული + სონორი + სონორი:

რცვლ: დამარცვლა (< მარცვალი);

მკვლ: მამკვლელი, დამკვლი (< კლავს);

4. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული + სონორი + სონორი:

ჭკვლ: დაჭკვლენ;

ჭკვრ: დაჭკვრენ;

5. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი + II რიგისმიერი ხშული + სონორი:

ჭრქმ: ჭრქმევია;

6. სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი:

ვსხრ: დავსხრიპით (< დასხებვა);

7. სონორი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი:

ვჭყვ: ვჭყვანდე;

8. სონორი + I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი
+ II რიგისმიერი ნაპრალოვანი:

რთხს: ერთხსო;

9. სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი
ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული:

ვსხდ: დავსხდით;

10. სონორი + I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი
+ I რიგისმიერი ხშული:

ვწყდ: დავწყდით;

11. სონორი + I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი
+ სონორი:

ვჭყლ: დავჭყლიტავთ;

12. სონორი + სონორი + I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი
ნაპრალოვანი:

ვრწყ: მოვრწყით;

3.3. III თავში წარმოდგენილი მასალის ანალიზი

ფერეიდნულ დიალექტში გამოვლენილ სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებში ძირითადად ისეთი მიმდევრობებია, სადაც ორი კომპონენტი ქმნის ჰარმონიულ დეცესიურ კომპლექსს; მაგ.:

- ჰარმონიული კომპლექსი + ხშული (I რიგისმიერი): ტკბ (ტკბილი, დატკბობა);
- ჰარმონიული კომპლექსი + ხშული (I რიგისმიერი): წყტ (გაწყტომა);
- ხშული (I რიგისმიერი) + ჰარმონიული კომპლექსი: პტკ (ნაპტკენი, საპტკენი), პწყ (მიწყაპწყაბება);

- ნაპრალოვანი (I რიგისმიერი) + ჰარმონიული კომპლექსი: გამოვლინდა მორფემათა ზღვარზე: **სწყ** (ამოსწყითეო);
- სონორი + ჰარმონიული კომპლექსი: **რღვ** (ერღვან);
- სონორი + ჰარმონიული კომპლექსი **რწყ** (სარწყავი), **რცხ** (სავარცხელი); **რტყ** (მარტყოფი, სარტყელი), **ნჩხ** (კონჩხელა, მოკუნჩხული);
- ჰარმონიული კომპლექსი + სონორი: **თხვ** (კითხვა), **თხმ** (ოთხმოცი), **თხრ** (მითხრეს, უთხრეს), **ტყვ** (შაიტყვისყე), **წყვ** (დაიწყვეს), **ცხლ** (ცეცხლი, ფიცხლავ):

დანარჩენი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც დადასტურდა განხილულ მასალაში შედგება მხოლოდ სონორი ბგერებისაგან. გამოვლინდა როგორც პირველადი, ასევე მეორეული თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც მიღებულია გარკვეული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად:

ზოგ სამწევრიან თანხმოვანთკომპლექსში დაცულია (ჩქამიერი + ვ + სონორი) არქაული ვითარება: დაკრვა, დანიშნვა, შესლვა....

ბმოვნის რედუქციით: **ნდლ** სანდალი > სანდლები; **რთლ** სამართალი > სამართლის.

თანხმოვნის დაკარგვით: **მკვლ** > **მკლ** მკვდარი > **მკლარი**; **ბრტყ** > **ბტყ**||**ტყ**. **ბრტყელი** > **ბტყელი**||**ტყელი**; **მთქმ** > **თქმ** მთქმელი > **თქმელი**; **მტვრ** > **მტრ** მომტვრეული > **მომტრეული**.

ბგერის განვითარებით: (ძირითადად ვითარდება სონორი): **რღმ**: გაღმააყრის > **დარღმააყრის**; **რჭმ**: დაჭმული > **დარჭმული**; **ნგრ**: აგრე > **ანგრე**; **ვლვ**: დასწავლა > **დასწავლვა**; **შჭმ**: შაჭმა > **შაშჭმა** (პირის ნიშანი შერჩა საწყისს).

მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში მაქსიმალური სიგრძის კონსონანტური ჯგუფი შეიცავს ოთხ ელემენტს, მაგრამ არა ერთი მორფემის ფარგლებში, არამედ მორფემათა ზღვარზე.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დასკვნები

I.

ს. ბუნებრივი, დასაშვები და არაბუნებრივი თანხმომავანთომპლექსები (ჩქამიერთა კომბინაციები). ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში დადასტურებულ სიტყვებში (როგორც საკუთრივ ქართულ, ასევე სპარსულიდან ნასესხებ ფორმებში) გვაქვს ორ- და სამშემადგენლიანი თანხმომავანთომპლექსები; ოთხთანხმონიანი კომპლექსი გვაქვს მხოლოდ ქართული წარმომავლობის ფუძეებში. ყველაზე ხშირია ორშემადგენლიანი კომპლექსები, შედარებით ნაკლებია სამშემადგენლიანი, ოთხშემადგენლიანი კომპლექსები კი ფრიად მცირე რაოდენობით ვლინდება.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული მასალის მიხედვით გამოვლინდა ორ-წევრა ჩქამიერ თანხმომავანთომპლექსთა თერთმეტი სახის მიმდევრობა; სულ 73 კომპლექსი (მოგვყავს ხოლოდ ერთი მორფემის ფარგლებში არსებული მიმდევრობანი); მათი პროცენტული მაჩვენებელი ასეთია:

1. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული — 20,5 %;
2. I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული — 16,4 %;
3. I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი — 15,6 %;
4. I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული — 10,9 %;
5. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული — 8,2 %;
6. II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული — 8,2 %;
7. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული — 5,4 %;
8. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი — 5,4 %;
9. II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 4,1 %;
10. I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 2,7 %;

11. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 2,7 %.

პირველი მოდელი ძირითადად აქტიურია სპარსულიდან ნასესხებ სიტყვებში (სტუმარი, დასტანი, ბოსტანი... შდრ.: მესტირე, დღესასწაული); მეორე მოდელის მაღალი სიხშირე გამოწვეულია სპარსული ენის გავლენით გემინირებული თანხმოვანთკომპლექსების არსებობით.

რამდენადაც მაღალი პროცენტით დასტურდება კომბინაციები: I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი სშული (20,5 %), I რიგისმიერი სშული + I რიგისმიერი სშული (16,4 %), I რიგისმიერი სშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი (15,6 %); ამდენად, მათ მივიჩნევთ ფერეიდნული დიალექტისათვის უფრო ბუნებრივ კომპლექსებად; შდრ.: თ. უთურგაიძის აზრით ს + ჩქამიერი სშულის ნებისმიერი კომბინაცია ქართულისათვის არაკანონიურია (თ. უთურგაიძე, 1976, გვ.95).

შესწავლილი მასალის მიხედვით დასაშვებ ორწევრა ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსებად შეიძლება მივიჩნიოთ ის კომპლექსები, რომელთა პროცენტული მაჩვენებელი არ თუ ისე დაბალია; კერძოდ:

1. I რიგისმიერი სშული + II რიგისმიერი სშული — 10,9 %;
2. II რიგისმიერი სშული + I რიგისმიერი სშული — 8,2 %;
3. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი სშული — 8,2 %;
4. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი სშული — 5,4 %;
5. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი — 5,4 %;
6. II რიგისმიერი სშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 4,1 %;
7. I რიგისმიერი სშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 2,7 %;
8. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 2,7 %.

ქართული ენის ფერეიდნული კილოსთვის არაბუნებრივ კომპლექსებად უნდა მივიჩნიოთ ის თანხმოვანთმიმდევრობები, რომლებიც გაანალიზებულ მასალაში საერთოდ არ გამოვლინდა; კერძოდ:

1. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი;
2. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი;
3. II რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული;
4. II რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი;
5. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული.

9. თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე თითოეული მოდელის ფარგლებში. ცალკეულ მოდელთა მიხედვით თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე პროცენტულად ასე გამოიყურება:

კომბინაციიდან I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული დადასტურდა ბგ, ფქ, პკ; დგ, თქ, ტკ; წკ, ჭკ თანხმოვანთკომპლექსები. ბგ - 6,6 %; ფქ - 13,3 %; პკ - 6,6 %; დგ - 13,3 %; თქ - 6,6 %; ტკ - 26,6 %; წკ - 13,3 %; ჭკ - 13,3 %.

ამ რიგში ყველაზე აქტიური ჩანს ტკ კომპლექსი.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი გამოვლინდა ბღ, ფხ; დღ, თხ, ტყ; ძღ, ცხ, წყ; ჯღ, ჩხ, ჭყ ჰარმონიული კომპლექსები. ბღ - 4,5 %; ფხ - 6,8 %; დღ - 9 %; თხ - 18 %; ტყ - 15,9 %; ძღ - 2,2 %; ცხ - 18 %; წყ - 11,3 %; ჯღ - 2,2 %; ჩხ - 9 %; ჭყ - 2,2 %.

აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს თხ და ცხ ჰარმონიული კომპლექსები.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშული გამოვლინდა სქ, სკ; შქ, შკ თანხმოვანთკომპლექსები. სქ - 25 %; სკ - 37,5 %; შქ - 12,5 %; შკ - 25 %. ამ რიგში ყველაზე აქტიურია სკ კომპლექსი.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი გვაქვს ძყ, ზღ, სხ, უხ თანხმოვანთკომპლექსები. ძყ - 12,5 %; ზღ - 25 %; სხ - 50 %; უხ - 12,5 %. აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური აღმოჩნდა სხ კომპლექსი.

კომბინაციიდან II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული გამოვლინდა კბ, ქფ, ვბ, კდ, ქთ, ქტ თანხმოვანთკომპლექსები. კბ - 10 %; ქფ - 20 %; ვბ - 10 %; კდ - 10 %; ქთ - 40 %; ქტ - 10 %. აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს ქთ თანხმოვანთკომპლექსი.

კომბინაციიდან II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი შეგვხვდა მხოლოდ გზ; ქს; ქშ თანხმოვანთკომპლექსები. გზ - 25 %; ქს - 50 %; ქშ - 25 %.

კომბინაციიდან II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული გამოვლინდა ხბ, ხფ, ხდ, ხთ, ხტ, ღდ; ხჩ თანხმოვანთკომპლექსები. ხბ - 6,6 %; ხფ - 13,3 %; ხდ - 6,6 %; ხთ - 13,3 %; ხტ - 33,3 %; ღდ - 6,6 %; ხჩ - 20 %. აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს ხტ თანხმოვანთკომპლექსი.

კომბინაციიდან II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი დადასტურდა მხოლოდ ხს, ხშ თანხმოვანთკომპლექსები. ხს - 50 %; ხშ - 50 %.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული გამოვლინდა ბძ, ფთ, ფფ, პტ, ღდ, თბ, თთ, ტბ, ტტ, ცდ, წდ თანხმოვანთკომპლექსები. ბძ - 5,8 %; ფთ - 11,7 %; ფფ - 25 %; პტ - 11,7 %; ღდ - 5,8 %; თბ - 17,6 %; თთ - 5,8 %; ტბ - 5,8 %; ტტ - 5,8 %; ცდ - 5,8 %; წდ - 11,7 %; ამ რიგში ყველაზე აქტიური ჩანს თბ მიმდევრობა.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი შეგვხვდა ბზ და ფშ თანხმოვანთკომპლექსები. ბზ - 75 %; ფშ - 25 %. აქედან გამომდინარე აქტიური ჩანს ბზ.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული გამოვლინდა სბ, შბ, სტ, სთ, ზდ, ფთ, ფტ, ფდ, შტ, შთ, შდ სწ, შჩ, შჭ თანხმოვანთკომპლექსები. სბ - 5,8 %; შბ - 1,9 %; სტ - 21,5 %; სთ - 13,7 %; ზდ - 3,9 %; ფთ - 9,8 %; ფტ - 7,8 %; ფდ - 1,9 %; შტ - 11,7 %; შთ - 11,7 %; შდ - 1,9 %; სწ - 3,9 %; შჩ - 1,9 %; შჭ - 3,9 %. ამ რიგში ყველაზე აქტიურია სტ კომპლექსი, ასევე სთ-ც.

ღ. თანხმოვანთკომპლექსთა სიხშირე ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული მიმდევრობის პროცენტული

მაჩვენებელი: ბგ - 1,3 %; ფქ - 2,6 %; პკ - 1,3 %; ღგ - 2,6 %; თქ - 1,3 %; ტკ - 5,4 %; წკ - 2,6 %; ჰკ - 2,6 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანის პროცენტული მაჩვენებელი: ბღ - 2,7%; ფხ - 4,1 %; დღ - 5,4 %; თხ - 10,8 %; ტყ - 9,5 %; ძღ - 1,3 %; ცხ - 10,8 %; წყ - 6,8 %; ჯღ - 1,3 %; ჩხ - 5,4 %; ჰყ - 1,3 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ხშულის პროცენტული მაჩვენებელი: სქ - 2,7 %; სკ - 4,1 %; შკ - 2,7 %; შქ - 1,3 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ნაპრალოვანი + II რიგისმიერი ნაპრალოვანის პროცენტული მაჩვენებელი: ტყ - 1,3 %; ზღ - 2,7 %; სხ - 5,4 %; უხ - 1,3 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით II რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული პროცენტული მაჩვენებელი: კბ - 1,3 %; ქფ - 2,7 %; ვბ - 1,3 %; კღ - 1,3 %; ქთ - 5,4 %; ქტ - 1,3 %;

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით II რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანის პროცენტული მაჩვენებელი: გზ - 1,3 %; ქს - 2,7 %; ქშ - 1,3 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშული პროცენტული მაჩვენებელი: სბ - 1,3 %; ხვ - 2,7 %; ხღ - 1,3 %; ხთ - 2,7 %; ხტ - 6,8 %; ღღ - 2,7 %; ჩჩ - 4,1 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით II რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ნაპრალოვანის პროცენტული მაჩვენებელი: სს - 1,3 %; სშ - 1,3 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშულის პროცენტული მაჩვენებელი: ბძ - 1,3 %; ფთ - 2,7 %; ფფ - 2,7 %; პტ - 2,7 %; ღღ - 1,3 %; თბ - 4,1 %; თთ - 1,3 %; ტბ - 1,3 %; ტტ - 1,3 %; ცღ - 1,3 %; წღ - 2,7 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანის პროცენტული მაჩვენებელი: ბზ - 4,1 %; ფშ - 1,3 %.

ჩქამიერ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით I რიგისმიერი ნაპრალოვანი + I რიგისმიერი ხშულის პროცენტული მაჩვენებელი: სპ - 4,1 %; შპ - 1,3 %; სტ - 15 %; სთ - 9,5 %; ზღ - 2,7 %; ქთ - 6,8 %; ქტ - 5,4 %; ქღ - 1,3 %; შტ - 8,2 %; შთ - 8,2 %; შღ - 1,3 %; სწ - 2,7 %; შჩ - 1,3 %; შქ - 2,7 %.

ბ. ნაშრომში გაანალიზებული მასალის მიხედვით თ. უთურგაიძის მიერ ქართული ენისათვის ბუნებრივად მიიჩნეული **მზარდი ნაპრალოვნობის** ანუ ძირითადი მოდელის კომპლექსები მაღალი პროცენტული მაჩვენებლით ვლინდება მხოლოდ ინტერვოკალურ პოზიციაში. მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსთაგან სიტყვის თავკიდურად მცირე რაოდენობით დაგვიდასტურდა ჰარმონიული კომპლექსები (შდრ.: თ. უთურგაიძის დასკვნით, ამგვარი თანხმოვანთკომპლექსი ქართულში აქტიურია სიტყვის თავშიც; თ. უთურგაიძე, 1979, გვ 110). ფერეიდნულ დიალექტში სიტყვის თავკიდურ პოზიციაში კომპლექსის მოშლა ხდება სხვადასხვა გზით, რაც გამოწვეული ჩანს სპარსული ენის გავლენითაც. ჩვენი მასალის მიხედვით ფერეიდნულ დიალექტში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აქვს დამავალი ნაპრალოვნობის იმ კომპლექსებს რომელთა მიმდევრობაცაა **I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპრალოვანი** (20,3 %) და უმეტესად ეს მიმდევრობა ვლინდება ნასესხებ ლექსიკაში; სპარსული ენის გავლენით ასევე აქტიურია მიმდევრობა **I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ხშული**. (16,4%). ხშირია სონორის შემცველი ორწევრა თანხმოვანთკომპლექსებიც; შდრ., თ. უთურგაიძე, 1979, გვ. 112: “დამავალი ნაპრალოვნობის მოდელიდან შედარებით სრული რეალიზაცია აქვთ იმ კომპლექსებს, რომელთაც სონორი ურევიათ; ამგვარი თანხმოვანთკომპლექსები ძირითადად წარმოდგენილია ნასესხებ სიტყვებში“.

სხვა ქართული კილოებისაგან განსხვავებით, ჩვენს ხელთ არსებულ ფერეიდნულ მასალაში **უ** ნაპრალოვანი ვერ ქმნის თანხმოვანთკომპლექსს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ბგერა დამახასიათებელია სპარსული ენისათვისაც და ყოველთვის ვხვდებით ხმოვნებთან მეზობლობაში (ფერეიდნული ტექსტების უფრო სრულ კორპუსში ამგვარი მასალა შეიძლება გამოვლინდეს).

II.

სონორის შემცველი ბუნებრივი, დასაშვები და არაბუნებრივი ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები. სხვა ქართველურ ენობრივ ქვესისტემებთან მსგავსად, ფერეიდნულ მასალაშიც განსაკუთრებით აქტიურია ისეთი ორწევრა თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი სონორია; მეორე კომპონენტად დადასტურდა ყველა ჩქამიერი. სონორი + სონორი მიმდევრობიდან არ გამოვლინდა: **მვ, ლრ, ლვ, რლ, ნრ.** ქართული ენის სხვა ქვესისტემებისაგან განსხვავებით სონანტები გვხვდება /წ/ ნაპრალოვანის მეზობლობაშიც ერთი მორფემის ფარგლებში (სპარსულიდან ნასესხებ სიტყვებში). გაანალიზებულ ფერეიდნული ტექსტებში სონორის შემცველი ორწევრა თანხმოვანთკომპლექსთა ცხრა სახის მოდელი გამოვლინდა: სულ 146 კომპლექსი (მხოლოდ ერთი მორფემის ფარგლებში არსებული მიმდევრობანი); მათი პროცენტული მაჩვენებელი ასეთია:

1. I რიგისმიერი ხშული + სონორი — 20,2 %;
2. სონორი + I რიგისმიერი ხშული — 18,8 %;
3. II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი — 12,5 %;
4. სონორი + სონორი — 11,1 %;
5. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი — 9,7 %;
6. II რიგისმიერი ხშული + სონორი — 9 %;
7. სონორი + II რიგისმიერი ხშული — 6,9 %;
8. სონორი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი — 6,2 %.
9. სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 5,5 %.

ყველაზე უფრო ბუნებრივი ჩანს I რიგისმიერი ხშული + სონორი (20,2 %); ასევე აქტიურია სონორი + I რიგისმიერი ხშული (18,8 %), II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი (12,5 %) და სონორი + სონორი (11,1 %).

შესწავლილი მასალის მიხედვით სონორის შემცველ დასაშვებ თანხმოვანთ-კომპლექსად შეიძლება მივიჩნიოთ ის კომპლექსები, რომელთა პროცენტული მაჩვენებელი შედარებით დაბალია; კერძოდ:

1. I რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი — 9,7 %;
2. II რიგისმიერი ხშული + სონორი — 9 %;
3. სონორი + II რიგისმიერი ხშული — 6,9 %;
4. სონორი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი — 6,2 %.
5. სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი — 5,5 %.

ფერეიდნულ დიალექტში არ იკრძალება სონორის შემცველი თანხმოვანთ-კომპლექსები.

9. თანხმოვანთკომპლექსთა სიხშირე თითოეული მიმდევრობის შიგ-ნით. თითოეული სონორის შემცველი თანხმოვანთკომპლექსთა გამოვლენის სიხშირე პროცენტულად ასე გამოიყურება:

კომბინაციიდან სონორი + I რიგისმიერი ხშული დადასტურდა მბ, მპ, მფ; ლბ, ლფ, ლპ; რბ; მთ, ლტ, ლთ; რდ, რთ, რტ; ნდ, ნთ; ვთ; რძ; ნძ, ნწ; მჯ, რჯ, რჩ, ვჯ; ნჯ, ნჭ თანხმოვანთკომპლექსები. მბ - 9,5 %; მპ - 1,1 %; მფ - 2,3 %; ლბ - 7,1 %; ლფ - 1,1 %; ლპ - 1,1 %; რბ - 5,9 %; მთ - 4,7 %; ლტ - 2,3 %; ლთ - 2,3 %; რდ - 5,9 %; რთ - 7,1 %; რტ - 4,7 %; ნდ - 13,1 %; ნთ - 2,3 %; ვთ - 1,1 %; რძ - 1,1 %; ნძ - 2,3 %; ნწ - 1,1 %; მჯ - 1,1 %; რჯ - 5,9 %; რჩ - 2,3 %; ვჯ - 2,3 %; ნჯ - 2,3 %; ნჭ - 1,1 %. აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს ნდ (13,1 %), მბ (9,5 %); რთ; ლბ (7,1 %) თანხმოვანთკომპლექსები. დანარჩენი კი რეალიზაციით მეტნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

კომბინაციიდან სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი დაჩნდება მზ, ნზ, რზ, რს, მზ, ნზ, რზ, ვზ თანხმოვანთკომპლექსები. მზ - 21 %; ნზ - 10,5 %; რზ - 21 %; რს - 10,5 %; მზ - 15,7 %; ნზ - 5,2 %; რზ - 10,5 %; ვზ - 5,2 %. აქედან გამომდინარე აქტიურობით გამოირჩევა მზ, რზ (21 %) თანხმოვანთ-კომპლექსები.

კომბინაციიდან I რიგისმიერი ხშული + სონორი გამოვლინდა ბლ, ბრ, ფლ, ფრ, პლ, პრ, პვ, თმ, თრ, დრ, ტრ, თლ, ტნ, ძმ, ძლ, ძრ, ძვ, წმ, წლ, წრ, წნ, წვ; ჯლ, ჯმ, ჯრ, ჯმ, ჯნ, ჯვ, ჯვ, ჩვ, ჩვ თანხმოვანთ-კომპლექსები. ბლ - 5,5 %; ბრ - 5,5 %; ფრ - 5,5 %; ფლ - 5,5 %; პრ - 1,8 %; პვ - 1,8 %; პლ - 1,8 %; თმ - 7,4 %; თრ - 7,4 %; დრ - 7,4 %; ტრ - 12,9 %;

ოლ - 3,7 %; ტნ - 1,8 %; ძმ - 1,8 %; ძლ - 3,7 %; ძრ - 1,8 %; ძვ - 1,8 %; წმ - 1,8 %; წლ - 3,7 %; წრ - 1,8 %; წნ - 1,8 %; წვ - 1,8 %; ჯლ - 1,8 %; ჯმ - 1,8 %; ჯრ - 1,8 %; ჯმ - 5,5 %; ჯნ - 3,7 %; ჯვ - 1,8 %; ჯვ - 1,8 %; ჩვ - 1,8 %; აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს ტრ (12,9 %).

კომბინაციიდან I რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი შეგვხვდა ფლ, ზრ, ზმ, ზლ, ზვ, სმ, სლ, სრ, სვ, შმ, შრ, შლ, შნ, შვ, თანხმოვანთკომპლექსები. ფლ - 4,3 %; ზრ - 13 %; ზმ - 8,6 %; ზლ - 4,3 %; ზვ - 4,3 %; სმ - 8,6 %; სლ - 8,6 %; სრ - 8,6 %; სვ - 4,3 %; შმ - 8,6 %; შრ - 4,3 %; შლ - 13 %; შნ - 4,3 %; შვ - 4,3 %.

კომბინაციიდან სონორი + II რიგისმიერი ხშული გვხვდება მგ; ლგ, ლქ, ლკ; რქ, რგ, რკ; ნგ, ნქ, ნკ თანხმოვანთკომპლექსები. მგ - 2,9 %; ლგ - 8,8 %; ლქ - 5,8 %; ლკ - 5,8 %; რქ - 11,7 %; რგ - 11,4 %; რკ - 2,9 %; ნგ - 26,4 %; ნქ - 14,7 %; ნკ - 8,8 %. აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს ნგ (26,4 %) თანხმოვანთკომპლექსი.

კომბინაციიდან სონორი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი დადასტურდა მხ, მყ, მღ; რხ, რყ, რჰ; ლყ; ნყ თანხმოვანთკომპლექსები. მხ - 14,2 %; მყ - 7,1 %; მღ - 14,2 %; რხ - 14,2 %; რყ - 14,2 %; რჰ - 14,2 %; ლყ - 14,2 %; ნყ - 7,1 %. აქედან გამომდინარე გარდა მყ; ლღ (7,1 %) თანხმოვანთკომპლექსებისა, ყველა კომპლექსი თანაბარი მაჩვენებელით ხასიათდება (14,2 %).

კომბინაციიდან II რიგისმიერი ხშული + სონორი გამოვლინდა გრ, გვ, გნ; ქმ, ქლ, ქნ, ქვ; კმ, კლ, კრ, კვ; ვმ, ვრ, ვნ, ვლ თანხმოვანთკომპლექსები. გრ - 19 %; გვ - 4,3 %; გნ - 4,3 %; ქმ - 14,1 %; ქნ - 4,3 %; ქლ - 4,3 %; ქვ - 4,3 %; კმ - 4,3 %; კლ - 9,5 %; კრ - 4,3 %; კვ - 4,3 %; ვმ - 14,1 %; ვრ - 4,3 %; ვნ - 4,3 %; ვლ - 4,3 %. აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს გრ (19 %), ხოლო მისი მომდევნოა ქმ; ვმ (14,1 %) თანხმოვანთკომპლექსები.

კომბინაციიდან II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი დადასტურდა ღვ, ღრ, ღმ, ღლ; ხმ, ხლ, ხნ, ხრ, ხვ; ყვ, ყმ, ყრ; ჰრ, ჰმ, ჰლ, ჰნ, ჰვ თანხმოვანთკომპლექსები. ღვ - 4 %; ღრ - 6 %; ღმ - 6 %; ღლ - 16 %; ხმ - 8 %; ხლ - 2 %; ხნ - 2 %; ხრ - 2 %; ხვ - 6 %; ყვ - 4 %; ყმ - 2 %; ყრ - 14 %; ჰრ - 14 %; ჰმ - 8 %; ჰლ - 4 %; ჰნ - 4 %; ჰვ - 4 %; აქედან გამომდინარე ყველაზე აქტიური ჩანს ღლ (16 %). თანხმოვანთკომპლექსი, ხოლო მისი მომდევნოა ყრ; ჰრ (14%) თანხმოვანთკომპლექსები.

კომბინაციიდან სონორი + სონორი გამოვლინდა ლმ, რმ; რრ; მმ; მლ, ნლ, ვლ, ლლ; მრ, ვრ; მნ, ლნ, რნ, ნნ, ნვ, ვნ; რვ, ვვ თანხმოვანთკომპლექსები. ლმ - 6,8 %; რმ - 6,8 %; რრ - 2,4 %; მმ - 9 %; მლ - 4,7 %; ნლ

- 2,4 %; ვლ - 6,8 %; ლლ - 13,4 %; მრ - 6,8 %; ვრ - 11,5 %; მნ - 2,4 %;
 ლნ - 2,4 %; რნ - 2,4 %; ნნ - 2,4 %; ნვ - 2,4 %; ვნ - 2,4 %; რვ - 11,5 %;
 ვვ - 2,4 %. ამათგან აქტიურობით გამოირჩევა ლლ (13,4 %) გემინირებული
 თანხმომავანთკომპლექსი, ხოლო მისი მომდევნოა ვრ, რვ (11,5 %) კომპლექსები

**ღ. თანხმომავანთკომპლექსთა სიხშირე სონორის შემცველ თანხმომავანთ-
 კომპლექსთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით.**

სონორის შემცველ თანხმომავანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მი-
 მართებით სონორი + I რიგისმიერი ხშული მიმდევრობის კომპლექსთა პრო-
 ცენტული მაჩვენებელი: მბ - 5,5 %; მპ - 0,6 %; მფ - 1,2 %; ლბ - 4,1 %; ლფ
 - 0,6 %; ლპ - 0,6 %; რბ - 3,4 %; მთ - 2,7 %; ლტ - 1,2 %; ლთ - 1,2 %; რდ
 - 3,4 %; რთ - 4,1 %; რტ - 2,7 %; ნდ - 7,6 %; ნთ - 1,2 %; ვთ - 0,6 %; რძ -
 0,6 %; ნძ - 1,2 %; ნწ - 0,3 %; მჯ - 0,3 %; რჯ - 3,4 %; რჩ - 1,2 %; ვჯ - 1,2
 %; ნჯ - 1,2 %; ნჭ - 0,6 %.

სონორის შემცველ თანხმომავანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მი-
 მართებით სონორი + I რიგისმიერი ნაპრალოვანი მიმდევრობის კომპლექსთა
 პროცენტული მაჩვენებელი: მწ - 2,7 %; ნწ - 1,2 %; რწ - 2,7 %; რს - 1,2 %;
 მშ - 2 %; ნშ - 0,6 %; რშ - 1,2 %; ვშ - 0,6 %.

სონორის შემცველ თანხმომავანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მი-
 მართებით I რიგისმიერი ხშული + სონორი მიმდევრობის კომპლექსთა პრო-
 ცენტული მაჩვენებელი: ბლ - 2 %; ბრ - 2 %; ფრ - 2 %; ფლ - 2 %; პრ - 0,6
 %; პლ - 0,6 %; პვ - 0,6 % თმ - 2 %; დრ - 2,7 %; ტრ - 4,8 %; თლ - 1,2
 %; ტნ - 0,6 %; ძმ - 0,6 %; ძლ - 1,2 %; ძრ - 0,6 %; ძვ - 1,2 %; წმ - 0,6 %;
 წლ - 1,2 %; წრ - 0,6 %; წნ - 0,6 %; წვ - 0,6 %; ჯლ - 0,6 %; ჯმ - 0,6 %;
 ჯრ - 0,6 %; ჯმ - 2 %; ჯნ - 1,2 %; ჯვ - 0,6 %; ჯვ - 0,6 %; ჩვ - 0,3 %.

სონორის შემცველ თანხმომავანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მი-
 მართებით I რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი მიმდევრობის კომპლექსთა
 პროცენტული მაჩვენებელი: ფლ - 0,6 %; ზრ - 2 %; ზმ - 2 %; ზლ - 1,2 %;
 ზვ - 0,6 %; სმ - 1,2 %; სრ - 1,2 %; სლ - 1,2 %; სვ - 0,6 %; შმ - 1,2 %;
 შრ - 0,6 %; შლ - 2 %; შნ - 0,6 %; შვ - 0,6 %.

სონორის შემცველ თანხმომავანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მი-
 მართებით სონორი + II რიგისმიერი ხშული მიმდევრობის კომპლექსთა
 პროცენტული მაჩვენებელი: მგ - 0,6 %; ლგ - 2 %; ლქ - 1,2 %; ლკ - 1,2 %;
 რქ - 2,7 %; რგ - 2,7 %; რკ - 0,6 %; ნგ - 6,2 %; ნქ - 3,4 %; ნკ - 2 %.

სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით **სონორი + II რიგისმიერი ნაპრალოვანი** მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: **მხ** - 1,2 %; **მყ** - 0,6 %; **მღ** - 1,2 %; **რხ** - 1,2 %; **რყ** - 1,2 %; **რჰ** - 1,2 %; **ლღ** - 0,3 %; **ლყ** - 0,6 %; **ნყ** - 0,6 %.

სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით **II რიგისმიერი ხშული + სონორი** მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: **გრ** - 2,7 %; **გვ** - 0,6 %; **გნ** - 0,6 %; **ქმ** - 2 %; **ქნ** - 0,6 %; **ქლ** - 0,6 %; **ქვ** - 0,6 %; **კმ** - 0,6 %; **კლ** - 1,2 %; **კრ** - 0,6 %; **კვ** - 0,6 %; **ვმ** - 2 %; **ვრ** - 0,6 %; **ვნ** - 0,6 %; **ვლ** - 0,6 %.

სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით **II რიგისმიერი ნაპრალოვანი + სონორი** მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: **ღვ** - 1,2 %; **ღრ** - 2 %; **ღმ** - 0,6 %; **ღლ** - 5,5 %; **ხმ** - 2,7 %; **ხნ** - 0,6 %; **ხრ** - 0,6 %; **ხლ** - 0,6 %; **ხვ** - 2 %; **ყვ** - 1,2 %; **ყმ** - 0,6 %; **ყრ** - 4,8 %; **ჰრ** - 4,8 %; **ჰმ** - 2,7 %; **ჰლ** - 1,2 %; **ჰნ** - 1,2 %; **ჰვ** - 1,2 %.

სონორის შემცველ თანხმოვანთკომპლექსთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით **სონორი + სონორი** მიმდევრობის კომპლექსთა პროცენტული მაჩვენებელი: **ლმ** - 2 %; **რმ** - 2 %; **რრ** - 0,6 %; **მმ** - 2,7 %; **მღ** - 1,2 %; **ნღ** - 0,6 %; **ვღ** - 4,8 %; **ლლ** - 4,1 %; **მრ** - 2 %; **ვრ** - 3,4 %; **მნ** - 0,6 %; **ლნ** - 0,6 %; **რნ** - 0,6 %; **ნნ** - 0,6 %; **ნვ** - 0,6 %; **ვნ** - 0,6 %; **რვ** - 3,4 %; **ვვ** - 0,6 %.

ბ. ცალკეულ სონორთა სინტაგმატური მახასიათებლები. ვ სონორი ერთი მორფემის ფარგლებში არ ჩანს ლაბიალური ჩქამიერ თანხმოვანთა გვერდით.

ფერეიდნულისათვის არაბუნებრივი მიმდევრობა სონორი ვ + ხშული დაფიქსირდა სპარსული ენიდან შემოსულ სიტყვებში, კერძოდ, ჩქამიერ თანხმოვანთა წინა პოზიციაში ვ სონორთან გვხვდება: თ (ნავთი), ჯ (გოვჯა, თავჯდომარე);

ჩქამიერ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციაში ვ სონორი ეთავსება:

I რიგისმიერ /ბ ძ წ ჯ ჰ რ / ხშულებს (მოხაპვა, ძველი, დაბრაწვა, ჯვარი, ჭვავი, ჩვარი);

II რიგისმიერ /გქკ/ ხშულებს (გვარი, ქვიშხედმათი, ნაკვესი); ასევე /ხ/ ნაპრალოვანს (ხვალ, ხვავი).

ნაპრალოვანთა წინა პოზიციაში ვ სონორი არ ვლინდება, ხოლო მათ მომ-
 დევნოდ ჩანს როგორც I რიგისმიერებთან, ასევე II რიგისმიერებთან: მაგ.:
ზვ: ზვაგი, **სვ:** სვაგი, **შვ:** შვილი, **ღვ:** ღვინო||ლინო, დაყონაღვა, **ყვ:**
 ყველა||ყელა, ყველი||ყელი, ჰვ თანხმოვანთკომპლექსი კი გვხვდება მხოლოდ
 სპარსულ სიტყვებში — თაჰველი, აჰვალი, ვინაიდან /ვ/ მორფემის ფარგლებში
 ქართულმა ენამ არ იცის.

ნაზალური მ სონორი I რიგისმიერი ხშულების წინა პოზიციაში ერთი
 მორფემის ფარგლებში გამოვლინდა ბ, ფ, დ, თ ბგერებთან: ა**მბ**ავი, ბ**ამბ**ა...
 ჩუ**მფ**არა, ფ**ამფ**არა... მღებარეობა, რ**ამღ**ენი... მამ**ამ**თილი, ზამ**ამ**თარი...

სონორი მ II რიგისმიერი ხშულთაგან დაჩნდება /გ/-ს წინა პოზიციაში
 (ნამგალი).

I რიგისმიერი ნაპრალოვნების წინა პოზიციაში მ სონორი გვხვდება /ზ შ/-ს
 მეზობლობაში; მაგ.: მ**ზ**: მზე, სამ**ზ**ადისი; მ**შ**: შიმშილი, შემ**შ**ა...

II რიგისმიერი ნაპრალოვნებიდან მ სონორი სამივე უკანაენისმიერთან
 შეგვხვდა; მაგ.: მ**ხ**: ამხანაგი, მ**ხ**ალი; მ**ყ**: ამყოლი (მორფ. ზღვარი); მ**ღ** : დამ-
 ღონებელი (მორფ. ზღვარი)...

I რიგისმიერების მომდევნო პოზიციაში სონორი მ ბაგისმიერების გარდა
 ყველა ლოკალური რიგის თანხმოვანთან გამოვლინდა; მაგ.: კბილისმიერებიდან
 /თ/ ხშულთან — თმა, წინანუნისმიერებიდან /d/-თან — ძმა და /წ/-თან — წმიდა;
 უკანანუნისმიერებიდან /ჯ კ/ ხშულებთან — მაჯმა (სპ. ჯამი); დაჯმუჭნა, შაჯმა...

II რიგისმიერების მომდევნო პოზიციაში მ რეალიზდება /კ ჯ/ ხშულებთან
 მეზობლობაში; მაგ.: კ**მ**არა, კ**მ**ა, კ**მ**ალი, კ**მ**ელი...

აღსანიშნავია, რომ მ სონორის შეთავსებადობა წინა და უკანა ნუნისმიერ
 ხშულებთან დაბალი სიხშირით გამოირჩევა როგორც წინა პოზიციაში, ასევე მის
 მომდევნოდაც.

I რიგისმიერი ნაპრალოვნების მომდევნო პოზიციაში მ სონორი /ჟ/-ს გარდა ყველას ეთავსება; ზმ: სიზმარი, ჯაზმი; სმ: ყესმათი, რასმი; შმ: ღუშმანი, ფაღშმოზა...

II რიგისმიერი ნაპრალოვნების მომდევნო პოზიციაში მ სონორი გამოვლინდა სამივე უკანაენისმიერ ნაპრალოვანთან; მაგ.: ღმ: ღმერთი||მერთი; ხმ: ხმა, ხმარება; ყმ: ყმაწილი||ყუმაწილი, ხოლო ჰმ თანხმოვანთკომპლექსი როგორც მოსალოდნელი იყო მხოლოდ სპარსულ სიტყვებში ჩანს: ბაჰმანი, მაჰმადი, მაჰმანი...

ლ სონორი I რიგისმიერი ხშულების წინა პოზიციაში ვლინდება, მაგრამ არც თუ ისე ხშირად. ძირითადად ის გვხვდება სპარსულ ნასესხობაში ბაგისმიერ და კბილისმიერ ხშულებთან. ლბ, ლფ, ლბ თანხმოვანთკომპლექსთაგან გვხვდება ლბ: ყოლბაქი, ალბათა; ლპ: პილპილი, დალპობა, ხოლო ლდ, ლთ, ლტ თანხმოვანთკომპლექსთაგან წარმოდგენილია ლტ: კულტურა, ოლტაში...

II რიგისმიერი ხშულების წინა პოზიციაში ლ სონორი შედარებით აქტიურია, ის სამივე უკანაენისმიერ ხშულებთან გვხვდება; მაგ.: ლგ კომპლექსი წარმოდგენილია სიტყვებში ახალგაზდა, ქოლგა; ლქ: ქილქიტი, ბალქი; ლკ: ცალკე, გაცალკეება ზმნის ფორმებში.

I რიგისმიერი ნაპრალოვნების წინა პოზიციაში ლ სონორი არ რეალიზდება, ხოლო II რიგისმიერი ნაპრალოვნებიდან სამივე უკანაენისმიერთან გვხვდება, მაგრამ მხოლოდ სპარსულ სიტყვებში; მაგ.: ლღ: ხალღი||ხალხი; ლხ: ავღანთაღხოზა; რყ: ფარყი, ბარყი...

I რიგისმიერი ხშულების მომდევნოდ ლ სონორი არც თუ ისე აქტიურია. იგი ყველა ლოკალური რიგის ხშულთა მომდევნოდ ფიქსირდება, მაგრამ ძირითადად სპარსულ სიტყვებში. ეს კომბინაციები იშვიათია, ბაგისმიერებიდან მხოლოდ /ფ/-ს მომდევნოდ დასტურდება; მაგ.: დიფლომი (სპ. "დიპლომი"),

ფლავი... კბილისმიერებიდან /თ/-ს შემდეგ: მათლაბი (სპ. "საკითხი"), სათლელი...
 წინანუნისმიერებიდან /წ/-თან: ნაწლავი, უკანანუნისმიერებიდან /ჯ/-თან: მაჯლესი.

II რიგისმიერი ხშულთაგან ლ სონორი გამოვლინდა /კ/-თან; გვაქვს მეორეული კლ კომპლექსი, რომელიც მიღებულია ხმოვნის რედუქციით: ეკალი > ეკლის, ეკლამხალა.

I რიგისმიერი ნაპრალოვნების მომდევნოდ ლ სონორი უმეტესად სპარსულ სიტყვებში ვლინდება; მაგ.: ის დაფიქსირდა /ს/ და /შ/-ს მომდევნოდ ასლი, თესლი; შლ: ყიშლალი...

II რიგისმიერი ნაპრალოვნების მომდევნო პოზიციაში ლ სონორი მეტად აქტიურია, ის მხოლოდ /ყ/-სთან არ გვხვდება; მაგ.: ღლ: შოღლი, ძაღლი; ხლ : ახლუები (მეორეული კომპლექსი); ჰლ როგორც მოსალოდნელი იყო გამოვლინდა სპარსულ სიტყვაში: ფაჰლავი...

რ სონორი შემდეგ I რიგისმიერ ხშულთა წინა პოზიციაში ვლინდება: ბაგისმიერ ხშულთაგან ის მხოლოდ /ბ/-ს წინ გვხვდება და საკმაოდ ხშირი რეალიზაციაც გააჩნია: ხორბალი, ერბო, ყურბანი... რ სონორი ყვალაზე აქტიურია კბილისმიერ ხშულთა წინ; მაგ.: რდ: ფარდაგი, ხურდა; რთ: მართალი, ქურთი; რტ: კარტოფილი, სარტყელი... წინანუნისმიერებიდან წარმოდგენილია /ძ/-ს წინ: კერძი, ხოლო უკანანუნისმიერებიდან /ჯ ჩ/-თან: ბურჯი, გორჯი; ფარჩა, ფარჩილი...

II რიგისმიერებიდან რ სონორი გამოვლინდა /ქ/-ს წინა პოზიციაში: თურქი, შერქათი...

I რიგისმიერი ნაპრალოვნების წინ რ სონორი /ყ/-ს გარდა ყველა ნაპრალოვანთან დადასტურდა; მაგ.: რზ: ყურზენი, არზი; რს: პარსელი, მარსუმი; რშ: ხორშიდა, შარშან...

II რიგისმიერი ნაპრალოვნებიდან რ სონორი ვლინდება /ყ/-ს წინა პოზიციაში მხოლოდ სპარსულ ნასესხობაში: ფარყი, ბარყი...

I რიგისმიერი ხშულთა მომდევნო პოზიციაში რ სონორი აქტიურობით გამოირჩევა ბაგისმიერებთან და კბილისმიერებთან. ის ვლინდება სამივე ბაგისმიერ /ბფბ/ ხშულის მომდევნოდ; მაგ.: ბრ: ბრინჯი; ფლ: ფლავი, დიფლომი, პრ: პრასა და სამივე კბილისმიერ /დთტ/ ხშულთან: დრ: დრო, ჩადრი; თრ: მეთრი, თეთრი... ტრ: ტრანსპორტი, ტრედი...

რ სონორი წინანუნისმიერი ხშულების მომდევნოდ გვხვდება /ძ წ/-თან: ძრიელი; წრილი... უნდა აღინიშნოს, რომ ძრ, წრ კომპლექსები აქტიურობით არ გამოირჩევა.

იშვიათია რ სონორი უკანანუნისმიერების მომდევნოდ, დასტურდება გაჭრა ზმნის ფორმებში.

I რიგისმიერი ნაპრალოვნების მომდევნო პოზიციაში რ სონორი /ქ/-ს გარდა ყველა ნაპრალოვანთან გამოვლინდა, მაგრამ არა ქართულ სიტყვებში, არამედ სპარსულში; კერძოდ: ზრ: ბაზრაქი, მაზრა. ფიქსირებულ სიტყვაში ზროხა ზრ მეორეული კომპლექსია (< ძროხა); სრ: ხოსროვო, ყასრი; შრ: აშრაჭი...

II რიგისმიერი ნაპრალოვნების მომდევნოდ რ სონორი /ხ/-ს გარდა ყველა ნაპრალოვანთან გვხვდება, მაგრამ უმეტესად ვლინდება სპარსულ სიტყვებში; მაგ.: დრ: ჩუდრუთი, ნოდრი; ყრ: თაყრიბან, ნაყრი, გაყრა; ჰრ: ზოჰრა, შაჰრი, თეჰრანი...

ფერეიდნულ დიალექტში ნ სონორი ისევე იქცევა როგორც მ სონორი, მაგრამ ერთი განსხვავებით, ბაგისმიერ ხშულთა წინა პოზიციაში ის არ გვხვდება, ხოლო დანარჩენი I რიგისმიერებიდან ის გამოვლინდა შემდეგი ლოკალური რიგის თანხმოვნებთან: კბილისმიერ /დ თ/ ხშულთან; ნდ კომპლექსი წარმოდგენილია სიტყვებში: მინდორი, წინდა; ნთ: ქუნთრუშა, ტინთუკანა; წინანუნისმიერი ხშულებიდან მხოლოდ /ძ/-თან: ძონძი, ხოლო უკანანუნისმიერებიდან /ჯ ჳ/-თან: ბრინჯი, იონჯა, ხინჯა...

II რიგისმიერი ხშულებიდან სამივე უკანაენისმიერის წინ დაფიქსირდა; მაგ.:
ნგ: სანგარი, რანგი, თანგბ; **ნქ:** ქონქურჩი, ანქით, მანქანა; **ნკ:** ანკესი,
 კინკლაობა...

სონორი **ნ** არც **I რიგისმიერი** და არც **II რიგისმიერი** ნაპრალოვანთა
 წინა პოზიციაში არ გამოვლინდა, თუ არ ჩავთვლით **ნშ** მიმდევრობას ერთადერთ
 სპარსულ სიტყვაში **ინშალა**.

ფრეიდნულ დიალექტში აქტიურობით არ გამოირჩევა კომბინაცია ხშული (**I
 რიგისმიერი, II რიგისმიერი**) + **ნ** სონორი. ბაგისმიერის მომდევნოდ შეგვხვდა
 ერთადერთ სიტყვაში: **ბნელი||ბლენი**; ასევე თითო შემთხვევა ფიქსირდება
 კბილისმიერ, წინანუნისმიერ და უკანანუნისმიერ ხშულს + **ნ** სონორი: **პიტნა**;
წნური; **დაჭმუჭნა**...

II რიგისმიერი ხშულების მომდევნოდ **ნ** სონორი ვლინდება მხოლოდ /გ ვ/
 ხშულებთან, ისიც თითო მაგალითში: **წიგნი, ვნა**.

ნ სონორი არც ერთ **I რიგისმიერ** ნაპრალოვანთა მომდევნო პოზიციაში
 არ რეალიზდება, ხოლო **II რიგისმიერი** ნაპრალოვნებიდან /ნ/ და /წ/-თან არის;
 მაგ.: **სანწნავი, დაწნა**...

III.

ფრეიდნულ დიალექტში გამოვლენილი სამწევრა და ოთხწევრა თანხმოვანთ-
 კომპლექსებში, როგორც წესი, ორი კომპონენტი ქმნის დეცესიურ ან ლაბიალურ
 კომპლექსს: **ტკბ, პტკ, პწკ, რდგ, სწყ, რწყ, რცხ, რტყ, რტყ, თხვ, თხრ,
 ტყვ, წყვ, ცხლ, წყტ; რწყვ, რტყმ, რცვლ, მკვლ, მთქმ**. ლაბიალიზაციის
 საკითხს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა (გ.ახვლედიანი, ქ. ლომთათიძე, გ.როგავა,
 ს.ჟღენტე, შ.გაფრინდაშვილი, ტ.გუდავა, მ.ქალდანი, ა. მაჭომეტოვი,
 თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, ი. ჩანტლაძე, ტ. ფუტყარაძე...); ცნობილია, რომ
 ბაგისმიერობა და ველარულობა ერთმანეთს გულისხმობს (შდრ., ტერმინი:
 ლაბიოველარიზებულობა; რ. იაკობსონი, გ. ფანტი, მ. ჰალე). თანამედროვე

ქართველური ენა-კილოების ველარული და ლაბიალური კომპლექსების დიდი ნაწილი. საერთოქართველურში არსებული ლაბიოველარიზებული ბგერების ტრანსფორმაციები ჩანს; სწორედ ამგვარი წარმომავლობით შეიძლება აიხსნას კომპლექსთა ჰარმონიულობა/ბუნებრივობა (საკითხის მიმოხილვისთვის იხ.: ტ. ფუტყარაძე, 1998, გვ.62-63; თ.გამყრელიძე, ზ.კიკნაძე, ი.შადური, ნ.შენგელია, 2003, გვ. 564-565; ტ. ფუტყარაძე, 2005, გვ.270-272). ამ თვალსაზრისით საინტერესოა: ფერეიდნულ დიალექტშიც აქტიურად ვლინდება თანხმოვანთმომდევრობანი: **I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი** და ისეთი **ლაბიალური კომპლექსები**, სადაც მეორე კომპონენტს ქმნის ბაგისმიერი თანხმონები.

ჯ. სამწევრა კომპლექსები.

ჰარმონიული კომპლექსი + ხშული (I რიგისმიერი): **ტკბ** (ტკბილი, დატკბობა);

ჰარმონიული კომპლექსი + ხშული (I რიგისმიერი): **წყტ** (გაწყტომა);
 ხშული (I რიგისმიერი) + ჰარმონიული კომპლექსი: **პტკ** (ნაპტკენი, საპტკენი),
პწყ (მიწყკაპწყაბება);

ნაპრალოვანი (I რიგისმიერი) + ჰარმონიული კომპლექსი: გამოვლინდა
 მორფემათა ზღვარზე: **სწყ** (ამოსწყითეო);

სონორი + ჰარმონიული კონპლექსი: **რდგ** (ერდგან);

სონორი + ჰარმონიული კომპლექსი **რწყ** (სარწყავი), **რცხ** (სავარცხელი);
რტყ (მარტყოფი, სარტყელი), **ნჩხ** (კონჩხელა, მოკუნჩხული);

ჰარმონიული კომპლექსი + სონორი: **თხვ** (კითხვა), **თხმ** (ოთხმოცი), **თხრ**
 (მითხრეს, უთხრეს); **ტყვ** (შაიტყვისყე), **წყვ** (დაიწყვეს), **ცხლ** (ცეცხლი,
 ფიცხლავ).

დანარჩენი სამწევრა თანხმოვანთკომპლექსები შედგება მხოლოდ სონორი ბგერებისაგან; გამოვლინდა როგორც პირველადი, ასევე მეორეული თანხმოვანთკომპლექსები:

ხმოვნის რედუქციით: **სანდალი** > **სანდლები**; **სამართალი** > **სამართლის**;

თანხმოვნის დაკარგვით: **მკვდარი** > **მკდარი**; **ბრტყელი** > **ბტყელი||ტყელი**;

მთქმელი > **თქმელი**; **მომტვრეული** > **მომტრეული**.

ბგერის განვითარებით (ძირითადად ვითარდება სონორი): **გადმააყრის** > **გარდმააყრის**; **დაჭმული** > **დარჭმული**; **ანგრე** > **ანგრე**; **დასწავლა** > **დასწავლვა**; **შაშჭამს** > **შაშჭმა** (პირის ნიშანი შერჩა საწყისს).

ზოგი სამწევრიანი თანხმოვანთკომპლექსი ასახავს არქაული ქართულის ვითარებას: **დაკრვა**, **დანიშნვა**, **შესლვა**....

9. ოთხწევრა კომპლექსები. მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში მაქსიმალური სიგრძის კონსონანტური ჯგუფი შეიცავს ოთხ ელემენტს, მაგრამ არა ერთი მორფემის ფარგლებში, არამედ მორფემათა ზღვარზე. გამოვლენილ ნიმუშებში სონორთან ერთად წარმოდგენილია ველარული ან ლაბიალური თანხმოვანთკომპლექსი: **რწყვ** (მორწყვა), **რტყმ** (დარტყმა), **რცვლ** (დამარცვლა), **მკვლ** (მამკვლედი), **მთქმ** (მთქმელი||თქმელი)...

IV.

გემინირებული თანხმოვანთკომპლექსები. ქართული ენის ქვესისტემებში ერთი მორფემის ფარგლებში იკრძალება ერთი რაგვარობისა და ლოკალური რიგის თანხმოვნების შეხამება; ანუ არ გვაქვს **ბბ**, **ბფ**, **დტ**, **კქ**... ტიპის კომპლექსები, ამდენად ფერეიდნულ დიალექტშიც მოქმედებს სტრუქტურული წესი, რომელიც გამორიცხავს ერთი და იმავე ლოკალური რიგის და ერთი რაგვარობის ჩქამიერ თანხმოვანთა კომბინაციებს. თავისთავად იგულისხმება, რომ

იკრძალება მორფემის ფარგლებში, ფონოლოგიური სისტემის თვალსაზრისით, იდენტური თანხმოვნები.

ისევე როგორც ყველა ინდოევროპულ ენას, სპარსულ ენასაც ახასიათებს გემინირებული თანხმოვნები, ამიტომ ფერეიდნელთა მეტყველებაში ეს ტენდენცია თვით ქართულ სიტყვებშიც დაჩნდება, რომელიც ძირითადად ბაგისმიერებსა და კბილისმიერ ბგერებს ახასიათებს; მაგ.: სამმი, ხუთთი, შილდი, ათთი, ოცცი, ცხრამეტტი; აგრეთვე მეტტი, ოფფი, თოფფი, ნეფფე...

V.

თანხმოვანთკომპლექსები მორფემათა ზღვარზე. მორფემათა ზღვარზე გამოვლენილ თანხმოვანთკომპლექსთა რაოდენობა გაანალიზებულ ტექსტებში ბევრია; ასეთ კომპლექსთა წარმოქმნა შეუზღუდავად არ ხდება; მაგ., *აკეთებს* ზმნური ფორმა ზეპირ მეტყველებაში ყოველთვის დასტურდება *აკეთებს* ფორმით.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. ახვლედიანი, 1999 — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999: “ს.ს. ორბელიანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ლ. ბაბლუანი, 1985 — ლ. ბაბლუანი, სამწვერა და ოთხწვერა თანხმონთმომდევრობანი სვანურსა და ქართულში, იკე, XXIII, თბ., 1985.

ნ. ბართაია, 1971 — ნ. ბართაია, ერთი ქართული სიტყვის შესახებ, გაზეთი “თბილისის უნივერსიტეტი“, 30-04, 1971.

ნ. ბართაია, 2001 — ნ. ბართაია, ირანული ჩანახატები, თბ., 2001, გამომცემლობა “ინტელექტი“.

ლ. აღნიაშვილი, 1896 — ლ. აღნიაშვილი, სპარსეთი და იქაური ქართველები, ტფ., 1896.

თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965: “მეცნიერება“.

თ. გამყრელიძე, 1960 — თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგადი საკითხი, თბ., 1960: “საქსსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

თ. გამყრელიძე, 2000 — თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000, “სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, 2003 — თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003, “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

შ. გაფრინდაშვილი, 1955 — შ. გაფრინდაშვილი, ლაბიალიზაციის ბუნებისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, იკე, VII, თბ., 1955.

შ. გაფრინდაშვილი, 1967 — შ. გაფრინდაშვილი, ქართული ენის ნაპრალოვან თანხმოვანთა საშუალო სპექტრები, მასს, თბ., 1967.

შ. გაფრინდაშვილი, 1969 — შ. გაფრინდაშვილი, ფონემათა დიფერენციალური ნიშნების სამწვეროვანი კლასიფიკაციისათვის, მეტყველების ანალიზის საკითხები, თბ., 1969.

შ. გაფრინდაშვილი, ჯ. გიუნაშვილი 1964 — Ш. Гаприндашвили, Дж. Гиунашвили, Фонетика персидского языка, თბ., 1964.

ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, 1961 — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961: "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა".

ჯ. გიუნაშვილი, 1965 — Дж. Гиунашвили, Система фонем персидского языка, თსუ შრომები, 116, 1965.

ჯ. გიუნაშვილი, 1987 — ჯ. გიუნაშვილი, სპარსული ენის სახელმძღვანელო, თბ., 1987: "თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა".

გ. გოგოლაშვილი, 1996 — გ. გოგოლაშვილი, ხმოვანკომპლექსთა ცვლილებების თავისებურებები ფერეიდნულში და მისი ახსნის ცდა, საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

ტ. გუდავა, 1956 — ტ. გუდავა, ლაბიალური კომპლექსისათვის ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენებში, იკე, VIII, თბ., 1956.

გ. ვასკანიანი, 1960 — Г. А. Восканян, Руско-персидский словарь, М., 1960.

მ. თოდუა, 1975 — მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, II, თბ., 1975: "მეცნიერება".

ვ. თოფურია, 1922 — ვ. თოფურია, ნიმუში ფერეიდანის ქართული ენისა, გაზეთი ლომისი, 16, 1922.

ლ. თუშიშვილი, 1959 — ლ. თუშიშვილი, ისპაჰანის ზონის დიალექტების ძირითადი ფონეტიკური თავისებურებანი, თსუ შრომები, 73, 1959.

ლ. თუშიშვილი, 1957 — ლ. თუშიშვილი, სპარსული ენის შირაზის ზონის დიალექტების ძირითადი ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, 2, 1957.

რ. იაკობსონი, გ. ფანტი, მ. ჰალე, 1962 — Р. Якобсон, Г. М. Фанти, М. Халле, Введение в анализ речи, Новое в лингвистике, Выпуск 2, М., 1962.

ივ. იმნაიშვილი, 1982 — ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, ნაწილი II, თბ., 1982: “თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ნ. კიზირია, 1980 — ნ. კიზირია, ჭანურის ბგერითი შედგენილობა, თბ., 1980.

ნ. კიზირია, 1980 — ნ. კიზირია, თანხმოვანთა წყვილები ჭანურში, იკე, XXII, თბ., 1980.

ქ. ლომთათიძე, 1968 — ქ. ლომთათიძე, ლაბიალიზაციის საკითხისათვის ქართველურ ენებში, იკე, XVI, თბ., 1968.

ქ. ლომთათიძე, 1984 — ქ. ლომთათიძე, კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში, თბ., 1984: “მეცნიერება“.

ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956 — ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

ი. მარი, 1936 — Ю. Н. Марр, Два образчика народной словесности из грузинского фереидана, Статьи, Сообщения и резюме докладов, 1, М. Л. 1936.

ი. მარი, 1936 — Ю. Н. Марр, Из беседы с ферейданским грузином, Статьи, Сообщения и резюме докладов, 1, М. Л. 1936.

მ. მაჭავარიანი, 1985 — მ. მაჭავარიანი, ფერეიდნულის ზოგი თავისებურება, იკე, XXIII, თბ., 1985.

ა. მაჭომეტოვი, 1974 — ა. მაჭომეტოვი, ლაბიალიზებული ბგერები და ფონემები თაბასარანულ და ალულურ ენებში, იკე, წ., I, 1974.

ი. მელიქიშვილი, 1980 — ი. მელიქიშვილი, სონორ ფონემათა განაწილების ზოგადი კანონზომიერებები, თზეს, V, 1980.

ო. მიმინოშვილი, 2001 — ი. მიმინოშვილი, ახლოა ფერეიდნამდე, თბ., 2001, გამომცემლობა “უნივერსალი”.

გ. ნებიერიძე, 1974 — Г. Небиеридзе, Генеративно-фонологическая модель грузинского языка и принципы её построения, Автореферат диссертации на поискю, уч. степени доктора филологических наук, Тб., 1974.

ვ. ონიკაშვილი, 2004 — ვ. ონიკაშვილი, ფერეიდანი, თბ., 2004.

ს. ჟღენტი, 1941 — ს. ჟღენტი, ლაბიალიზებულ თანხმოვანთა საკითხისათვის ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, 10, 1941.

ს. ჟღენტი, 1956 — ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956: “თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა”.

რ. რობინსი, ნ. ვატერსონი, 1968 — რ. რობინსი, ნ. ვატერსონი, შენიშვნები ქართული სიტყვის ფონეტიკის შესახებ, “მიმომხილველი“, 4, 1968.

გ. როგავა, 1958 — გ. როგავა, ვ ბგერის მეტათეზისის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XVIII, ქუთაისი, 1958. გ. როგავა, 1962 — გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.

ი. რუბინჩიკი, 1960 — Ю. А. Рубинчик, Современный персидски язык, М., 1960.

ზ. სარჯველაძე, 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997: “თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა”.

ნ. ტრუბეცკოი, 1960 — Н. С. Трубеской, Основы фонологии, М., 1960.

თ. უთურგაიძე, 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976: “მეცნიერება”.

თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, 1979 — თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნული მეტყველების შესწავლისათვის, იკე, XXI, თბ., 1979.

თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, 1981 — თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, დიალექტის ცვლილებისათვის ისტორიულ ასპექტში, ქართველურ ენათა სტრუქტურა, V, თბ., 1981.

თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, 1984 — თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, არქაული მოვლენებისათვის ფერეიდნულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, 1984.

თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, 1985 — თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ფერეიდნული ტექსტები, იკე, XXIII, თბ., 1985.

თ. უთურგაიძე, 1987 — თ. უთურგაიძე, ჰარმონიულ კომპლექსთა განსაზღვრისათვის ქართულში, აკაკი შანიძე — 100, თბ., 1987, “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, 1989 — თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, სიტყვათა სემანტიკური ცვლილება ფერეიდნულში სპარსული ენის გავლენით, იკე, XXVIII, თბ., 1989.

თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, 1999 — თ. უთურგაიძე, დ. ჩხუბიანიშვილი, სუ ჩონებურათ ამოხენ (ფერეიდნული კოლოს შესწავლის ახალი ეტაპი), ლიტერატურული საქართველო, 2-9 აპრილი, 1999.

ჰ. ფოგტი, 1961 — ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961: “თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ტ. ფუტყარაძე, 1991 — ტ. ფუტყარაძე, ღურუ > ღრუ, ყურუ > ყრუ ტიპის პროცესებისათვის ქართულში, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1991.

ტ. ფუტყარაძე, 1996 — ტ. ფუტყარაძე, სუბერსტრატისა და ენობრივი თვითიმუნიაციის საკითხისათვის, ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე, 1, 1996: “ქსუ გამომცემლობა“.

ტ. ფუტყარაძე, 1996 — ტ. ფუტყარაძე, ლაბიალიზაციისა და უმლაუტის მიმართებისათვის (ხევისურულის, მოხეურის და ინგილოურის მიხედვით), არნ. ჩიქობავას საკითხავები, VII, მუშაობის გეგმა და თეზისები, თბ., 1996.

ტ. ფუტყარაძე, 1996 — ტ. ფუტყარაძე, ხვლიკ — ხლიკვ ფუძეთა ისტორიისათვის, სამეცნიერო ძიებანი, 5, თბ., 1996.

ტ. ფუტყარაძე, 1997 — ტ. ფუტყარაძე, უ სონსნტი, ვ სონორი თუ უ||ვ სონორი? მე-17 რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ქ. თელავი, 1997.

ტ. ფუტყარაძე, 1998 — ტ. ფუტყარაძე, ლაბიოველარიზაციისა და პალატალიზაციის მიმართებისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1998.

ტ. ფუტყარაძე, 1998 — ტ. ფუტყარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

ტ. ფუტყარაძე, 2005 — ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.

ტ. ფუტყარაძე, 2006 — ტ. ფუტყარაძე, ქართული ენის სამეტყველო ბგერათა დახასიათებისათვის, ქსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის შრომები, ქუთაისი, 2006 (იბეჭდება).

ნ. ქუთელია, 1979 — ნ. ქუთელია, თანხმოვანთკომპლექსები ლაზურში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, თბ. 1979.

ნ. ქუთელია, 1985 — ნ. ქუთელია, ლაზური კონსონანტიზმი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, თბ. 1985.

ნ. ქუთელია, 1986 — ნ. ქუთელია, არაკანონიკური კონსონანტური ჯგუფების სუბერაციისათვის ლაზურში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბ. 1986.

ბ. ქუთელია, 2005 — ბ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2005: “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

ა. შანიძე, 1934 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1934: სახელგამი.

ზ. შარაშენიძე, 1969 — ზ. შარაშენიძე, ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველები შესახებ, თბ., 1969: “მეცნიერება“

ზ. შარაშენიძე, 1979 — ზ. შარაშენიძე, ფერეიდნელი გურჯები, თბ., 1979: “მეცნიერება“.

ი. ჩანტლაძე, 1974 — ი. ჩანტლაძე, ლაბიალიზაციის ისტორიისათვის სვანურში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, II, 1974.

თ. ჩხეიძე, 1978 — Т. Д. Чхеидзе, Элементы персидского языка в говоре ферейданских грузин, Актуальные проблемы иранской филологии, Тб., 1978.

არნ. ჩიქობავა, 1923 — არნ ჩიქობავა, ვინის რეფლექსები ფერეიდნულში, ჩვენი მეცნიერება, II-III, ტბ., 1923.

არნ. ჩიქობავა, 1923-1924 — არნ ჩიქობავა, -ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გარამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, წელიწადეული I-II, ტფ., 1923-1924.

დ. ჩხუბიანიშვილი, 1995 — დ. ჩხუბიანიშვილი, ფერეიდნულის ზოგი თავისებურებისათვის, XV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 1995.

დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, 1997 — დ. ჩხუბიანიშვილი, ჯ. გიუნაშვილი, ირანიზმების კვლევის ზოგი საკითხისათვის ფერეიდნულში, XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 1997.

დ. ჩხუბიანიშვილი, 1997 — დ. ჩხუბიანიშვილი, -ყე თანდებული ფერეიდნულში, XVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 1997.

დ. ჩხუბიანიშვილი, 1998 — დ. ჩხუბიანიშვილი, ფერეიდნულის შესწავლის ზოგი ასპექტი, არნ. ჩიქობავა; საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.

დ. ჩხუბიანიშვილი, 1998 — დ. ჩხუბიანიშვილი, ენობრივი ადაპტაციის ზოგი საკითხი რეპატრირებულ ფერეიდნელთა მეტყველების მასალაზე, ქუთაისური საუბრები, V, ქუთაისი, 1998.

დ. ჩხუბიანიშვილი, 2000 — დ. ჩხუბიანიშვილი, ფერეიდნული ლექსიკის ზოგი საკითხი, XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2000.

დ. ჩხუბიანიშვილი, 2001 — დ. ჩხუბიანიშვილი, ზემო მარტყოფის (ჭერედუნშაჰრის) მიკროტოპონიმიის შესწავლისათვის, XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2001.

დ. ჩხუბიანიშვილი, 2002 — დ. ჩხუბიანიშვილი, ქვემო ფერეიდნულის ზოგი თავისებურება (სოფ. დაშქესანას მონაცემების მიხედვით), XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2002.

დ. ჩხუბიანიშვილი, 2003 — დ. ჩხუბიანიშვილი, და კავშირი ფერეიდნულში, XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2003.

დ. ჩხუბიანიშვილი, 2003 — დ. ჩხუბიანიშვილი, დიალექტური მეტყველების ზოგი სტილური თავისებურების სესახებ, ქუთაისური საუბრები, X, სამეცნიერო სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 2003.

დ. ჩხუბიანიშვილი, 2004 — დ. ჩხუბიანიშვილი, ნაცვალსახელთა ზოგი სახეობისათვის ქვემო ფერეიდნულში, XXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2004.

თ. ჭავჭავაძე, 1977 — თ. ჭავჭავაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტიკის შესწავლის ისტორიიდან, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, თბ., 1977.

ზ. ჯაფარიძე, 1975 — ზ. ჯაფარიძე, პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1975: “მეცნიერება“.

ბ. ჯორბენაძე, 1989 — ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989: “მეცნიერება“.

ბ. ჯორბენაძე, 1995 — ბ.ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995: “ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება“.

ბ. ჯორბენაძე, 1998 — ბ.ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998. “ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება“.

